

მერაბ კალანდიაძე

**საქართველოში მსოფლიოს ისტორიის
შესწავლის სათავეებთან
მითებს რეალობა ამსხვრევს**

გამომცემლობა „ინტელექტი“

თბილისი 2025

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და მიზნად ისახავს საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საკითხში საბჭოთა წარმოდგენის გადასინჯვას. ის დღეს უკვე მოძველდა, ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების განვლილი ეტაპია, გუშინდელი დღეა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ საკითხის განხილვა ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაგვებრუნებინა. ის პოლიტიკური განსჯის სფეროდან, მეცნიერული მსჯელობის საგნად გვექცია. სულ სხვა აქცენტები დავსით. სულ სხვა ღირებულებები დავსახეთ უფრო პრიორიტეტულად. განსხვავებული მიდგომის მთავარ პოსტულატედ, თეზად. ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მცირე წვლილის რენიმაცია, რეაბილიტაცია, გვევლინება. ეს სულ სხვა მიდგომა იყო. მივიღეთ ამ დარგის განვითარების სულ სხვა საერთო სურათი და პერიოდიზაცია.

წინა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, ისტორიკოსებისათვის და მსოფლიო ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი გურამ ყორანაშვილი
რეცენზენტები: თამარ ანთაძე
მიხეილ ქართველიშვილი

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი, როგორც ჩვენი შრომების დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და შეეხება ერთ უცნობ თემას, რომელიც, დიდი ხნის განმავლობაში კადრში ვერ ხვდებოდა და ფართო საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა რჩებოდა. ეს ადვილი გასაგებია. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. სულ სხვა აქცენტები დავსვით. სულ სხვა ღირებულებები დავსახოთ უფრო პრიორიტეტულად. შევეცადეთ ეს თემა პოლიტიკური განსჯის სფეროდან, აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. შეიძლება ითქვას, რომ ეს სულ სხვა მიდგომა იყო, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისაგან. ის ამ საკითხზე სულ სხვა და გაცილებით უფრო რეალისტურ წარმოდგენას გვიყალიბებს, ვიდრე წინამდებარე იყო. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ფაქტობრივად, ის ამ პრობლემის განხილვის პირველ მცდელობას წარმოადგენს. ეს საშუალებას გვაძლევს შევავსოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი და თეთრი ლაქები ამ სფეროში კიდევ უფრო ნაკლები დარჩება. ამიტომ ასეთი ნაბიჯი გამართლებული უნდა ჩანდეს.

აქ საუბარია ერთ დიდ და სერიოზულ პრობლემაზე „მსოფლიო ისტორიის შესწავლა საქართველოში 1918-1921 წლებში“. საბჭოთა ხანაში ეს მონაკვეთი ელიმინირებული, ამოღებული, იქნა ამ დარგის წარსულიდან, თითქოს არც არსებობდა,

გაქრა, გაუჩინარდა, მივიწყების სქელმა ნისლმა დაფარა. ჩვენ ვცადეთ დაგვებრუნებინა მისთვის არსებობის უფლება და მოგვეძებნა მისი კუთვნილი ადგილი ამ დარგის ისტორიაში. ჩვენ ვცადეთ ამ საკითხის განზოგადება. ეს საინტერესოა და საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ევოლუციას, XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე.

ჩვენი მეცნიერული ინტერესების სფეროს წარმოადგენს ერთი დიდი და სერიოზული პრობლემა. „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე“. საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი. ამ თემატიკით დაინტერესება საყურადღებო უნდა იყოს. რა თქმა უნდა, პრიორიტეტი ენიჭება ერთ საკითხს, რომელიც ამ დიდი პრობლემის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია მთელის ნაწილია. „საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა“. ამავ დროს შევეცადეთ უყურადღებოდ არც საქართველოს ისტორიის საკითხები დაგვეტოვებინა. მას დაუთმეთ ყურადღება და წინ წამოვწიეთ. აქვე დავძენთ, რომ ამ თემატიკით დაინტერესება არაა ახალი და თავისი წარსული გააჩნია. ეს დაინტერესება იწყება და ლაიტმოტივად გასდევს ჩვენს შემდგომ შრომებს „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ (პირველი ნაწილი) 2011. „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ (ნაწილი მეორე), 2019 „XX-XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული ორიენტირების ევოლუცია“ (2023), „სახელმძღვანელოს საინტერესო ისტორია. მითები და რეალობა“. (2024).

წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად შევეცდებით წინ წამოვწიოთ და განვიხილოთ ამ პრობლემის ერთი, ჩვენი აზრით, საინტერესო და აქტუალური სეგმენტი „მსოფლიოს ისტორიის შესწავლა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“. ამ თემის წინ წამოწევა გამართლებულია, გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. ეს თემა დღემდე ხელუხლებელია და შესწავლილი არ ყოფილა. ის პირველად ჩვენ წამოვწიეთ წინ. ეს სიახლეა. ქართული კონტექსტი გააჩნია და აღნიშნული

საკითხის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. როგორც პროფ. ბორის პორშნევს უყვარდა თქმა „ქალწულებრივი თემას“ წარმოადგენს. ეს შეეხება მთლიანად მთელს ამ პრობლემას. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება, ევოლუცია XX საუკუნიდან დღემდე. ჩვენ ფაქტობრივად, პირველად შემოვიტანეთ ეს მასალა სამეცნიერო მიმოქცევაში. სწორედ, ეს გვევლინება განსხვავებული მიდგომის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად, რომელიც ამ დარგის წარსულის გაცილებით უფრო ადეკვატურ სურათს გვიხატავს, ვიდრე ეს მანამდე იყო. ის საბჭოთა წარმოდგენის საპირწონეა. ამან განაპირობა ჩვენი მსჯელობის პოლემისტური ტონი, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა წარმოდგენის გადასინჯვას, რევიზიას. მის მეცნიერულად არგუმენტირებულად, გაბათილებას.

შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ამ დიდი პრობლემის შესწავლა, სწორედ, ამ კონკრეტული საკითხის დამუშავებით უნდა დაგვეწყოს. ამას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. თუ ქრონოლოგიური პრინციპით ვიმსჯელებთ ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ სხვაგვარად გვგონია. უფრო უმჯობესად მივიჩნით ჯერ ამ პრობლემის მთლიანობაში განხილვა. კარგად დაგვენახა საერთო სურათი და მერე მივბრუნებოდით კონკრეტიკას, ცალკეულ, საკითხებს და გვემსჯელა მათ აკარგვიანობაზე. ეს გახლავთ დედუქციური მეთოდი. საერთო მსჯელობიდან კონკრეტულისკენ. ის მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია ინდუქციასთან. ის ითვალისწინებს სვლას ერთეულიდან საერთოსაკენ.

განსხვავებული მიდგომა დღეს და გუშინ არ ჩამოყალიბებულია. მას თავისი ისტორია გააჩნია. ის ლაიტმოტივად გასდევს ამ პრობლემაზე არსებულ ჩვენს შრომებს. ის დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა და ახლა დასრულებულ სახეს იძენს. წინამდებარე ნაშრომი ამ ხანგრძლივი შრომის ლოგიკურ დაგვირგვინებად, თავისებურ შეჯამებად, გვევლინება. ის ითვალისწინებს აღნიშნულ საკითხზე ამ პრობლემაზე საბჭოთა წარმოდგენის გადასინჯვას, რევიზიას და დარგის განვითარების სულ სხვა და გაცილებით უფრო რეალისტურ სურათს გვიხატავს.

რა თქმა უნდა, ის არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას. ერთი ჭეშმარიტება ისტორიას არ ხელენიფება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ჩვენ გაგვაჩნია საკითხის საკუთარი ვერსია. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. ბუნებრივია, მას ექნება თავისი პლუსები და მინუსები, რომელიც გახდება მეცნიერული განსჯის, პაექრობის, საგანი, ჩვენ ძალიან მოგვწონს პრინციპი „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. აქ კარგადაა დანახული ისტორიის შემეცნების პროცესი. აქ ზუსტადაა განსაზღვრული ისტორიული ცოდნის მნიშვნელობა. ასეთი გახლავთ მეცნიერული შემეცნების პათოსი.

აქვე უნდა შევეხოთ, ჩვენი აზრით, ერთ აქტუალურ საკითხს, რომელზეც სწორი წარმოდგენის შემუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მას გააჩნია პრინციპული დატვირთვა. რაც ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შეტანილ მოკრძალებულ წვლილზე, სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება. აქ ზედმეტი ამბიციები უადგილო იქნება. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სწორი კრიტერიუმის შერჩევა. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე უნდა ვისაუბროთ, არა ევროპის დიდი ქვეყნების შედეგებთან შედარებით, ეს ჩვენი აზრით, მართებული არ იქნებოდა, სწორ გზას აგვაცდენს. გაცილებით მართლზომიერი იქნებოდა თუ მას ევროპის ნებისმიერ პატარა ქვეყნის შედეგებს შევადარებდით. როგორც არაერთხელ გვითქვამს ის ჩვენი ღრმა რწმენით, არაფრით არ ჩამოუვარდება, თუ არ აღემატება ამ სფეროში ევროპის ნებისმიერ პატარა ქვეყნის შედეგებს. არაფერს არ ვაჭარბებთ. ეს რეალობაა და, ამაზე თვალის დახუჭვა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლისათვის ნიშანდობლივი თავისებურებანი დამახასიათებელია ისეთი პატარა ქვეყნებისთვის, როგორც საქართველოა. დიდი ქვეყნებისაგან განსხვავებით, აქ უფრო პრიორიტეტულია არა მარტო მსოფლიო ისტორიის მეცნიერული შესწავლა, კვლევა, არამედ

პოპულარიზაცია. ეს პატარა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სინდრომია. მათთვის, მათ შორის, ცხადია, საქართველოსთვის, გაცილებით უფრო პრიორიტეტულია მსოფლიოს ისტორიის პოპულარიზაცია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ შესწავლაზე უარის თქმას. ეს გამართლებული არ იქნებოდა. ყველაზე უფრო უკეთეს შემთხვევაში საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის მეცნიერული შესწავლის, კვლევის და პოპულარიზაციის შერწყმის, შეხამების, მცდელობასთან, ნაზავთან. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან თითქოსდა საქართველოში შეუძლებელი იყო წმინდა მსოფლიოს ისტორიის საკითხების მეცნიერული შესწავლა, კვლევა. ამგვარი პესიმისტური განწყობილება გადაჭარბებული უნდა იყოს და ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ შეუძლებელი, რა თქმა უნდა, არაა, მაგრამ ძალიან ძნელია და ამაზე თვალის დახუჭვა, ჩვენი აზრით. მართებული არ უნდა იყოს.

ყველაზე უფრო პრესტიჟული წმინდა მსოფლიო ისტორიის საკითხების მეცნიერული დამუშავებაა. ეს თემატიკა მეცნიერების თავისებური ნაკრძალად მიგვაჩნია, სადაც შესვლა რჩელთა ხვედრია. ამის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშს პროფ. გივი კილურაძის სადოქტორო დისერტაცია „არმიის პრობლემა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს“ წარმოადგენს. საკითხის საინტერესო გადაწყვეტას დიდად შეუწყო ხელი რევოლუციის თანამედროვის ემერის არქივის მასალებმა, რომელიც მან პირველად შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი გახლდათ ევროპის ქვეყნების ურთიერთობა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან, კერძოდ რუსეთთან. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პროფ. გივი ჟორდანიას, პროფ. ვარლამ დონაძის, პროფ. ილია ტაბალუას, პროფ. კუკუერი ლილუაშვილის საინტერესო გამოკვლევები. კიდევ ერთი პერსპექტიული ასპექტი იყო საქართველოს ურთიერთობა ევ-

როპის წამყვან სახელმწიფოებთან. ამ შემთხვევაში აღნიშვნის ღირსია პროფ. ილია ტაბაღუას გამოკვლევები. განსაკუთრებით პერსპექტიულად გვეჩვენება უახლესი ისტორიის საკითხების დამუშავება, რადგან ეს თემატიკა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გაშუქებული და ელის თავის მკვლევარს. ამის კარგი ნიმუშია პროფ. ლევან სვანაძის და პროფ. ალექსანდრე ჩიკვაიძის შრომები, რომელიც ინგლისის უახლეს ისტორიას შეეხება და ძირითადად ინგლისის არქივებში მოძიებულ საინტერესო მასალას ემყარება, რომელიც მათ პირველად შემოიტანეს სამეცნიერო მიმოქცევაში.

მსოფლიოს ისტორიის შესწავლისადმი ქართული ისტორიოგრაფიის მიდგომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას საკითხისადმი წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, დამოკიდებულება მიგვაჩნია. ვფიქრობ, ეს არ ყოფილა შემთხვევით და ის, უწინარესად, საკუთარი შესაძლებლობების რეალისტური შეფასების ლოგიკურ შედეგად გვეჩვენება. რა თქმა უნდა, მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციაზე აქცენტირება არანაირ ჩრდილს არ აყენებს და არ აკნინებს ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის წვლს. ასეთი ნიჰილისტური განწყობილება მეტად ხისტად მიგვაჩნია და, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. ის ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შეტანილ მოკრძალებულ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. სწორი გზას აცდენილი ვიქნებით. გაცილებით უფრო პერსპექტიულად გვესახება ოპტიმისტური მიდგომა. ის დაგვეხმარება ამ საკითხზე უფრო რეალისტური წარმოდგენა შევიქმნათ. არაფერს არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის შედეგები თუ არ აღემატება არაფრით არ ჩამოუვარდება ევროპის ნებისმიერი პატარა ქვეყნის საქმიანობას. ეს მოსაზრება ლაიტმოტივად გასდევს ამ თემაზე ჩვენს შრომებს. ამ მწირი ინფორმაციის შეუფასებლობა სწორი გზიდან გადახვევა იქნებოდა და მიზანშეწონილი არ უნდა იყოს.

ახლა გადავიდეთ კონკრეტიკაზე. ამ პრობლემის დამუშავე-

ბას სხვადასხვა ასპექტი გააჩნია. ამ რაკურსით საკითხის გაშუქება ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა და საშუალებას მოგვცემს გავფანტოთ ის ეჭვები, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ, შეიძლება წარმოიშვას. ამიტომ ასეთი ნაბიჯი გამართლებული უნდა ჩანდეს. დავინწყით პერსონალიებით. ცალკეული ისტორიკოსების ნვლილი მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მათი შემოქმედების გაშუქების პირველ მცდელობასთან. აპოლოგეტური მიდგომა, ცხადია, გამართლებული არ იქნებოდა. კიდევ უფრო მიუღებელია მისი შეუფასებლობა. მარქსისტული სტერეოტიპები და შტამპების გამო მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერერიტიკულად მიგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადექვატური იქნებოდა. ჭეშმარიტება, როგორც წესია, სადღაც შუაში ძევს. უნდა ვეცადოთ ამ ოქროს შუაგულის გამოძებნას. ხაზი გაუსვათ როგორც შუქს, ისე ჩრდილს და შეძლებისდაგვარად შევეცადეთ გამოვარკვიოთ, მისი გამომწვევი მიზეზები. ჩვენი შრომები ამ ოქროს შუაგულის მოძიების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება. ერთი უკიდურესობა, მეორეთი არ უნდა ჩავანაცვლოთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. სასურველი ჩანს უფრო დაბალანსებული მიდგომა.

საქართველოს გასაბჭოებამდე მსოფლიო ისტორიის შესწავლისადმი ინდიფერენტული, გულგრილი, განწყობილება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს. ის, ცხადია, პრიმატული, მარტივი, ფორმით ხორციელდება და თავდაპირველად სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, ხოლო შემდეგ ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, ჩარჩოებში თავსდება და ჟურნალ-გაზეთების, პრესის ფურცლებზე ჰპოვებს ასახვას. მას გვერდში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ამოუდგა. ეს იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. 1918-1921

წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა. ეს იმით გამოიხატა, რომ მან პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკის, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან, სასკოლო სახელმძღვანელოებში გადაინაცვლა. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამ მწირი მასალის შეუფასებლობა გამართლებული არ უნდა ჩანდეს. გადაიდგა პირველი ნაბიჯები მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის, გზაზე. ასეთი სურათი იკვეთება, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ქართული საზოგადოებისათვის ნაკლებად იყო ცნობილი. საქართველოს გასაბჭოებამდე მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაცია წინ მიიწევეს, პროგრესირებს და საინტერესო ევოლუცია განიცადა. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. მთავარი კი ის იყო. რომ ეს საქმე სწორ გზაზე იდგა. ეს მათი წარმატება იყო და ამის შეუფასებლობა, ცხადია, არ ივარგებს.

კიდევ ერთი საინტერესო მხარეს, ცხადია, წარმოადგენს საკითხი საქართველოში მსოფლიო ისტორიის ცალკეული საკვანძო საკითხების გაშუქება. საყურადღებო რაკურსია. ამ კუთხით საკითხის შესწავლას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. მას აქვს ქართული კონტექსტი. ეს სიახლეა და ამ ასპექტში საკითხის გაშუქების პირველ მცდელობას წარმოადგენს. ის სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. ერთ-ერთ ასეთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას, ცხადია, წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევის და პოპულარიზაციის შერწყმის, შეხამების, მცდელობა. საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლა. ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ის საკითხის მეცნიერული კვლევის და პოპულარიზაციის ნაზავია. მსოფლიო ისტორიის სხვა აქტუალურ პრობლე-

მებთან მიმართებაში ასეთი სურათი იკვეთება. საქმე გვაქვს ამ საკითხის პოპულარიზაციასთან ანდაც, ყველაზე უფრო უკეთეს შემთხვევაში, ის წარმოადგენს ამ პრობლემების პოპულარიზაციის და მეცნიერული შესწავლის, კვლევის, ნაზავს. ეს, ცხადია, კარგია, ასეთი პატარა ქვეყნისათვის როგორც საქართველოა ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია.

აქ წამოიჭრება ერთი საკითხი, რომელიც სადავო შეიძლება გახდეს და, მისი გვერდის ავლა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცდებით ჩვენი პოზიცია დავაფიქსიროთ, რაც საშუალებას მოგვცემს საკითხი გაცილებით უფრო გამჭვირვალე გახდეს. ზოგიერთ ცალკეულ საკითხთან მიმართებაში, შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რამდენად საკმარისია ეს მცირე მასალა და რამდენად შეიძლება გახდეს ის მეცნიერული განსჯის საგანი? ასეთი სკეპტიკური განწყობილებას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. ეს შეიძლება ერთი მოსაზრება იყოს. პირადად ჩვენ ამგვარი დამოკიდებულება მეტად პესიმისტურად გვეჩვენება, შეიძლება ამუქებდეს საქმის რეალურ ვითარებას და მსოფლიო ისტორიის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შეტანილ მოკრძალებულ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. შეიძლება იყოს განსხვავებული მოსაზრება. ის უფრო ოპტიმისტურად გამოიყურება. დავინწყით იმით, რომ ეს მწირი ინფორმაცია არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას, გადმოცემას. ის არ გახლავთ ფაქტების უბრალო გროვა. ეს ნამდვილად არ იქნება საინტერესო. თხრობაში ჩადებულია შემეცნებითი მუხტი. თუ კარგად ჩაუკვირდებით ეს მხედველობიდან არ გაგვეპარება. ის მკვეთრად გამოკვეთილ სამეცნიერო შემეცნებით დატვირთვას იძენს. ამას აქვს მნიშვნელობა. ეს საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, თუ როგორ შეიძლება ყოფილიყო, მათი დამოკიდებულება მსოფლიო ისტორიის აქტუალური პრობლემებისადმი. ეს კი, რა თქმა უნდა, პატარა საქმე არ იყო. ის, ინფორმირებულობასთან

ერთად, ამ შრომებში კიდევ ერთი პლუსია. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან თითქოს ეს შრომები წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას, ეს ძალიან გადაჭარბებული იქნებოდა. მას გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელიც წარმოადგენს მეცნიერული პაექრობის საგანს. ჩვენ, სწორედ ამ გზით ნასვლა ვარჩიეთ. ის უფრო პერსპექტიულად გვესახება. ყურადღებას მივაპყროთ რამდენიმე გარემოებას, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო შეიძლება იყო. პირველი. ამ კუთხით საკითხის გაშუქება წარმოდგენას შეგვიქმნის საერთო სურათზე. რა გვაქვს გაკეთებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. მეორე. რა გვაქვს გაკეთებული ამ საკითხზე. რაში მდგომარეობს მისი შუქრდილები და რითი შეიძლება ყოფილიყო ის განპირობებული. მესამე. გაკეთებული ცოტაა. გასაკეთებელია გაცილებით მეტია. მიგვანიშნებს რა დარჩა კიდევ გასაკეთებელი და რა გზით უნდა წარიმართოს ამ თემის შესწავლა. მეოთხე საშუალებას მოგვცემს ამ საკითხზე გაცილებით უფრო რეალისტური წარმოდგენა შევიქნათ, ვიდრე მანამდე გვექონდა. ის მთელის შემადგენელი ნაწილია. ასე რომ სიმართლე გითხრათ, აქ ნიჰილისტური განწყობილების საფუძველს ვერ ვხედავთ. ეს უფრო საბაბი შეიძლება თუ იყო, ვიდრე მიზეზი.

დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ მსოფლიოს ისტორიის პოპულარიზაციას დიდ ყურადღებას აქცევდნენ ჩვენი წინაპრები. პირველ ყოვლისა კი, რა თქმა უნდა, ქართველი სამოციანელები: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი, დათა მიქელაძე, ცოტათი უფრო მოგვიანებით ვლადიმერ ლორთქიფანიძე, ნოე ჟორდანიას, ვარლამ ჩერქეზიშვილი. ამ თემატიკის პოპულარიზაციის მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ გათავისებულები ჩვენს მასწავლებლებს: პროფ. ალექსანდრე ნამორაძეს, პროფ. გრიგოლ ნათაძეს, პროფ. გივი კილურაძეს, პროფ. გივი ჟორდანიას, პროფ. კოტე ანთაძეს, პროფ. ვარლამ დონაძეს, პროფ. ილია ტაბაღუას. ამიტომ მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციისადმი, კონკრეტულად კი, სასწავლო-საცნობარო ლიტერატურისადმი, სასკოლო სახელმძღვანელოებისადმი,

სკეპტიკური განწყობილება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, გამართებული არ უნდა ჩანდეს და მიზანშეწონილები არ იქნებოდა. მას გააჩნია სამეცნიერო-შემეცნიებითი დატვირთვა, რაც თვითონ თხრობაშია ჩადებული და ამაზე თვალის დახუჭვა დამაჯერებელი არ უნდა იყოს. ამიტომ, სიმართლე გითხარტ, სასკოლო სახელმძღვანელოების მეცნიერული მნიშვნელობის შეუფასებლობის მიზეზს, ვერ ვხედავთ. საბაბი, მიზეზი როდია. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში სწორ გზას აცდენილი აღმოვჩნდებით. ეს საკითხი ჩვენ, სწორედ, ასე წარმოგვიდგენია. ამ მასალის შეუფასებლობა მსოფლიოს ისტორიის შესწავლის საქმეში ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შეტანილ წვლილზე, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ გაღარიბებულ წარმოდგენას გვიყალიბებს, რაც, ჩვენი აზრით, მართებული არ უნდა იყო. „ეს გზა ტაძართან ვერ მიგვიყვანს“. მაშინ, „რა საჭიროა ის გზა, რომელიც ტაძართან არ მიგვიყვანს“. ერთ შემთხვევაში, ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის საქმიანობის საერთო სურათი გაცილებით უფრო გაღარიბებულია, ვიდრე ის სინამდვილეში იყო. მეორე შემთხვევაში კი ის უფრო ობიექტური განწყობილების საფუძველს გვიქმნის და შედარება უფრო მრავალფეროვანი, მდიდარია. ვფიქრობთ, ეს გაცილებით უფრო რეალისტური უნდა ჩანდეს.

ამ პრობლემისადმი განსხვავებული მიდგომის მთავარ პოსტულატად, თეზად, გვევლინება სამი გარემოება: 1. განსხვავებული მიდგომის, მთავარ კვინტერენციად, დედააზრად, 1918-1921 წლებში ამ დარგში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილის და იმ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების რეანიმაცია, რეაბილიტაცია, გვევლინება. ფაქტობრივად, ჩვენ აღნიშნულ მონაკვეთს და ამ სახელმძღვანელოებს დაუბრუნეთ არსებობის უფლება, რომელიც მას, საბჭოთა წლებში ჩამორთმეული ჰქონდათ. ამგვარი მიდგომა, ბუნებრივია, ამ დარგის წარსულის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. ჩვენ ვცადეთ ამ შეუსაბამობის გასწორება.

განსხვავებული მიდგომა ითვალისწინებს საბჭოთა წარმოდგენის კორექტირებას, დაზუსტებას, საქმე გვაქვს მისი გადასინჯვის, რევიზიის, მცდელობასთან. როგორც ირკვევა, საქართველოში მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაცია სწორი გზით მიდიოდა, ვითარდება, პროგრესირებს, საინტერესო ევოლუცია განიცადა. 2. განსხვავებულია საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი დამოკიდებულება. სულ სხვა აქცენტები დავსვით. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის უგულვებლყოფა, ცხადია, არ ღირს, ზედმეტი იქნება. საკითხისადმი მეცნიერული დამოკიდებულება კვლავ ძალაშია, არსად არ გამქრალა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვინრო დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ამან გამოიწვია საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. ჩრდილი დომინირებდა შუქზე. განსხვავებული აზრის უგულვებლყოფა საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის ნიშანდობლივი გახლდათ. მისი კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. 3. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს იმ არასახარბიელო მემკვიდრეობას, რომელიც ერგო წინამორბედებისაგან. გათავისუფლდეს იდეოლოგიური კონტროლისაგან, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამახასიათებელი შტრიხი აღმოჩნდა და მეორეს მხრივ, თავი დააღწიოს ვინრო ემპირიზმს და ფაქტოლოგიას, ისტორია თხრობას, აღწერას, რაც შეინიშნებოდა პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიაში. ისტორია არ გახლავთ შემგროვებლური მეცნიერება, როგორც ამას პოზიტივისტები ამტკიცებდნენ. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეძლო შეენარჩუნებინა ევროპული პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს ევროპული ისტორიოგრაფიის წარსულია, გუშინდელი დღეა და არა მომავალი, ხვალინდელი დღე. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება კი არ უნდა შეჩერდეს, არამედ უნდა გაგრძელდეს.

ამას ალტერნატივა არ გააჩნია. ჩამოვრჩით, ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ. ეს გახლავთ რეალობა და მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება, მიზანშეწონილობა არ უნდა იყოს. ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ფარგლებს და მას მკვეთრ გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ის კარგი ცხოვრებით არ იყო განპირობებული. XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი თავისებურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

მაშ ასე, ამ მონაკვეთის და ამ სახელმძღვანელოებისადმი ამგვარი სკეპტიკური განწყობილება ადვილი გზით სიარული იქნება, უკვე იყო და ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. ჩვენ ვცადეთ სულ სხვა გზით წავსულოყავით და ამ საკითხისადმი უფრო ოპტიმისტურად შეგვეხედა. მასში პოზიტივი ამოგვეკითხა. რაც არ უნდა იყოს ეს არის მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ასე წარმოიშობა განსხვავებული მიდგომა. წინამდებარე ნაშრომი აღნიშნული თემის სწორ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ მოკრძალებულ ნაბიჯს წარმოადგენს.

პარი პირველი

პიღეე ერთი საბჭოთა მითი ჩამოიშალა

თავი პირველი

მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოები

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით საკითხის განხილვა საინტერესო იქნება და აქტუალურად მიგვაჩნია. ის საქართველოს გასაბჭოებამდე მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილ მოკრძალებულ წვლილზე გაცნობით უფრო რეალისტურ წარმოდგენას ჩამოგვიყალიბებს, ვიდრე ეს აქამდე იყო. ის სწორ გზაზე იდგა, წინ მიდიოდა. ვითარება პროგრესირებდა, საინტერესო ევოლუცია განიცადა. ეს მათი წარმატება იყო და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა პერიოდში, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ის ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. ამ რაკურსით აღნიშნული საკითხი გაშუქებული არ ყოფილა და ჩვენი შრომები ამის გაკეთების პირველ მცდელობას წარმოადგენს. მან საინტერესო სახეცვლილება განიცადა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ თავდაპირველად ის მარტივი, პრიმიტიული ფორმით ხორციელდებოდა და გამოცხილი ჰქონდა სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, შემდეგ პუბლიცისტიკის ჟურნალისტიკის სფეროში და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს არ გასცილებია. მას გვერდში ამოუდგა წერა-კითხ-

ვის გამავრცელებელი საზოგადოება მკვეთრ მეტამორფოზს აქვს ადგილი. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მან სერიოზული ფორმა შეიძინა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი მიიღო და ასახავს პოვა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე, ნამდვილად, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. საქმისადმი მიდგომა თანდათან და ნელ-ნელა მეცნიერულ ელფერს იძენს. იკითხება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა. წინსვლის ნიშნები ნამდვილად იყო და სულაც არ ატარებდა ისეთ ილუზორული ხასიათს, როგორიც ეს დღესაა.

აქვე ვიტყვით, რომ განსხვავებულ მიდგომას გააჩნია ორი მხარე ზოგადი და კონკრეტული. პირველი საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, საერთო სურათი და პერიოდიზაცია. ის საბჭოთა მიდგომის საპირწონეა. მეორე კონკრეტული კი გაცილებით უფრო რეალისტურ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოში მსოფლიო ისტორიის ცალკეული, აქტუალური თემების გაშუქების საქმეში შეტანილი მოკრძალებულ წვლილზე. ის სწორ გზაზე იდგა.

წინამდებარე ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს პოლემისტური მიუხეტი, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერულად, არაგუმენტირებულად, გააბათილოს ამ საკითხზე საბჭოთა წარმოდგენა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საბჭოთა მიდგომის გადასინჯვის, რევიზიის, მცდელობასთან. მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის განვლილ გზაზე, წარსულზე, გაცილებით უფრო რეალისტური წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაეხმარება, ვიდრე ეს საბჭოთა წლებში იყო. განსხვავებული მიდგომის სამ მთავარ კომპონენტად გვევლინება. 1. ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებელი წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია. მიუხედავად იმ ექსტრემალური ვითარებისა, დროის მცირე

მონაკვეთისა, ფაქტობრივად ცაიტნოტისა, რომელიც, უმთავრესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, მან მაინც მოასწრო თავისი სუსტი, მკრთალი, კვალის დაფიქსირება მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში. ამის წაყრუება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, ამ სფეროში მათ მიერ შეტანილ მცირე წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის და საქართველოში ამ დარგის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ეს განსხვავებული მიდგომის ერთი კომპონენტია. ეს იმ ექსტრემალური ვითარებიდან, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ, ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. 2. განსხვავებული მიდგომის მეორე კომპონენტად საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი სხვაგვარი დამოკიდებულება გვევლინება. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე, პროგრესი, აშკარა, ამას ვერავინ ვერ უარყოფს. ეს სწორი არ იქნება. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაშია, არსად არ წასულა. არ გამქრალა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი ვინოდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ამან გამოიწვია საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. ჩრდილი მეტი იყო შუქზე. განსხვავებული აზრისადმი ინდეფერენტული, გულგრილი, დამოკიდებულება საბჭოთა ისტორიოგრაფიის აქილევსის ქუსლად გვევლინება. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასია. ეს იყო ჩიხური გზა. ბოლოს და ბოლოს საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისმა ლეტალური, ანუ სასიკვდილო, ხასიათი შეიძინა. 3. განსხვავებული მიდგომის კიდევ ერთი კომპონენტია პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიისადმი დამოკიდებულება. ეს აღნიშნული საკითხის გაშუქების პირველი თუ არა ერთ-ერთი პირველი მცდელობაა. საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი და მისი ერთმნიშვნელოვნად

დადებითად ან უარყოფითად, შეფასება ძნელი იქნებოდა. ჩვენი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი უარყოფითი არაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ვინმეს შეიძლება ეჩვენოს, ზედაპირზე დევს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა ის კრიტიკულად მივიჩნიოთ. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია გათავისუფლდა „იდეოლოგიური კონტროლისაგან“, მკაცრი ცენზურისაგან. ეს ცხადია, ძალიან კარგია და წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ერთი უკიდურესობიდან მეორეში ამოვყავით თავი. მკაცრი ცენზურა „იდეოლოგიური კონტროლი“ უკონტროლობამ ჩაანაცვლა. დღეს პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული მდგომარეობის გასაღები, სწორედ, აქ უნდა ვეძებოთ. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფია შეძლებისდაგვარად ცდილობს თავი დააღწიოს იმ არასახარბიელო მემკვიდრეობას, რომელიც, წილად ხვდა, ერთის მხრივ, ერთი ვინროდოგმატიურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და მეორეს მხრივ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისგან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ, ჩვენი აზრით, უმთავრესად, პრიორიტეტი ენიჭება, რაოდენობრივ და არა თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებს. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდის პროცესი ძალიან ნელი ტემპით მიმდინრეობს. დროში საკმაოდ გაიწელა და ძნელი სათქმელია თუ როდის დასრულდება. როგორც ჩვენ გვგონია, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიის განვითარება ხდება სიფართოვეში და ნაკლებად სიღრმეში. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიის მთავარ პრობლემად, სწორედ, სიღრმე-სიფართოვეში განვითარება წარმოგვიდგენია. ინდივიდუალურ დონეზე პროგრესს, რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება.

დავინწყით სულ თავიდან. ეს დარგი თავის პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს. ასეთად მიგვაჩნია 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ მსოფლიო

ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი მოკრძალებული წვლილი. მან იმ ექსტრემალურ პოლიტიკურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც, უმთავრესად, პოლიტიკურ ქართველებთან ასოცირდებოდა, მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო თავისი სუსტი, მკრთალი, კვალის დატოვება. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს. მეტის გაკეთება, უბრალოდ, ვერ მოასწრეს. ეს არ იყო მათი ბრალი. დაწყებული საქმე დასრულებული არ ყოფილა. მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა მოასწრეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მათი მდიდარი მეცნიერული პოტენციალი ბოლომდე არ ყოფილა რეალიზებული. ეს არ გახლავთ მხოლოდ ლიტონი სიტყვები. ამის შესაძლებლობა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება განსაზღვრა არა წმინდა აკადემიურმა ფაქტორმა, არამედ პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ის განუხორციელებულ იდეებთან უფრო მეტად ასოცირდება, ვიდრე განხორციელებულთან. ყველა ჩანაფიქრი ვერ იქნა რეალიზებული. უბრალოდ, მისი ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს.

საბჭოთა წლებში ეს მონაკვეთი, ამ დარგის წარსულიდან ელიმინირებული, ამოღებული, იქნა, გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებობდა. მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია და უკვე აღარავის ახსოვდა. თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა. ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული გახლდათ. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ფაქტების სანინალმდეგოდ გვიმტკიცებდნენ, რომ ამ სფეროში საქართველოს გასაბჭოებამდე დადებითი არაფერი ხდებოდა. საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე ცალმხრივი და ტენდენციური. ყოველ-

გვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. მეტად ხისტად მიგვაჩნია. ძირშივე მცდარია და რაც ყველაზე მთავარია არაეროვნული და არაპატრიოტულია. დღეს ის უკვე მოძველებულია, ყავლი გაუფიდა, ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა. საბჭოთა წარმოდგენა ჩამოიშალა, გაკოტრდა. სრული ფიასკო განიცადა. ის ტაბუდადებულ თემად იქცა. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. თვით სპეციალისტთა ვიწრო წრისათვისაც კი, ეს სახელმძღვანელოები ნაკლებად ცნობილი რჩებოდა. (წერეთელი, 1978. კილურაძე, 1970. 347-367. ტაბალუა, 1983, 161-171). ამ შემთხვევაში ჩვენ ბრალს ვდებთ არა რომელიმე ცალკეულ ისტორიკოსს, არამედ სახელმწიფოს, რომელიც ცდილობს ჩაერიოს მეცნიერებაში და ძალით მოახვიოს თავს სახელმწიფოსთვის სასურველი იდეოლოგია. სწორედ ეს მიგვაჩნია მიუღებლად. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ თემის განხილვა პოლიტიკური განსჯის სფეროდან აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. ეს უკვე სულ სხვა მიდგომა იყო. სულ სხვა აქცენტები დავსით, სულ სხვა ღირებულებები დავსახეთ უფრო პრიორიტეტულად. ამ დარგის განვითარების სულ სხვა საერთო სურათი და პერიოდიზაცია დავდეთ, ვიდრე მანამდე იყო.

განსხვავებული მიდგომის მთავარ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ამ მონაკვეთის და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში გამოცემული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელობის რეანიმაცია, რეაბილიტაცია. ჩვენ ვცადეთ ამ სახელმძღვანელოებისათვის დაგვებრუნებინა არსებობის უფლება და მოგვეძებნა მისთვის კუთვნილი ადგილი ამ დარგის ისტორიაში. ეს სიახლე იყო. ქართული კონტექსტი გააჩნია და აღნიშნული საკითხის განხილვის პირველ მცდელობად გვევლინება. ჩვენ პირველად შემოვიტანეთ ეს მასალა სამეცნიერო მიმოქცევაში. ჩვენ თვალწინ ჩამოიშალა კიდევ ერთი საბჭოთა მითი. მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება. განსხვავებული მიდგომა საბჭოთა წარმოდგენის

საპირწონეა და მიზნად ისახავს მის მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გაბათილებას. საქმე გვაქვს საბჭოთა მიდგომის გადასინჯვის, რევიზიის, მცდელობასთან. მისი უგულვებლყოფა, იგნორირება, რაც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა წლებში ანდაც შეუფასებლობა, რომელიც ძველი ინერციით, ჯერ კიდევ შეინიშნება, არ უნდა ჩავანაცვლოთ, აპოლოგეტური ტონით. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში უნდა ვეძებოთ. ჩვენ შევეცადეთ მოგვეძებნა ეს საშუალებო ხაზი, რომელიც საშუალებას მოგცემს გამოვკვეთოთ, როგორც შუქი ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად შევეცადეთ გამოგვერკვია მისი გამომწვევი მიზეზები. ეს გვესახება საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომად, რომელსაც, ბუნებრივია, ექნება თავისი პლუსები და მინუსები და ის არ წარმოადგენს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას. ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ საკითხის საკუთარ ვერსიას. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. განსხვავებული მიდგომა ლაიტმოტივად გასდევს ამ თემაზე ჩვენს შრომებს (კალანდაძე, 2006, კალანდაძე, 2007, კალანდაძე, 2009, კალანდაძე, 2015, კალანდაძე 2016, კალანდაძე, 2021, კალანდაძე 2021^ა, კალანდაძე 2021^ბ, კალანდაძე, 2023, კალანდაძე, 2024). წინამდებარე ნაშრომი თავისებურ რეზიუმედ გვევლინება და ერთგვარად აჯამებს ამ მიმართულებით ჩვენს მიერ გაწეულ სამუშაოს. ყველაზე უფრო სწორი იქნება მას, სწორედ, ამ კუთხით შევხედოთ.

ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრს მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა პოლიტიკური ისტორიის თხრობაზე, ხოლო ისტორიული მეცნიერების სხვა აპარტამენტები, პირველ რიგში კი, ცხადია, სოციალ-ეკონომიკური ისტორია და კულტურა, გაშუქებულია შედარებით უფრო მკრთალად, სუსტად და ყველაზე უფრო უკეთეს შემთხვევაში, პერიფერიულ თემად გვევლინება. ქარ-

თული ისტორიოგრაფია ცდილობს არ ჩამორჩეს და ფეხი აუწყოს ამ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ მეცნიერებაში გასული საუკუნის გარიჟრაჟზე და დანერგოს ქართული ისტორიოგრაფიაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მასში მიუღებელს ვერც ვერაფერს ვხედავთ. ამგვარი მიდგომა ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილია. ეს ერთი მეორე. ის ევროპელი, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ თავდაპირველად ქართული ისტორიოგრაფია მსოფლიო ისტორიის აქტუალური საკითხების გაშუქების დროს სწორი გზით მიდიოდა. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული, სწორ აქცენტებს სვამდა. სწორ არჩევანს აკეთებდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. პრიორიტეტული იყო თავისუფალი აზროვნება. ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებები. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს, საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ასეთია რეალობა და მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. ეს მათაც კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული. ცდილობდნენ მის შემდგომ სრულყოფას, დახვეწას, მაგრამ, იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, მისი ბოლომდე მიყვანა, უბრალოდ, ვერ მოასწრეს. სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროცესი დასრულებული არ ყოფილა. მიმდინარეობდა მასზე მუშაობა. ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს სახელმძღვანელოების დანერის ოპტიმალურ ვარიანტის მოძიების პროცესთან. სახეზეა საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წანამძღვრები, კონტურები, სიმპტომები, პირველი ნიშნები. იკვეთება საკითხ-

ისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა. ეს საკმაოდ კარგად იკითხება და, ვფიქრობთ, გამჭვირვალე უნდა იყოს. პრობლემისადმი მეცნიერული მიდგომის მცდელობა თავის პირველ ნაბიჯებს დგამს. არსებობდა იმისი დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები ქართული ისტორიოგრაფიის სწორი გზით განვითარება გაგრძელდებოდა და დასრულებულ სახეს შეიძენდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა და მოვლენები, სულ სხვა სცენარის მიხედვით წარიმართა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელი იქნება მივიჩნიოთ.

ეს მონაკვეთი საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა, სიტყვაკაზმულ ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის სფეროდან, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან, თარგმნილი ლიტერატურიდან. მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებში გადაინაცვლა. იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე ეს, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯია და სიახლეს მოკლებული არ იყო. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის მცდელობა თავის პირველ, მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს და თავისი, სუსტი, მკრთალი, კვალის დაფიქსირება, მხოლოდ, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა. ეს მწირი ინფორმაცია საკმარისი არ უნდა იყოს, მაგრამ სხვა მასალა არ გავაჩნია. ამიტომ უნდა დავჯერდეთ იმას რაც გვაქვს. ზედმეტი ამბიცია სასურველი არაა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს, საქართველოში მსოფლიო ისტორიის მეცნიერული შესწავლის პირველი მოკრძალებული ნაბიჯების გადადგმის მცდელობასთან, რომლის სუსტი, მკრთალი კვალი, მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ასწრებს დაფიქსირებას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, პატარა საქმე არ

არის და მათი წარმატება იყო. მოდით ამ საკითხს უფრო ობ-
ტიმისტურად შევხედოთ.

დღეს ეს სახელმძღვანელოები, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა, მაგრამ არის ერთი, ჩვენი აზრით, პატარა, მაგრამ საინტერესო ნახნაგი, რომელსაც თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარ-
გავს და კვლავაც ინარჩუნებს მნიშვნელობას. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ეს სახელმძღვანელოები წარმოად-
გენს ამ დარგის წარსულის, ისტორიის, წყაროს. განსხვავებული მიდგომა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, სწორედ, ამ სახელმძღვანელოებს, როგორც ამ დარგის ისტორიის, წარსუ-
ლის, წყაროს ეყრდნობა. ეს სულ სხვა რაკურსია. ჩვენ მასში, სწორედ, ეს მხარე შევეცადეთ ამოგვეკითხა. (კალანდაძე, 2021^ა, 9-27, კალანდაძე 2021^ბ).

ჩვენს შრომებს ლაიტმოტივად გასდევს მოსაზრება, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში ეტა-
პობრივ მოვლენად გვევლინება 1918 წლის 8 თებერვალს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის გახსნა. ეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის უვერტიურად გაისმა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს და-
მოუკიდებლობის გამოცხადება. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ დარგის აკვანი დაირწა თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტში და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს ფაქტი ეკალივით ესობოდათ თვალში ბოლშევიკებს და ყოვ-
ელნაირად ცდილობდნენ ნაეშალათ ქართველი ხალხის ცნობი-
ერებიდან, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ხელი მოეცარათ. ამაოდ დაშვრნენ. სრული ფიასკო განიცადეს. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“. საბჭოთა წარმოდგენა ჩამოიშალა, გაკოტრდა.

ამ საქმეში საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობის უს-
აშველოდ გაბუქვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, გადაჭარბებული უნდა იყოს და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. წინამორბედების წვლილის გაბიაზურების ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმატების უსაშველოდ გაზ-

ვიადება. ამ საქმეში საქართველოს გასაბჭოების როლის ჰიპოთეზა საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამახასიათებელი შტრიხია, მაგრამ დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა. ისტორიოგრაფიული რეტროს ელფერი დაკრავს.

იჩვევა, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის გაშუქების პირველი პრეცედენტი იქმნება არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა წლებში, არამედ შედარებით ცოტათი უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ასეთი იყო სინამდვილე, რომელიც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, კადრში ვერ ხვდებოდა და ფართო საზოგადოების თვალთხედვის არეალს მიღმა რჩებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ასე ჩაეყარა საძირკველი განსხვავებულ მიდგომას, რომელიც ქართულ საზოგადოებას ამ თემაზე უფრო რეალისტურ წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

ამრიგად, მიუხედავად იმ ექსტრემალური ვითარებისა, დროის მცირე მონაკვეთისა, ფაქტობრივად ცაიტნოტისა, რომელიც, უპირველესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან გახლდათ დაკავშირებული, მათ მაინც მოასწრეს, თავისი მოკრძალებული ნვლილი შეეტანათ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში, რომლის სუსტი, მკრთალი, კვალი მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში იქნა დაფიქსირებული. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს. ამ მონაკვეთს დასრულებული სახე არ მიუღია. მისი მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ის აშკარად, ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად, რაც კარგი ცხოვრებით არ ყოფილა განპირობებული. ასეთია რეალობა და

მისი არც გამუქება და არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

ლიტერატურა:

1. წერეთელი, 1978. ქ. წერეთელი, სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში 1804-1917 წლებში.
2. კილურაძე, 1970. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი. თბ.,
3. ტაბალუა, 1983. ი. ტაბალუა, ვ. ჩოჩია, მსოფლიო ისტორიის შესწავლა და კვლევა, საქართველოში ევროპის ისტორიის პრობლემები, ნაწილი მესამე. თბ.,
4. კალანდაძე, 2006. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ.,
5. კალანდაძე, 2007. მ. კალანდაძე, მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში. თბ.,
6. კალანდაძე, 2009. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან. თბ.,
7. კალანდაძე, 2015. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში. თბ.,
8. კალანდაძე, 2016. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე. თბ.,
9. კალანდაძე, 2021. მ. კალანდაძე, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა საქართველოში, თბ.,
10. კალანდაძე, 2021^ა. მ. კალანდაძე, ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება. თბ.,
11. კალანდაძე, 2023. მ. კალანდაძე, XX-XXI საუკუ-

ნის დასაწყისის ქართულ ისტორიოგრაფიის ევროპულ ორიენტირების ევოლუცია, თბ.,

12. კალანდაძე, 2024. მ. კალანდაძე, სახელმძღვანელოს საინტერესო ისტორია, მითები და რეალობა, თბ.,

13. კალანდაძე, 2021^ბ. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები (1918-1921) როგორც ამ დარგის ისტორიის წყარო, ახალ და უახლოესი ისტორიის საკითხები, 1(25). თბ.:

თავი მეორე

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საინტერესო მეთაგორფოზი

საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა საბჭოთა წარმოდგენის საპირწონეა. პირველ ყოვლისა, ნათქვამი ეხება საკითხის საერთო სურათს და პერიოდიზაციას. ის კორექტივების შეტანას საჭიროებს და დაზუსტებას მოითხოვს. საბჭოთა მიდგომა აღნიშნულ საკითხის სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. როგორც უკვე ითქვა, შევეცადეთ ამ საკითხის გაშუქება პოლიტიკური განსჯის სფეროდან, აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. ყველაზე უფრო საინტერესო და რთულია გასაბჭოებამდე მონაკვეთი, რომელიც, შემდგომი პერიოდისაგან განსხვავებით, პოლიტიკური ნიშნით არ ხასიათდება. მას ამ დარგის წარსულში მომხდარი ცვლილებები განსაზღვრავდა. საინტერესო სურათი იკვეთება.

საქართველოში ძველი ქვეყნების და დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის გაშუქების ძირითადი ეტაპების გამორკვევა ძნელი არაა და საკმაოდ გამჭვირვალეა. გაცილებით უფრო რთულია საქართველოში ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესებისათვის თვალის გადავლება. მას შედარებით უფრო ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია და შედარებით უფრო ვრცელ პერიოდს მოიცავს. ეს ადვილი გასაგებიცაა და ამ თემატიკის აქტუალობასთან უნდა ასოცირდებოდეს. იმდროინდე-

ლი გადასახედიდან ის ხშირად უახლესი ისტორია უფრო იყო.

საქართველოს გასაბჭოებამდე მსოფლიო ისტორიის პრობლემებით დაინტერესების კულმინაციად, პიკად, 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები მიგვაჩნია. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამის შეუფასებლობა საბჭოთა მიდგომის ნისქვილზე ასხამს წყალს და მიუღებლად მიგვაჩნია. ჩვენს შრომებს ლაიტმოტივად გასდევს უფრო ოპტიმისტური მიდგომა. ვფიქრობთ, ეს გაცილებით უფრო სწორი უნდა იყოს.

როგორც ირკვევა, ქართულ ისტორიოგრაფიას ამ სფეროში თავისი საქმიანობა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ცარიელ ნიადაგზე, ნულიდან კი არ დაუწყია, როგორც ამას საბჭოთა წლებში ამტკიცებდნენ, არამედ გარკვეული ტრადიცია დახვდათ, რომლის უარყოფას ამაოდ ცდილობდნენ. საქართველოში ძველი ქვეყნების ისტორიაზე და შუა საუკუნეებზე პირველი სპორადული ცნობები ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ წლებში გაჩნდა და, უპირატესად, თარგმნილ ლიტერატურასთან ასოცირდებოდა. (ბაქრაძე, 1880, გირო... 1906 ნორმანი, 1903, გაუსი, 1906. ჟანა დარკი 1889 იან ჰუსი, 1889). მაგრამ აქედან ამ თემატიკით დაინტერესების ათვლის დაწყება მართებული არ იქნებოდა და ნაადრევია. ყველაზე უფრო უკეთეს შემთხვევაში ამ მწირმა ინფორმაციამ საქართველოში ამ თემატიკით დაინტერესების უვერტიურად გაიჟღერა. მისი ცალკე გამოყოფა, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და დამაჯერებელი არ იქნებოდა. ამ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. ამის გაკეთებისათვის ეს მართლა ძალიან ცოტაა, საკმარისი არაა. სერიოზულ დაინტერესებაზე საუბარი შეიძლება 1918 წლის შემდეგ და მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია ორ გარემოებასთან. 1918 წლის 8 თებერვალს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნასთან, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლო-

ბის აღდგენის უვერტიურად გაისმა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამიტომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის საკითხებით დაინტერესების დაწყება 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებით დაგვიანებულად მიგვაჩნია და სერიოზული კორექტივების შეტანას და დაზუსტებას საჭიროებს. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. საკითხის პერიოდიზაცია აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. საქართველოში ძველი ქვეყნების და შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს და მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური სარჩული გააჩნია.

1. ძველი ქვეყნების ისტორიის თემატიკით დაინტერესება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

2. ძველი ქვეყნების ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში – 1921-1991 წლები.

3. ძველი ქვეყნების ისტორიის შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება (მ. კალანდაძე, 2021^ა, მ. კალანდაძე, 2022. მ. კალანდაძე, 2022^ბ).

ზუსტად ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის გაშუქების დროს. ის ასევე სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია.

1. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

2. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხების შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში – 1921-1991 წლები.

3. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხების გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. როგორც უკვე აღინიშნა, ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში,

როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება (კალანდაძე, 2009. კალანდაძე, 2017).

გაცილებით უფრო საინტერესო და ძნელია საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლის პერიოდიზაცია. შეიძლება იყოს რამდენიმე ვარიანტი: პირველი საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლა, გაშუქება, ალბათ, ყველაზე უპრიანი იქნებოდა პირობით ორ პერიოდად დაგვეყო: 1. საქართველოს გასაბჭოებაამდე. XIX საუკუნის დასაწყისიდან, ან კიდევ უფრო ადრე და 1921 წლამდე. 2. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. 1921 წლიდან დღემდე. თავის მხრივ ეს ორი პერიოდი კიდევ შეიძლება დაიყოს რამდენიმე მონაკვეთად. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდა პერიოდიზაციასთან. ამ კუთხით საკითხზე ყურადღების გამახვილება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. პირველი პერიოდი შეიძლება დაიყოს ორ ან სამ მონაკვეთად. 1. XIX საუკუნის დასაწყისიდან ან კიდევ უფრო ადრე და 1918 წლამდე. 2. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა 1918-1921 წლებში. აქ ყველაფერი საკმაოდ გამჭვირვალეა. შეიძლება იყოს სხვა ვერსია. ის სამ პერიოდად დაიყოს. უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და ნიუანსობრივია. მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება XIX საუკუნის 60-იანი წლები. გაჩნდა ჟურნალ-გაზეთები, პერიოდული პრესა. მოგვიანებით შეიქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ეს მონაკვეთი 1918 წლამდე სამ ეტაპად დაიყო. XIX საუკუნის დასაწყისიდან, 60-იან წლებამდე. აქედან 1918 წლამდე და 1918-1921 წლები. ეს შეიძლება იყოს მეორე ვარიანტი.

მეორე პერიოდი საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პოლიტიკური ნიშნით ასევე ორ მონაკვეთად შეიძლება გაიყოს 1. საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). 2. საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც

დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. ეს არის ერთი ვერსია. შეიძლება იყოს სხვა ვერსიაც.

მეორე ვარიანტი ითვალისწინებს მის სამ პერიოდად დაყოფას. პერიოდი XIX საუკუნის დასაწყისიდან 1918 წლამდე ამ პრობლემატიკით დაინტერესების შესავლად, წინარეისტორიად, უვერტიურად, შეიძლება იქნას მოაზრებული. სერიოზული დაინტერესება კი შეიძლება დავინწყოთ 1918 წლიდან და ის პოლიტიკური ნიშნის მიხედვით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს: 1. საქართველოში ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 2. საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). 3. ახალი ისტორიის საკითხების გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება.

მესამე ვარიანტი. საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლა ოთხ პერიოდად შეიძლება დაიყოს. 60-იანი წლებამდე მონაკვეთი ამ პრობლემატიკით დაინტერესების შესავლად, წინაისტორიად შეიძლება იქნას მოაზრებული. პირველი პერიოდი იწყება 60-იანი წლებიდან, როდესაც ჩნდება პერიოდული პრესა, ჟურნალ-გაზეთები. მას გვერდში ამოუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მან გასტანა 1918 წლამდე. 2. ახალი ისტორიის პრობლემებით დაინტერესება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 3. ახალი ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). 4. ახალი ისტორიის საკითხების გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე.

და ბოლოს მეოთხე ვარიანტი. ის ითვალისწინებს საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლის კიდევ უფრო დანაწევრებას და ხუთ პერიოდად დაყოფას. ქართულ რეალობაში პირველ სპორადულ ცნობებს ახალი ისტორიის პრობლემებზე

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, შეიძლება ცოტათი უფრო ადრეც, გადავანყდებით. ამ დაინტერესების მწვერვალს, პიკს, წარმოადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ნაპოლონი“ (ბარათაშვილი, 1968) და ალექსანდრე ორბელიანის ორი პატარა, მაგრამ საინტერესო წერილი, „ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა“ და „სიტყვა იტალიისათვის“ (ალ. ორბელიანი, 1999 მ. კალანდაძე, 2010). ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, მაგრამ მნიშვნელოვანია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს დაინტერესება გაცილებით დიდი იქნებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ დროს საქართველოში პერიოდული პრესა, ფაქტობრივად, არ არსებობდა ბევრი რამ, ეტყობა, დაიკარგა, განადგურებული იქნა და ჩვენამდე მხოლოდ მწირმა ინფორმაციამ მოაღწია, რომელიც ამ დაინტერესების ფრაგმენტად გვევლინება. ამ ვერსიის თანახმად, ეს მონაკვეთი, XIX საუკუნის პირველი წლები, პირობით საქართველოში ახალი ისტორიის პრობლემატიკით დაინტერესების პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. მეორე პერიოდი იწყება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან და გრძელდება 1918 წლამდე. დანარჩენი სამი პერიოდი უცვლელი რჩება და კარგადაა გამოკვეთილი პოლიტიკური ნიშნით. მესამე ახალი ისტორიის პრობლემებით დაინტერესება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მეოთხე. ახალი ისტორიის პრობლემების შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიაში (1921-1991) და მეხუთე. ახალი ისტორიის გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიაში. 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე. (კალანდაძე, 2023. 29-31). ასე წარმოგვიდგენია საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლის საერთო სურათი და პერიოდიზაცია. შედარებით ყველაზე უფრო მისაღები ორ ან სამ პერიოდად დაყოფა გვესახება. ზედმეტი დანაწევრება არაა საჭირო.

* * *

ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს, რომელიც მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია წინა თემასთან და მის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების შიდაპერიოდიზაციასთან. მის საეტაპო მომენტებთან. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. წინამდებარე ნაშრომის ამ თემის წინ ნამოწვევის კიდევ ერთი მცდელობას წარმოადგენს.

დავინწყოთ პირველი ეტაპით. ის, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა და უმთავრესად, პოლიტიკური ქარტეხილის გამო, მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. მსოფლიო ისტორიის შესწავლა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამ საქმეში და თავისი სუსტი, მკრთალი, კვალის დაფიქსირება მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო. უფრო მეტის გაკეთება, უბრალოდ, ვეღარ მოასწრეს. ეს არ იყო მათი ბრალი. ამის მიზეზები აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. ის კარგი ცხოვრებით არ იყო გამომწვეული. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. მას დასრულებული სახე არ მიუღია. ეს დასაწყისი იყო და არა დასასრული. როგორც ეს სინამდვილეში გამოვიდა.

მეორე მონაკვეთს ასევე მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია და საქართველოს გასაბჭოებას უკავშირდება. მსოფლიო ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიაში (1921-1991), ის, პირობით სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს. ეს არის საკითხის შიდაპერიოდიზაცია. ამ პერიოდის შიგნით მნიშვნელოვან ნიშანსვეტად 30-

იანი წლების შუა ხანები გვევლინება. ის საქართველოში მსოფ-
ლიო ისტორიის შესწავლის ოპტიმალურ ხანად შეიძლება იქნას
მოაზრებული. ეს არცაა გასაკვირი და მასში საბჭოთა კავშირში
ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების უკანასკ-
ნელი მბუჭტავი სხივი უნდა დავინახოთ. არსებითად იცვლება
ვითარება 30-იანი წლების შუა ხანებიდან. აქედან მოყოლებული
იწყება მეორე მონაკვეთი. ეს გახლავთ „სტალინური ხანა“. ეს
იყო ყველაზე უფრო რთული პერიოდი. ადგილი აქვს ისტორი-
ული მეცნიერების უნიფიკაციას, სტალინიზაციას. მყარდება
ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური
იდეოლოგიის მონოპოლია. ის აღიქმებოდა როგორც უკანასკ-
ნელი ჭეშმარიტება. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის
ათვისება სულაც არ ატარებდა ისეთ ტრიუმფალურ ხასიათს,
როგორც ეს მიღებული იყო სტალინურ ხანაში. მესამე ქვეპე-
რიოდი სტალინის გარდაცვალებასთან ასოცირდება. ის იწყე-
ბა 50-იანი წლების დასაწყისიდან, 90-იანი წლების დასაწყის-
ამდე, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი. ის პირობით სამ
პატარა მონაკვეთს მოიცავს „დათბობის პერიოდი“, რომელიც
ნიკიტა ხრუშჩოვის სახელთან არის დაკავშირებული. მისთვის
დამახასიათებელი იყო „იდეური დაბნეულობა“. მეორე მონ-
აკვეთი „უძრაობის ხანასთან“ არის დაკავშირებული. ლეონიდ
ბრეჟნევის სახელთან ასოცირდებოდა. მან წერტილი დაუსვა
„იდეურ დაბნეულობას“ პრიორიტეტული შეიქმნა სტაგნაცია,
რეგრესი. მესამე მონაკვეთი მიხეილ გორბაჩოვის გარდაქმნას-
თან არის დაკავშირებული. იდეოლოგიურმა წნეხმა მკვეთრად
იკლო. ისტორიკოსებმა უფრო მეტი თავისუფლება მოიპოვეს.
ეს, ცხადია, ძალიან კარგია და წინგადადგმული ნაბიჯი იყო.
ალაპარაკდნენ საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისზე.

მესამე პერიოდი ისევ პოლიტიკური ქარტეხილებთან გახ-
ლავთ დაკავშირებული და საბჭოთა კავშირის დაშლასთან ასო-
ცირდება. ის დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში და დღემდე
გრძელდება. ჩვენი აზრით, ის პირობით სამ ეტაპად შეიძლება
დაიყოს. ამ მონაკვეთის შიგნით მნიშვნელოვანი ზღვარი უნდა

ჩანდეს 2006 წლის რეფორმა და 20-იანი წლების დასაწყისი. მეცნიერების და განათლების რეფორმა აუცილებელი იყო. ამაზე ორი აზრი არ არსებობდა. აქ ერთსულოვნება სუფევდა. მთავარი იყო რა ფორმას შეიძენდა ის. მოსალოდნელი იყო, რომ ის რაც დადებითი იყო დატოვებდნენ, ხოლო ის რაც უარყოფითია იმას შეეცდებოდნენ, რომ გაესწორებინათ, მაგრამ რეფორმამ მოლოდინი არ გაამართლა. მან სულ სხვა მიმართულება შეიძინა. ძველი კი დაანგრეეს, მაგრამ მასზე უკეთესი ბევრი ვერაფერი შექმნეს. ასეთია რეალობა. რეფორმის დამახასიათებელი შტრიხი იყო ასაკობრივი დეენა. ამან ქართული ისტორიოგრაფიას დიდი ზიანი მიაყენა და მრავალი დარგი უკან დანია. არა ერთი კარგი სპეციალისტი, ასაკის გამო, თამაშვარეთ მდგომარეობაში დატოვა. ჩრდილი მეტი იყო შუქზე. ისტორიული მეცნიერების კრიზისი კი არ შეჩერებულა, რაც სასურველი იქნებოდა, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდება. ჩვენი აზრით, კიდევ ერთ სერიოზულ ზღვრად, 20-იანი წლების დასაწყისი შეიძლება მივიჩნიოთ. ის მჭიდრო გენეტიკური კავშირშია პანდემიასთან, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, ზედაპირზე ძვეს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ მოდით ყველაფერს პანდემიას ნუ დავაბრალებთ. მას ნუ შევანმენდთ ხელს. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ უნდა იყოს. როგორც გვგონია, მთავარი სულ სხვა რამე უნდა იყოს. რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს კანონი, რომლის მიხედვითაც სტუდენტს უფლება აქვს უნდა დაესწროს ლექციას, უნდა არა. შედეგმაც არ დააყოვნა. აუდიტორიები სასწრაფოდ დაცარიელდა. ამის გამოცნობა სულაც არ იყო ძნელი საქმე. თუ ამისი სურვილი იქნებოდა. ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ასეთი კანონი, რომ მიგელო საქართველოს დაუძინებელი მტერი უნდა ყოფილიყავი. მეცნიერების და განათლების სისტემის რეგრესი დაწყებული 2006 წლის რეფორმის შემდეგ, გაგრძელდა და არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ მან შეუქცევადი ხასიათი შეიძლება შეიძინოს. „ნგრევა შენების სახელით გრძელდება“. ძველი კონტექსტი ახ-

ალი ეტიკეტებით. განათლების ამ სისტემის პირობებში საქართველოს მომავალი არ უნერია. ეს ჩვენი სუბიექტური აზრია და მას ძალით არ ვახვევთ თავს. (კალანდაძე, 2023. 180-185, 285-286; კალანდაძე, 2024. 110). საქართველო სიფილისტიკის და პარანოიკის მიერ შექმნილი სახელმწიფოს ნანგრევებს ქვეშ სულს ღაფავს (კალანდაძე, 2019, 143).

დღეს განათლების სისტემის რეფორმა კვლავ დღის წესრიგში დგას და აქტუალური რჩება. რეფორმის გატარება ნამდვილად საჭიროა, მაგრამ სასურველი იქნებოდა მეტი წინდახედულება და დაფიქრება. რეფორმამ კონსტრუქციული ხასიათი უნდა შეიძინოს. პირველ ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფოს და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის დალაგება რომელიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, აშკარად, გაცდა ცივილურ საზღვრებს და სულ სხვა ხასიათი შეიძინა. 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არ ყოფილა არც ერთი მთავრობა, რომელიც არ ჩარეულიყო უნივერსიტეტის საქმიანობაში და ლომის წილი არ შეეტანა უნივერსიტეტის თავდაპირველი ღირებულებების გაუფასურების საქმეში. მნიშვნელოვანწილად, დღეს სწორედ, ამის ნაყოფს ვიმკით, უნივერსიტეტის ავტონომია ფიქციად იქცა. ამიტომ განტევების ვაცად მხოლოდ უნივერსიტეტის გამოყვანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. უნივერსიტეტის მთელ ისტორიას ლაიტმოტივად გასდევს მის საქმიანობაში სახელმწიფოს უხეში ჩარევა. ის ამის ერთ-ერთი მორიგი მსხვერპლია. ამას კარგად უნდა გაცნობიერება. უნივერსიტეტის ავტონომიას პატივი უნდა მივაგოთ არა სიტყვით, როგორ ეს იყო დიდი ხნის განმავლობაში და ძველი ინერციით დღესაც გრძელდება, არამედ საქმით. ნუ ჩავრჩებით წარსულში. საჭიროა შევქმნათ ნორმალური, სამართლებრივი სახელმწიფო. სადაც იქნება ძლიერი სამუშალო ფენა. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება ადვილი საქმე არ იქნება. დიდი ძალისხმევა და დრო დასჭირდება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. დიდი არჩევანი არ გავაჩნია. ამას ალტერნატივა არ აქვს. შევძლებთ ამის გაკეთებას ძალიან კარგი. თანდათან, ნელ-ნელ-

ლა, ყველაფერი დალაგდება. მათ შორის, ცხადია, მეცნიერების და განათლების სფეროებში და რაც მთავარია შეიცვლება ჩვენი მენტალიტეტი. ის უფრო მიუახლოვდება ევროპულს და ეს მოხდება არა სიტყვით, როგორც ეს დღესაა, არამედ საქმით. ვერ შეძლებთ და არც არაფერი შეიცვლება და არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ ეს მდგომარეობა შეუქცევად ხასიათს შეიძენს. არასახარბიელო პერსპექტივაა: „დავრჩებით შვილთაგან ჩვენთა გინებით მოსაგონარი“, ნუ დაუშვებთ ამას. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი ოაზისი როდია. ის ამ სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია, რომელშიც მას უხდება ყოფნა, რა სახელმწიფოც გვაქვს, ისეთია მეცნიერება და განათლება. არ შემდგარ სახელმწიფოს არ შეიძლება ჰქონდეს მაღალგანვითარებული მეცნიერება და ხარისხიანი განათლება. ეს აქსიომაა, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს (კალანდაძე, 2019, 82-133).

რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი იქნებოდა გაუქმდეს ის კანონი, რომ სტუდენტს უფლება აქვს უნდა დაესწრება ლექციას, უნდა არა. ამან საბოლოოდ ჩამოშალა ყველაფერი. ჩვენ ეს კანონი მოგვწონს, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ არ ვართ მზად ამის განხორციელებისათვის, ამას დრო ჭირდება. ვის ჭირდება ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ამდენი უნივერსიტეტი და ამდენი სტუდენტი. მერე კი გაუთავებელი საუბარი იმაზე რომ განვიცდით კვალიფიციურ კადრების დეფიციტს. ამ ფონზედ ეს არათანმიმდევრული უნდა ჩანდეს. ეს საკითხი დარეგულირებას საჭიროებს. ამდენი უნივერსიტეტი არავის არ ჭირდება. სასურველი იქნება მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. ამას ალტერნატივა არ გააჩნია, სხვაგვარად, პროგრესს ამოდ დაუნყებთ ლოდინს. შემუშავებული უნდა იქნას სადისერტაციო შრომების დაცვის მკაცრი, მაგრამ სამართლიანი კრიტერიუმები. ნუ გავაუფასურებთ სამეცნიერო ხარისხის დაცვას. კანონმდებლობა მორგებული უნდა იყოს თვისობრივ, ხარისხობრივ ცვლილებებზე და არა რაოდენობაზე, როგორც ეს დღეს ხდება. მეცნიერე-

ბის და განათლების სისტემაში, უნინარესად, უნდა დამყარდეს დისციპლინა. ეს წინსვლის საიმედო გარანტია იქნება. უნდა შეიქმნას ნორმალური კანონმდებლობა. რომელიც, პირველ ყოვლისა, ორიენტირებული იქნება სამეცნიერო გამოკვლევების მაღალ დონეზე და ხარისხიან განათლებაზე. უნდა შევიმუშაოთ შეფასების მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, კრიტერიუმი. უხარისხო პროდუქციაზე თვალს ნუ დავხუჭავთ, როგორც ეს დღე ხდება. ეს არავის არ ჭირდება. ადვილი გზით სიარულმა სადამდეც მიგვიყვანა კარგად ვხედავთ. კატასტროფის პირას აღმოვჩნდით. „ეს გზა ტაძართან არ მიგვიყვანს“ მაშინ „რა საჭიროა გზა თუ ის ტაძართან არ მიგვიყვანს“. XIX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ედუარდ ფრიმენი ამბობდა „ისტორიკოსის სამუშაო შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმან, ვისაც მძიმე შრომის არ ეშინია“ ვფიქრობთ, ყველაფერი ნათქვამია. კომენტარი ზედმეტია. ქართულმა ისტორიოგრაფიამ სულ სხვა გზა აირჩია. სადამდე მიგვიყვანა ამან კარგად ვხედავთ.

ამ საკითხისადმი ჩვენი დამოკიდებულება პესიმისტური სულაც არ გახლავთ, როგორც ეს ვინმეს ერთი შეხედვით შეიძლება ეჩვენოს, პირდაპირ ზედაპირზე ძვეს, აისბერგის ხილულ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენ ამ საკითხს ოპტიმისტურად უყურებთ. თუ იქნება პოლიტიკური ნება ყველაფერს ეშველება, ადვილად დალაგდება, პრობლემა არ იქნება. თუ არ იქნება პოლიტიკური ნება, არც არაფერი მოხდება. იქნება თუ არა პოლიტიკური ნება ძნელი სათქმელია. მთავარი საკითხი, ვფიქრობთ, სწორედ, ეს უნდა იყოს. ჯერ ნორმალური სახელმწიფო უნდა შევქმნათ, სადაც იფუნქციონირებს საშუალო ფენა. მერე ყველაფერი თანდათან, ნელნელა, დალაგდება. მათ შორის მეცნიერება და განათლების სისტემა. სხვაგვარად ეს არ მოხდება.

* * *

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა ერთ-ერთ წარმატებად, რომელიც უმთავრესად ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი ხნის განმავლობაში, კადრს მიღმა რჩებოდა და ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე, მუშაობის დაწყება მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. ეს მათ წარმატებას წარმოადგენდა და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, უმართებულო იქნებოდა. ამგვარი დამოკიდებულება ამ დარგის წარსულზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს და კორექტივების შეტანას, დაზუსტებას, საჭიროებს. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული საკითხის განხილვა პოლიტიკური განსჯის სფეროდან, აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. ეს სულ სხვა მიდგომა იყო. ასე გაჩნდა განსხვავებული თვალსაზრისი, რომელიც საბჭოთა წარმოდგენის საპირწონეა და, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს მის გადასინჯვას, რევიზიას. საბჭოთა წარმოდგენებისაგან გათავისუფლებას. მის მთავარ პოსტულატად, თეზად, დავსახეთ ამ მონაკვეთის და ამ სახელმძღვანელოების, რომელიც, ჩვენი აზრით, სრულიად უსამართლოდ იქნენ მივიწყებულნი, რეანიმაცია, რეაბილიტაცია. ეს სიახლე იყო და ეს მასალა პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში. (კალანდაძე, 1999).

ჩვენ შეძლებისდაგვარად, შეეცადეთ თავიდან აგვეცილებინა ძველი შეცდომები და სულ სხვა გზით წავსულიყავით. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაკვეთის და ამ სახელმძღვანელოების, იგნორირება, უგულებელყოფა, რაც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა პერიოდში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ დარგის განვლილ გზაზე, წარსულზე, ადეკვატურ წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. ეს ერთი

უკიდურესობა იყო. შეიძლება იყოს სულ სხვა უკიდურესობა. ის პირველის ლოგიკური გაგრძელებაა. მასთან მჭიდრო გენეტიკური კავშირი გააჩნია. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა, რომელიც ძველი ინერციით ჯერ კიდევ შეინიშნება და ბოლომდე დაძლეული არაა, მართებული არ უნდა იყოს და საბჭოთა მიდგომის წისქვილზე ასხამს წყალს. შეიძლება იყოს მეორე უკიდურესობა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოჩნდეთ. აქ ვგულისხმობთ იმას რომ ამ მონაკვეთისადმი ინდიფერენტული, გულგრილი, დამოკიდებულება, აპოლიგეტური ტონით არ უნდა ჩავანაცვლოთ. ეს გადაჭარბებული იქნებოდა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. როგორც წესი, ჭეშმარიტება, სადღაც შუაში, უნდა ვეძიოთ. ჩვენს შრომებს ლაიტმოტივად გასდევს ამ ოქროს შუაგულის მოძიების მცდელობა, რაც საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ, როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად შევეცადეთ გაგვერკვია მისი გამომწვევი მიზეზები. ეს გვესახება საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომად. ჩვენ გაგვაჩნია საკითხის საკუთარი ვერსია, რომელიც, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას. ეს ისტორიულ მეცნიერებას არ ხელენიფება. მას, ბუნებრივია, ექნება თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელიც გახდება მეცნიერული განსჯის საგანი. ეს სრულიად ნორმალურია.

ამ სახელმძღვანელოებისადმი სკეპტიკური, დამოკიდებულება, რომელიც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, მიუღებლად მიგვაჩნია, დღეს უკვე მოძველებულია. ყავლი გაუვიდა. ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. ჩვენ შევეცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ჩვენი აზრით, ეს სახელმძღვანელოები არ იმსახურებენ ამგვარ დამოუკიდებლობას. წინამორბედების წვლილისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება საბჭოთა მიდგომის დამახასიათებელი მტრიხი იყო და მის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

ყურადღებას მივაპყრობთ ერთ პარალელს, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. დავინწყით იქიდან, რომ ეს სახელმძღვანელოები, უდავოდ, წარმოადგენდა წინგადადგმულ ნაბიჯს, იმ რეაქციულ-შავრაზმული სახელმძღვანელოების შემდეგ, რომლის მიხედვითაც ისწავლებოდა მსოფლიოს ისტორია ქართულ სკოლებში ცარიზმის დროს. ახლა ადგილი აქვს თვისებრივ, ხარისხობრივ, სიახლეს და ეს იმით გამოიხატება, რომ პრიორიტეტი ენიჭება, უპირატესად, იმ სახელმძღვანელოებს, რომელიც დაწერილი იყო პროგრესულ-ლიბერალური პოზიციიდან. ეს იყო პაველ ვინოგრაძოვის, ნიკოლოზ კარევეის, რობერტ ვიპერის სახელმძღვანელოები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. სიახლეს წარმოადგენს და წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამაზე თვალის დახუჭვა, ცხადია, არ ივარგებს და აღნიშნულ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი ჩამოგვიყალიბებს. ეს ერთი საინტერესო რაკურსი უნდა იყოს. შეიძლება იყოს სხვა კუთხე. ამჯერად, მხედველობაში გვაქვს შემდგომი საბჭოთა პერიოდი.

ფართო საზოგადოებას, საბჭოთა წლებში, სრულიად განსხვავებული მიდგომა ჩამოუყალიბდა. წინამორბედების წვლილის გაბიაზურების ხარჯზე ხდებოდა, საბჭოთა რეალობის უსაშველოდ გაბუქვა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგეტურ შეფასებასთან. ეს კი გადაჭარბებული უნდა იყოს. განსხვავება პრინციპულ, კონცეპტუალურ, ხასიათს ატარებდა. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, ცხადია, არსად არ გამქრალა, კვლავ ძალაშია, ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი პლუსია. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე წინსვლა აშკარაა და მისი უგულვებელყოფა ძალზე ძნელი იქნება. შეიძლება ითქვას, რომ ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე შენარჩუნებული იქნა, ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ის მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის აპკში აღმოჩნდა გახვეული. საბჭოთა ისტორიოგრაფია წარმოადგენდა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიას და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ნაზავს. (კალანდაძე, 2023. 59-60). მეცნიერულმა

მიდგომამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. საკითხისადმი ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური მიდგომა აღიქმებოდა, როგორც უკანასკნელი ჭეშმარიტება. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მივყავართ. მან გამოიწვია საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. ჩრდილი მეტია შუქზე. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. ბოლოს და ბოლოს მან ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი მიიღო, (კალანდაძე, 2015. კალანდაძე, 2019. 8-22. კალანდაძე, 2023, 42-78. კალანდაძე, 2024. 58-85). ევროპული პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე შენარჩუნებული იქნა, მაგრამ ის არ ასოცირდებოდა წინსვლასთან, პროგრესთან, როგორც ეს იყო ადრე, საქართველოს გასაბჭოებაამდე. ეს ევროპული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა და არა ხვალისდელი. ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული განვითარება შეჩერდა და სულ სხვა მიმართულება შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, როგორც მრავალგზის აღგვინიშნავს, ძნელია მივიჩნიოთ. ამგვარი მკვეთრი მეტამორფოზი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა. აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ამიტომ ნუ გამოვიყვანთ ქართულ ისტორიოგრაფიას განტევების ვაცად. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ უნდა იყოს. მთავარი განსხვავება ევროპულ ისტორიოგრაფიას და საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიას შორის, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში მდგომარეობს. (კალანდაძე, 2019^ა. 13). XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება დაკავშირებული აღმოჩნდა არა იმ სიახლეებთან და ნოვაციებთან, რომელიც ხდება ისტორიულ მეცნიერებაში, არამედ, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან. ამ

მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. კერძოდ, კი, საქართველოს გასაბჭოებასთან. ამიტომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში, მის ისტორიული მნიშვნელობაზე აპელირება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული უნდა იყოს.

იდეური კონტროლი საბჭოთა სახელმძღვანელოების მთავარი დამახასიათებელი შტრიხია. საბჭოთა სახელმძღვანელოები, ბუნებრივია, დანერგილი იყო ერთი ვინაობად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის პოზიციებიდან. პრიორიტეტული იყო საკითხისადმი მონისტური მიდგომა, ფორმაციული პრინციპი, კლასობრივი ხედვა, კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის გაფეტიშება. ბრძოლის პლებეური მეთოდების გაიდილება. წარსულისადმი მიდგომა იყო ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. მისი მთავარი სულისჩამდგმელი, რა თქმა უნდა, სტალინი იყო.

მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამების გამო. მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს. ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია, „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური იქნებოდა. ჩვენ ბრალს ვდებთ არა ცალკეულ ისტორიკოსებს, ეს სწორი არ იქნებოდა, არამედ სახელმწიფოს, რომელიც ცდილობს ძალით, მოახვიოს თავის ისტორიკოსს სახელმწიფოსთვის სასურველი იდეოლოგია. ამიტომ გულუბრყვილობა იქნებოდა ვიფიქროთ თითქოს სახელმწიფო არ ერეოდა მეცნიერის საქმიანობაში. ეს კიდევ ერთი საინტერესო რაკურსი უნდა იყოს. არის კიდევ ერთი კუთხე, რომელიც აგრეთვე საინტერესოა და სასურველი იქნება უყურადღებოდ არ დარჩეს. აქ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ამჯერად საქმე ეხება შემდგომ პოსტსაბჭოთა მონაკვეთს. საკითხი, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს და ამ კუთხით ლიტერატურაში ნაკლებადაა გაშუქებული (კალანდაძე, 2023, 78-173, კალანდაძე, 2024, 58-85).

დავინყოთ იქიდან, რომ პოლიტიკური კატაკლიზმებისადმი ერთმნიშვნელოვნად, სწორხაზოვანი, უარყოფითი, დამოკიდებულება არ შეესატყვისება სინამდვილეს და ამ საკითხის რეალისტურ სურათს ვერ გვიხატავს. საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი და კონკრეტულ მიდგომას საჭიროებს. ერთ შემთხვევაში შეიძლება ის იყოს მკვეთრად უარყოფითი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი პირიქით, დადებით ხასიათს ატარებდეს. ასეთია 90-იანი წლების დასაწყისი, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი. ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგა ახალი ეტაპი. მსოფლიო ისტორიის შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ რაკურსზე ყურადღების გამახვილება არის საინტერესო და აქტუალურად მიგვაჩნია. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს დაუბრუნდეს სწორ გზას და განავითაროს თავდაპირველი ღირებულებები, ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მის დადებით მხარეს წარმოადგენს. ის ცდილობს თავი დააღწიოს იმ არასახარბიელო მემკვიდრეობას, რომელიც ერგო ერთის მხრივ ვინოდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან, ხოლო მეორე მხრივ პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიისაგან, რომელიც ისტორიას მოიაზრებდა, როგორც აღწერით, თხრობით, შემგროვებლურ მეცნიერებად. ეს იყო ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღე და არა მომავალი, ამის შემდეგ ისტორიული მეცნიერების განვითარდა, ძალზე წინ წავიდა, ჩვენი კი ჩამოვრჩით. ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული განვითარება შეფერხდა.

ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლა, განვითარება, ევროპული, პოზიტივისტური, ისტორიოგრაფიის და ერთი ვინოდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, ზღურბლზე შეჩერდა და მეტი აღარ წასულა წინ. ის ამკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. საბჭოთა ისტორიოგრაფია იყო ერთი ვინოდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ნაზავი. ვერ ვიტყვით, თითქოსდა ამ მიმარ-

თულებით სასიკეთო არაფერი კეთდებოდა. სინამდვილეში ეს ნამდვილად არაა ასე და სწორი არ იქნება. მაგრამ, ჩვენი აზრით, უმთავრესად, აქცენტი კეთდება რაოდენობრივ ცვლილებებზე და არა თვისებრივ, ხარისხებრივ, სიახლეზე. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ. ხარისხებრივში, გადაზრდის პროცესი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს და დროში ძალიან გაიწელა და ძნელი სათქმელია როდის დასრულდება. სავსებით ვეთანხმებით ცნობილ რუს მედიევისტს პროფ. არონ გურევიჩს, რომ „პოზივისტური ისტორიოგრაფიის რუტინა, ისევე ძლიერია“ (Гуревич, 2004. 120).

საინტერესოა, პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ წლებში გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოები. ინტენსიურად მიმდინარეობდა მსოფლიო ისტორიის მარქსიზმისაგან გათავისუფლება. ეს სახელმძღვანელოები საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და იმ წლების ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენად მიგვაჩნია. (თვალისაშვილი...2005. კალანდაძე 2001, ანთაძე... 2000, ანთაძე... 2005^ა. ბოლოთაშვილი, ...2005^ბ.) სახელმძღვანელოებზე მუშაობა სწორი გზით მიდიოდა. პირველი ნაბიჯები კარგად გადადგეს. მიმდინარეობდა მუშაობა მათ შემდგომ გაუმჯობესებაზე. ეს ნორმალური პროცესი იყო და მასში მიუღებელს ვერც ვერაფერს ვერ ვხედავთ, მაგრამ 2006 წლის რეფორმის შემდეგ, მოვლენების სულ სხვა სცენარის მიხედვით განვითარდა, თუმცა უნდა ითქვას, ამის აუცილებლობა ნამდვილად არ არსებობდა. ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს სწორი გზიდან გადახვევასთან. მსოფლიოს ისტორიის სწავლებამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა, სულ სხვა მიმართულება მიიღო. ეს სახელმძღვანელოები აღარ წარმოადგენდნენ თავდაპირველ გზის გაგრძელებას, წინგადადგმულ ნაბიჯს. (ყორანაშვილი, 2014, ყორანაშვილი, 2016, კალანდაძე 2019). სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ეს დარჩა ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა. მივიღეთ ის რაც მივიღეთ. სკოლაში ისტორიის სწავლება ძალიან დაბალ დონეზე დაეცა. ეს, პირველ ყოვლისა, ცუდი სასკოლო სახელმძღვან-

ელობის გამოძახილს წარმოადგენდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა პროგრესთან, არამედ რეგრესთან. ეს არც არის გასაკვირი და საერთო ვითარების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს

მაშ ასე, ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოების წარსულს, მისი დანერის ისტორიას, ევოლუციას. ამ სპექტრში საკითხის განხილვა, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს თემა აქამდე ნაკლებათ იყო გაშუქებული.

ნაწილობრივ ამ ხარვეზს ავსებს ჩვენი მონოგრაფია „სახელმძღვანელოს საინტერესო ისტორია. მითები და რეალობა“ (კალანდაძე, 2024) მაგრამ ეს ეხება მხოლოდ ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს. ეს მხოლოდ მთელის ნაწილია ამჯერად საუბარი გვაქვს მთლიანად მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოებზე. კიდევ ერთი საბჭოთა მითი ჩამოიშალა. მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილესთან როდი ასოცირდება. (კალანდაძე, 2021).

როგორც უკვე ითქვა, თავდაპირველად ცარიზმის დროს, ქართულ სკოლაში მსოფლიო ისტორიას ასწავლიდნენ რუსული სახელმძღვანელოების მიხედვით, რომელიც წარსულს აშუქებდა და რეაქციულ-შავრაზმული პოზიციებიდან. ეს იყო ერთი ხედვა. არსებითად შეიცვალა მდგომარეობა 1918 წლის შემდეგ, როდესაც გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და აღდგენილი იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს თვისებრივი, ხარისხობრივი, სიახლე იყო. ქართულმა ისტორიოგრაფიამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. ეს არ იყო პატარა საქმე და იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამის იგნორირება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში, უმართებულო უნდა იყოს. ეს, ბუნებრივია, ამ საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეიქმნა მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები.

უპირატესად, აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიულ მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ეს ცარიზმის დროს არსებული რეაქციულ-შავრაზმული სასკოლო სახელმძღვანელოების შემდეგი, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის დაუნახაობა გამართლებული არ იქნებოდა. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა. მიმდინარეობდა მუშაობა მის გაუმჯობესებაზე, მაგრამ საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, საქმეში და თავისი სუსტი, მკრთალი, კვალი მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში დატოვა. ეს ადვილი გასაგებია. სულ ეს იყო რის გაკეთებაც ამ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, მათ მოასწრეს. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო. დანყებული საქმის ბოლომდე მიყვანა მათ, ცხადია, ვეღარ მოასწრეს. ეს არ იყო მათი ბრალი. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელიც ითვალისწინებდა ქართულ სინამდვილეში ევროპული ტრადიციის დანერგვას, რომელიც, რასაკვირველია, არ წარმოადგენს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას და, ბუნებრივია გააჩნია, თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ აქ აპოლოგეტური ტონი ზედმეტი იქნებოდა. როგორც ჩვენ გვგონია, ამ სახელმძღვანელოებს პლუსები გაცილებით უფრო მეტი ჰქონოდა, ვიდრე მინუსები. შუქი ჭარბობს ჩრდილს. ეს საკითხი ჩვენ ასე გვესახება. ეს გახლავთ რეალობა და მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ჩვენ შევეცადეთ მოგვეძებნა ეს საშუალებო ხაზი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად შევეცადოთ გამოვარკვიოთ მისი გამომწვევი

მიზეზები. ეს გვესახება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომად. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ სახელმძღვანელოებისადმი დადებითი მიდგომა გვხვდება ისტორიკოს მადონა მიქელაძის საინტერესო ნაშრომში „გერმანიის ახალ ისტორიის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში 1918-1999 წლებში“ (მიქელაძე, 2003). როგორც ჩანს, ყინული თანდათანობით დაიძრა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია.

ამ დარგის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშლება 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. რამდენად იყო ეს სერიოზულ წინგადადგმული ნაბიჯი წინა პერიოდთან შედარებით, ძნელი სათქმელია და გარკვეული კორექტივების შეტანას, დაზუსტებას, საჭიროებს. საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება, რაც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა წლებში, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების განვლილი ეტაპია. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობის უსაშველოდ გაბუქვა, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამახასიათებელი შტრიხი იყო გადაჭარბებული უნდა იყოს და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. ამ საშუალებო პოზიციის გამონახვა არ იქნება ადვილი საქმე, რადგან მსაჯულები საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეფასებისას, უპირატესად, სუბიექტურები არიან. ზოგს საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიმართ უარყოფითი ემოციები დაძლევეს, ზოგს კი, პირიქით, ნოსტალგია მოეძალდება.

საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი ჩვენი დამოკიდებულება კრიტიკულია. ეს არის ერთი ისტორიული სკოლა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები და მას არ შეიძლება გააჩნდეს პრეტენზია იყოს ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანცია. ფაქტოლოგიის დონეზე, პროგრესი ნამდვილად არის და ამაზე თვალის დახუჭვა, ცხადია, არ ღირს. ეს სწორი არ იქნებოდა. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაში რჩება. არსად არ წასულა, არ გამქრალა. ეს,

ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი პლუსია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მან ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. განსხვავებული აზრისადმი, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილი დამოკიდებულება, საბჭოთა ისტორიოგრაფიის აქილევსის ქუსლად გვევლინება. ამან განაპირობა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. ჩრდილი აღმოჩნდა მეტი შუქზე. ეს იყო ჩიხური გზა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. ბოლოს და ბოლოს მან ლეტალურ ანუ სასიკვდილო ხასიათი შეიძინა. (კალანდაძე, 2015, კალანდაძე, 2019, 8-22, კალანდაძე, 2023. 42-78. კალანდაძე, 2024, 58-85). ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ევროპული დონე შენარჩუნებული იქნა. პოზიტივისტურ ისტორიოგრაფია მარქსისტულ აპკში აღმოჩნდა გახვეული. საბჭოთა ისტორიოგრაფია წარმოადგენდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ნაზავს.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ არა თუ ქართულ ისტორიოგრაფიას, არამედ არც საბჭოთა ისტორიოგრაფიას, ბევრი არაფერი გაუკეთებია ევროპული ისტორიოგრაფიის პოზიტიური გამოცდილების გაცნობიერების თვალსაზრისით. პოპულარული იყო წიგნები „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის კრიტიკა“. ეს ძალზე მოდური იყო, მაგრამ მკვეთრად გამოკვეთილ კონიუნქტურულ ხასიათს ატარებდა და დიდი მეცნიერული ღირებულებით არ გამოირჩეოდა. ნათქვამი, პირველ ყოვლისა, ეხება ნეოკანტიანელთა ეპისტემოლოგიური ძიებებს და

„ანალები“ სკოლას, რომლის სახელსაც უკავშირდება „კოპერნიკისეული გადატრიალება ისტორიკოსის პროფესიაში“, „ახალი ისტორიული მეცნიერება“. ფრანგული სკოლა ქართველი ისტორიკოსების თვალსაწიერს მიღმა დარჩა ან თუ ხვდებოდა მათი თვალთახედვის არეალში მეტად შეცვლილი, გადასხვაფერებული სახით. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მარქსისტული კრიტიკა დღეს მოძველდა. ეს ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამოძახილია. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გაასწოროს ეს. (Блок, 1986. Февр, 1990. მეტრეველი, 1990, კალანდაძე, 2011. 164-188 და 188-232. ბერკი, 2002. Гуревич, 1985, Гуревич, 1993).

საბჭოთა მიდგომა იყო უაღრესად ცალმხრივი და ტენდენციური, რომელიც XX საუკუნის ისტორიოგრაფიაში მიმდინარე პროცესებზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს. მოხდა გასაბჭოებამდე არსებული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩანაცვლება, რუსული ენიდან თარგმნელი, ერთი ვინოდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის პოზიციებიდან დაწერილი საბჭოთა სახელმძღვანელოებით. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ამიერიდან ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნა მეტი აღარ იყო აქტუალური. სტალინმა ამ იდეას სასიკვდილო დარტყმა მიაყენა. ამგვარად, 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართული ისტორიოგრაფია იძულებული შეიქმნა გადაეხვია არჩეული კურსიდან და მან სულ სხვა მიმართულება შეიძინა. ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული განვითარება შეფერხდა. ეს თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმული ნაბიჯად, ძნელი იქნება მოვიაზროთ. ჩვენ ეს საკითხი ასე გვესახება.

ამ სფეროში უახლოეს წარსულში მკვეთრ მეტამორფოზს კვლავ პოლიტიკურ კატაკლიზმებთან აქვს მჭიდრო გენეტიკური კავშირი, მაგრამ ამჯერად უნდა ითქვას, რომ აშკარად

პროგრესული ელფერი დაკრავს და საბჭოთა კავშირის დაშლას უკავშირდება. იკვეთება საინტერესო თემა „მსოფლიო ისტორიის შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში“. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ჩვენ შრომები ამ თემის გაშუქების პირველი მცდელობას წარმოადგენს. ჩვენ პირველად ვცადეთ ჩაგვეერთო სამეცნიერო მიმოქცევაში ეს პერიოდი და ეს სახელმძღვანელოები. (კალანდაძე, 2024).

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მთავარ ღირსებად, მსოფლიო ისტორიის ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის იდეის აღორძინება მიგვაჩნია. ეს წინა, საბჭოთა პერიოდთან შედარებით, წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რომელზეც თვალის დახუჭვა, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ეს ამ საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

პოსტსაბჭოთა პერიოდს ქართული ისტორიოგრაფიამ ამ საკითხში საინტერესო ევოლუცია განიცადა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ის მაინც და მაინც წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ეს პროცესი თავდაპირველად სწორი გზით მიდიოდა. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სახელმძღვანელოები წარმოადგენს პირველ სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს იმ არასახარბიელო მემკვიდრეობის დაძლევის გზაზე, რომელიც წილად ხვდა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიას. ერთის მხრივ ერთი ვინროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის და მეორე მხრივ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის სახით. დაიწყო მსოფლიო ისტორიის მარქსიზმისაგან განმეხდის პროცესი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია, მეტი აღარ განიცდიდა „იდეოლოგიურ კონტროლს“ ეს საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯი იყო. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ინერციით აქა-იქ მაინც

შეხვედებით მარქსისტულ კლიშეებს. ასეთად მიგვაჩნია „ბურჟუაზიული რევოლუცია“, „ბურჟუაზიული დემოკრატია“, „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია“, „ბურჟუაზიული კულტურა“. ეს უკვე ცალკეული შემთხვევებია და დაძლევადა. ეს გახლავთ საკითხისადმი კლასობრივი მიდგომის გამოძახილი, რომელიც ფრიად ნიშანდობლივია საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის და დღეს მოძველებულია, ყავლი გაუვიდა. ფორმაციული პრინციპიდან ახალ ცივილიზაციურ მიდგომაზე გადასვლა, ამ სახელმძღვანელოებში კიდევ ერთი პლუსია. (ბოლოთაშვილი, 2005). ის ფორმაციული მიდგომასთან შედარებით, უდავოდ, ნინგადადგმული ნაბიჯია. მაგრამ მისი შემდგომი სრულყოფა დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას.

ვფიქრობთ, ადვილი არც პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ბარიერის დაძლევა იქნება. დღესაც ბევრი ქართველი ისტორიკოსი, პოზიტივისტების მსგავსად, დარწმუნებულია, რომ ისტორია შემგროვებლური მეცნიერებაა. ეს გახლავთ ისტორიული მეცნიერების წარსული და არა მომავალი.

როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა, მიმდინარეობდა მუშაობა მის შემდგომ სრულყოფაზე, დახვეწაზე. ეს სრულიად ნორმალური პროცესია. მაგრამ, უეცრად, 2006 წელს, ისე, რომ ამის აუცილებლობა არც კი ყოფილა. ეს სახელმძღვანელოები ჩანაცვლეს ახალი სახელმძღვანელოებით. პროცესი რომელიც ნორმალური გზით მიმდინარეობდა შეწყდა. მან სულ სხვა მიმართულება შეიძინა. ეს სახელმძღვანელოების დანერისადმი მიდგომის სულ სხვა პრინციპი იყო. როგორც გვგონია, ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვეკონდეს სწორი გზიდან გადახვევასთან. შეიძლება ითქვას, რომ ახალ სახელმძღვანელოებს ღირსებებზე უფრო მეტი ნაკლი გააჩნდა. ასე შევიდა ეს საშური საქმე კიდევ ერთხელ ჩიხში. ისტორიის ცოდნის დონემ ძალიან დაბლა დაიწია, რაც, უწინარესად, ისტორიის ცუდი სახელმძღვანელოების ლოგიკური შედეგია. მდგომარეობა არის კრიტიკული და დროზე უნდა მიხედვა. თორემ მერე გვიანი იქნება. სირაქლემას პოზას ნუ

დავიკავებთ. ეს საქმეს არ წაადგება. თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ შეიცვალა უკეთესობისაკენ „დედა მოგვიკვდება“. მართალია, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია გათავისუფლდა იდეოლოგიური კონტროლისაგან. ეს ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ერთი უკიდურესობიდან მეორეში აღმოჩნდა. იდეოლოგიური კონტროლი ჩაანაცვლა უკონტროლობამ. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ქაოსის მიზეზი, ვფიქრობთ, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. ეს ადვილია გასაგებია. რასაც დასთეს იმას მოიმეი. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიისადმი ჩვენი დამოკიდებულება უარყოფითი არაა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, ზედაპირზე ძევს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა თუ მას კრიტიკულად მივიჩნევდით.

* * *

მაშ ასე, საინტერესო სურათი იკვეთება, რომელიც დიდი ხნის მანძილზე, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართო საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა რჩებოდა. ჩვენი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა დიდი პრობლემა. ქართული ისტორიოგრაფია XX საუკუნიდან დღემდე. ცხადია, პრიორიტეტულია მსოფლიო ისტორიის შესწავლა. ის ოთხი ნაწილისაგან შედგება, თითოეული მათგანი თავისუფლად შეიძლება გახდეს დამოუკიდებელი შესწავლის საგანი. 1. რა იყო გაკეთებული 1918 წლამდე, ცარიზმის დროს. 2. რა გაკეთდა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 3. რა არის გაკეთებული საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. 4. რა გვაქვს გაკეთებული დღეს პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ირკვევა, რომ მსოფლიო ისტორიის შესწავლის დროს საქართველოს გასაბჭოებამდე სწორი გზით მიდიოდნენ. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდათ დასახული, სწორ აქცენტებს სვამდნენ, სწორ

არჩევანს აკეთებდნენ. 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. სულ ეს იყო რისი გაკეთება იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც, უმთავრესად, განპირობებული იყო პოლიტიკური კატაკლიზმებით, მათ მოასწრეს. ეს არ იყო მათი ბრალი. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები, დასაწყისი იყო, რომლის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა. საქმე დასრულებული არ ყოფილა. ვფიქრობთ, ის რომ ეს სკოლის სახელმძღვანელოები არავითარ ჩრდილს, არ უნდა აყენებდეს ამ მონაკვეთის მნიშვნელობას და მისი უგულებელყოფა, იგნორირება, ანდაც თუნდაც შეუფასებლობა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. უნდა ითქვას, რომ სწორი კურსი ჰქონდა დასახული, პრობლემები შეექმნა მის რეალიზებას, განხორციელებას. ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე, 1880. დ. ბაქრაძე, მითრიდატე პონტოელი. თბ.,
2. გირო... 1906. გირო. ლაკურ-გეიე, რომაელების ძველი ისტორია. ფრანგულიდან თარგმნა ვლადიმერ ლორთქიფანიძემ.
3. გაიუს. 1906 გაიუს გრაკხუსი და მისი ძმა ტიბერიუსი. თარგმნა ნიკოლოზ გვენცაძემ. თბ.,
4. ნორმანი, 1903. შ. ნორმანი. საბერძნეთის ძველი ისტორია.
5. იან ჰუსი, 1890.
6. ჟანა დარკი, 1890.
7. კალანდაძე, 2021, მ. კალანდაძე, საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის ძირითადი ეტაპები, ქა-

- რთული დიპლომატია, წელინდეული 19. თბ.,
8. კალანდაძე, 2022. მ. კალანდაძე, საქართველოში წინარეისტორიული ხანის შესწავლის საერთო სურათი და ძირითადი ეტაპები, ახალი და უახლოესი ისტორიის საკითხები, 26. თბ.,
 9. კალანდაძე, 2022^ა. მ. კალანდაძე, ტრიუმვირატი. დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე წერეთელი, გრიგოლ ნათაძე, ანალები, 18. თბ.,
 10. კალანდაძე. 2009. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ.,
 11. კალანდაძე, 2017. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის პირველი ნაბიჯები, მაცნე, ისტორიის სერია, 2.
 12. ბარათაშვილი, 1968. ნ. ბარათაშვილი ლექსები, თბ.,
 13. ორბელიანი, 1999. ალ. ორბელიანი, სიტყვა მამულის ტრაპეზზე. თბ.,
 14. კალანდაძე. 2010. მ. კალანდაძე, ალექსანდრე ორბელიანი დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიის საკვანძო საკითხებზე, თბ.,
 15. კალანდაძე. 2023. მ. კალანდაძე, XX-XXI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული ორიენტირების ევოლუცია. თბ.,
 16. კალანდაძე. 1999. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ.,
 17. კალანდაძე. 2015. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VII საფაკულტეტო კონფერენცია, თბ.,
 18. კალანდაძე. 2019. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ.,
 19. კალანდაძე. 2024. მ. კალანდაძე, სახელმძღვანელოების

- საინტერესო ისტორია, მითები და რეალობა, თბ.,
20. Гуревич, 2004 А. Гуревича, История Историка, М.,
 21. თვალაშვილი... 2005 ქ. თვალაშვილი, ც. ჩიკვაძე, ძველი მსოფლიო ისტორია VI კლასი სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა.
 22. ანთაძე... 2000. კ. ანთაძე, ლ. ფირცხელავა, შუა საუკუნეების ისტორია, VII კლასის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა.
 23. ანთაძე... 2005. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია. VIII კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა.
 24. ბოლოთაშვილი,... 2005. გ. ბოლოთაშვილი, ნ. კილურაძე, ლ. მექმარიაშვილი, უახლესი ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო.
 25. კალანდაძე. 2001. მ. კალანდაძე, ნ. მამუკელაშვილი, ლ. ფირცხელავა, ისტორია, X კლასის სახელმძღვანელო.
 26. ბოლოთაშვილი, 2005. გ. ბოლოთაშვილი, მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია, XI კლასის სახელმძღვანელო. მესამე გამოცემა.
 27. ყორანაშვილი, 2014. გ. ყორანაშვილი, როგორ ისწავლება ისტორია სკოლაში, ლიტერატურული საქართველო, 14 ოქტომბერი.
 28. ყორანაშვილი, 2016. გ. ყორანაშვილი, რა მიზნით დაინერა ეს სახელმძღვანელო, ისტორიული ვერტიკალები, 33. თბ.,
 29. კალანდაძე. 2021. მ. კალანდაძე, ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბ.,
 30. მიქელაძე, 2003. მ. მიქელაძე, გერმანიის ახალი ისტორიის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში 1918-1999 წლებში, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ.,
 31. Блок, 1986. М. Блок, Апология истории, М.,
 32. Февр, 1990. Л. Февр, Бои за историю, М.,

33. რ. მეტრეველი, 1990, რ. მეტრეველი, კლიოს მფარველობის ქვეშ, მაცნე, ისტორიის სერია, 4.
34. კალანდაძე. 2011. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბ.,
35. Гуревич, 1985. А. Гуревич, «Новая историческая наука» во Франции. достижения и трудности (Критические заметки медетвиста)., «История и историки 1981» М.,
36. Гуревич, 1993. А. Гуревич, исторический синтез и школа «Аналов» М.,
37. ბერკი, 2002. პ. ბერკი. ისტორია და სოციალური თეორიები, თბ.,

თავი მესამე

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის მთავარი თავისებურება

ამ პრობლემებზე ჩვენს შრომებს და მათ შორის, ცხადია, ამ წიგნს, ლაიტმოტივად გასდევს მოსაზრება, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში. იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ განპირობებული, მან მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო თავისი სუსტი, მკრთალი, კვალის დატოვება. ეს ადვილი გასაგებია. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. მან დასრულებული სახე ვერ შეიძინა. მხოლოდ პირველი მოკრძალებული ნაბიჯების გადადგმა მოხერხდა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და ამის მიზეზები აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩია, რაც კარგი ცხოვრებით არ ყოფილა განპირობებული, კონკრეტულად ამ მონაკვეთის და საერთოდ 1918 წლიდან დღემდე ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი თავისებურე-

ბა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. მას განსაზღვრავდა არა ის სიახლეები და ნოვაციები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ მეცნიერებაში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, არამედ პოლიტიკური ქარტეხილები. XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემების გასაღებიც სწორედ აქ ძევს. მოხდა სიმძიმის ცენტრის გადატანა ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილის რენიმაციასზე, რეაბილიტაციაზე, რომელიც დიდი ხნის მანძილზე, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ქიმის იქით, აღმოჩნდა და ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ამ მონაკვეთს დაუბრუნეთ არსებობის უფლება, რომელიც საბჭოთა პერიოდში, ფაქტობრივად, ჩამორთმეული ჰქონდა და შეძლებისდაგვარად შევეცადეთ მოგვეძებნა მისი ადგილი საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში. ეს საქართველოში ამ დარგის განვითარების ერთ-ერთი რთული და საინტერესო მონაკვეთი იყო, რომელსაც უმთავრესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, დასრულებული სახე არ მიუღია. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ სამეცნიერო პოპულარული ხასიათი შეიძინა და თავისი პირველი მოკრძალებული ნაბიჯების გადადგმა მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოახერხა. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს. საქმე გვაქვს ქართულ რეალობაში მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების პირველ მცდელობასთან, რომლის გვერდის ავლა როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში მართებული არ იქნებოდა და დარგის განვლილ გზაზე წარსულზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. ამ მონაკვეთის და ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ვფიქრობთ. სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. სხვა უფრო ნორმალურ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ეს მწირი ინფორმაცია ძალიან ცოტა იყო. საკმარისი არ იქნებოდა და უკმარისობის გრძნობას

გაგვიჩინდა, მაგრამ იმ ექსტრემალურ პირობებში ეს, ცხადია, პატარა საქმე არ ყოფილა. რისი გაცემაც შეეძლო მაქსიმალურად გაიღეს, და ამაზე თვალის დახუჭვა უმართებულო უნდა ჩანდეს, ეს ოპტიმისტური ტონი, ვფიქრობთ გაცილებით უფრო რეალისტური იქნებოდა. ვიდრე სკეპტიკური დამოკიდებულება. ყოველ შემთხვევაში ჩვენ სწორედ ასე გვგონია. ჩვენც, სწორედ ამ გზას დავადექით. სინამდვილეში სულ სხვა რეალობა იკვეთება, რომელიც, დიდი ხნის განმავლობაში, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, კადრში ვერ ხვდებოდა და ფართო საზოგადოების თვალსაზრისის მიღმა რჩებოდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ასე ჩაეყარა საძირკველი განსხვავებულ მიდგომას. როგორც ირკვევა საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა სწორ გზაზე იდგა. სწორი გზით მიდიოდა და თავისი მოკრძალებული კვალის დატივება მხოლოდ სასწვლო-საცნობარი ლიტერატურაში მოახერხა. ამ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობ, ამისი ნათელი ილუსტრაცია იყო.

ჩვენი ღრმა რწმენით, არსებობდა იმის დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური ქარტეხილები, ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული გზით განვითარება კი არ შეფერხდებოდა, არამედ გაგრძელდებოდა, მაგრამ, უკვე კარგად ცნობილი პოლიტიკური მოტივების გამო, ეს ასე არ მოხდა. მოვლენების განვითარება სულ სხვა სცენარის მიხედვით წარიმართა. სულ სხვა მიმართულება შეიძინა, რომელიც ძნელი იქნება წინგადადგმული ნაბიჯი უწოდოთ. ქართულ ისტორიოგრაფიას ძალით მოახვიეს თავს ერთი მარქსისტული იდეოლოგია, მას არჩევანი არ გააჩნდა. ის იძულებული იყო გადაეხვია არჩეული კურსისათვის და სხვა გზით წასულიყო. აქ, უბრალოდ, იმის თქმას, ვაპირებ, რომ ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე შენარჩუნებული იქნა და ის ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის აპკში აღმოჩნდა გახვეული. რეალურად საბჭოთა ისტორიოგრაფია ევროპუ-

ლი, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, ნაზავია. ამ ორ ისტორიოგრაფიულ მიმართულებას შორის იმაზე მჭიდრო კავშირი არსებობს, ვიდრე აქამდე ეგონათ. ეს კიდევ ერთი მითი ჩამოიშალა. XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ზღურბლზე შეჩერდა და მეტი წინ აღარ წასულა. ევროპული დონე შენარჩუნდა, მაგრამ სამნუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ევროპული ისტორიოგრაფიის ხვალისდელი დღე. ამ საკითხში განტეგების ვაცად ქართული ისტორიოგრაფიის გამოყვანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. ამას, ცხადია, აქვს თავისი მოტივები, რომელიც აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად, რაც კიდევ ერთხელ განმეორდება და ვიტყვი, რომ კარგი ცხოვრებით არ ყოფილა განპირობებული. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს და გასცდეს პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მოჯადოებულ წრეს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ეს ადვილი საქმე არ იქნება და დიდი ძალისხმევა და დრო დაჭირდება. ასეთია ის რეალობა, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით თამამგარე მდგომარეობაში დარჩა და ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება, ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული პრობლემის განხილვა ნორმალურ მეცნიერულ კალაპატიში დაგვებრუნებინა. ეს ამ გზაზე გადაგებული პირველი ნაბიჯებია.

ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ ამ საქმეში აქტიურად აღმოჩნდა ჩაბმული ქართული ისტორიოგრაფიის მთელი ბომონდი, ნაღები, ხოლო მას კურირებას უწევდა და ხე-

ლმძღვანელობდა თვითონ დიდი ივანე ჯავახიშვილი. ალბათ, ეს რალაცას უნდა ნიშნავდეს? ეს იმაზე უნდა მეტყველებდეს თუ რაოდენ სერიოზულად ეკიდებოდნენ ისინი ამ საქმეს. სხვაგვარად, ალბათ, არც შეიძლებოდა. ამ საქმეს ხომ თვით დიდი ივანე ჯავახიშვილი ედგა სათავეში. მათ კარგად ესმოდათ თუ რა დიდი ეროვნული საქმე კეთდებოდა. (საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, საქმე 1768. გვ. 52-64, ბერულავა. 1967, 41-42). კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ, გამოვთქვამთ მეთად ფრთხილ ვარაუდს, რომ ამგვარი პრაგმატული, პრაქტიკული დამოკიდებულება ივანე ჯავახიშვილის გავლენის გამოძახილი შეიძლება ყოფილიყო.

ქართული ისტორიოგრაფია დამოუკიდებლად შეუდგა ფუნქციონირებას. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე. ის დამოუკიდებლად თავის პირველ ნაბიჯებს დგამს. ამის კეთება არ იყო ადვილი. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც ახლადშექმნილი რესპუბლიკის წინაშე იდგა განათლების პრობლემა იყო. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცეოდა განათლების საკითხს (ჭუმბურძიძე, 2000. სონღულაშვილი 2022). ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ მსოფლიოს ისტორიის სწავლების კონტექსტში საკითხის გაშუქება მათ ამოცანას არ წარმოადგენდა. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით შეგვევსო ეს ვაკუუმი და ეს თემა წინ წამოვწიეთ. მსოფლიო ისტორიის სწავლება გამონაკლისი არ ყოფილა და სათანადო ყურადღება ექცეოდა. ფაქტობრივად, მათ დაიწყეს დარგის შენება. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი სწორი გზით მიდიოდა. თავიანთი საქმიანობა საძირკველიდან დაიწყეს. პირველ ყოვლისა, ყურადღება სკოლას მიაპყრეს. ეს ადვილი გასაგებია. სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლება ყოველად წარმოუდგენილი იქნებოდა კვალიფიცირებული სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე. სკოლას ჰაერით

ჭირდებოდა მსოფლიო ისტორიის ახალი ქართული სახელმძღვანელოები. პირველი ნაბიჯები სწორი გადადგეს, კარგად გათვალეს. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდათ დასახული. ეს პატარა საქმე ნამდვილად არ იყო და მათ წარმატებად მიგვაჩნია. შეეცადნენ საიმედო ბალავარი შეექმნათ.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სფეროში თავისი საქმიანობის დაწყება მათ მოუხდათ მეტად რთულ გარემოში. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ამ საქმეში წინამორბედი არ ყოლიათ და ყველაფრის დაწყება ნულიდან, ცარიელი ნიადაგიდან, მოუწიათ. ერთ-ერთ მთავარ ღირსებად საკითხისადმი წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, დამოკიდებულება მიგვაჩნია. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით იყო განპირობებული, რომ მათ, უმთავრესად, აქცენტი გააკეთეს მსოფლიო ისტორიის რუსულ სახელმძღვანელოებზე, რომელიც ძირითადად, პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან იყო დაწერილი. ჩვენ აზრით, ეს არანაირად არ აკნინებს, არავითარ ჩრდილს არ აყენებს, ამ სფეროში მათ მიერ შეტანილ მოკრძალებულ წვლილს. ეს იმ ექსტრემალური სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა და, როგორც გვგონია, მას პლუსები გაცილებით უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე მინუსები. აღსანიშნავია, რომ ამ სახელმძღვანელოებმა ქართული სკოლა იხსნა მოსალოდნელი კოლაფსისაგან, რომლის დიდი ალბათობა, ნამდვილად არსებობს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს ნაბიჯი გამართლებული ჩანდა. ამის გამო მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და საბჭოთა მიდგომის წისქვილზე ასხამს წყალს. ეს კი მიუღებლად მიგვაჩნია.

ქართული ისტორიოგრაფიის მთელი ძალისხმევა, სწორედ, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნისკენ იქნა წარმართული. მნიშვნელოვანწილად, სწორედ. ამით იყო განპირობებული სახელმძღვანელოების ის ბუმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ის არ მეტყველებდა ამ სფეროში არსებულ

ქაოსზე, დაბნეულობაზე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, ზედაპირზე ძვეს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. არამედ ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული კონკურენტუნარიანი გარემოს გამოძახილი უნდა იყოს. კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა ამ სფეროში მათი საქმიანობის კიდევ ერთ დადებით მხარედ გვევლინება.

ახალი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები პირობით სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. მას საფუძვლად უძვეს ქრონოლოგიური პრინციპი. ეს სავსებით ლოგიკურიცაა და მსოფლიო ისტორიის სამწვეროვანი დაყოფის გამოძახილს წარმოადგენს. ეს ადვილი გასაგებია და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა. ძველი, შუა საუკუნეების და ახალი ისტორია. ძველი ისტორია: დ. უზნაძე პირველყოფილი კულტურა, დ. უზნაძე ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, გრ. ნათაძე, პირველყოფილი კულტურა, თ. ჭუმბურიძე, პირველყოფილი კულტურა. დ. კუდრიავსკი, როგორც ცხოვრობდნენ ძველად ადამიანები. დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალ. ნამორაძის ფრთხილი ვარაუდი თითქოს გრ. ნათაძის სახელმძღვანელო „თუ არ ვცდებით პირველი სახელმძღვანელო იყო ქართულ ენაზე ამ დარგში. განკუთვნილი საშუალო სკოლის პირველი კლასელები-სათვის“ (ნამორაძე, 1959. 372). პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოს „პირველყოფილი კულტურა“, რომელიც პირველად გამოიცა 1916 წელს. როგორც ჩანს, ღვანლმოსულ მეცნიერს, ნებისთ თუ უნებლიეთ, გამორჩა დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელო. უძველესი ისტორიის ლოგიკური გაგრძელებაა ძველი ქვეყნების ისტორია. ანტიკური ეპოქა, ძველი საბერძნეთის და რომის ისტორია, დ. უზნაძე, მსოფლიო ისტორია, ნაწილი მეორე, ძველი საბერძნეთი. დ. უზნაძე, მსოფლიო ისტორია ნაწილი მესამე. რომი, ალ. წერეთელი, მსოფლიოს ისტორია. ნაწილი პირველი, ძველი ისტორია. მეორე ჯგუფი. შუა საუკუნეების ისტო-

რიის სასკოლო სახელმძღვანელოები. ივ. გველესიანი, საშუალო საუკუნეების ისტორია, ვ. დონდუა, საშუალო საუკუნეთა ისტორია, ალ. წერეთელი. მსოფლიო ისტორია, ნაწილი მეორე, საშუალო საუკუნეები, ა. ვულფიუსი, საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო და ბოლოს მესამე ჯგუფი, ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები. ს. ავალიანი, ახალი ისტორია, (XVI-XVIII საუკუნეები), ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორია, (XIX-XX საუკუნეები), დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, მსოფლიო ისტორია (XV-XVII სს.), დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII-XIX სს.), ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწილი მესამე, ახალი საუკუნეები, თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ე. ლავისი, ახალი ისტორია, ა. ვულფიუსი, ახალი ისტორია.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ნაბიჯს გააჩნდა თავისი რეზონი, აზრი. ცხადია, ისინი ეძებდნენ ამ რთული ვითარებიდან გამოსავალს. ეს. ცხადია, ძალიან კარგია და მათი საქმიანობის პლუსია. მათ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული შექმნილი მდგომარეობის მთელი სირთულე. ეს ნაბიჯი იმით გახლდათ გამოწვეული, რომ ისინი ცდილობენ დრო მოიგონ, რათა კიდევ უფრო კარგად მოემზადონ ამ საშური საქმისათვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დრო მათ სასარგებლოდ არ მუშაობდა. ეს არ იყო მათი ბრალი. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. მიუხედავად იმ ექსტრემალური ვითარებისა, დროის მცირე მონაკვეთისა, ფაქტობრივად ცაიტნოტისა, მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მაინც მოახერხეს საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანა, რომელმაც თავისი სუსტი, მკრთალი, კვალის დაფიქსირება, მხოლოდ, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო. ეს მათი წარმატება იყო და ამაზე თვალის დახუჭვა არ ივარგებს. ეს მართებული არ უნდა იყოს. მეტის გაკეთება ვერ მოასწრეს. დაწყებული საქმე ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. ეს ამ საქმის დასაწყისი იყო და არა დასასრული, როგორც ეს სინამდვილეში აღმოჩნდა. ეს მათი ბრალი არ ყოფილა.

ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ის აშკარად გაცდა წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და პოლიტიკურ ქარტეხილებთან ასოცირდებოდა. ეს ცხადია, კარგი ცხოვრებით არ ყოფილა განპირობებული.

ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს თარგმანთან ასეთია ე. ლავისის და ა. ვულფიუსის სახელმძღვანელოები. სხვა შემთხვევაში ის არ წარმოადგენს წმინდა წყლის თარგმანს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, ზედაპირზე ძვეს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. საქმე ასე მარტივად არაა. ეს უნდა იყოს სახელმძღვანელოების გადმოქართულების, ქართულ რეალობასთან შესატყვისობაში მოყვანის მცდელობა. ეს, ალბათ, რალაცას უნდა ნიშნავდეს. ისინი თავს სახელმძღვანელოს შემდგენლებად უფრო მოიაზრებოდნენ, ვიდრე ავტორებად. ეს სწორი ნაბიჯი იყო. ამის გამო მათი მკაცრად განსჯა გამართლებული არ უნდა ჩანდეს და ძალზე ხისტად მიგვაჩნია. ეს იმ ექსტრემალური სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა, რომელმაც უნდა ითქვას, რომ გადაარჩინა ქართული სკოლა მოსალოდნელი კოლაფსისაგან, რომლის დიდი ალბათობა, ნამდვილად არსებობდა და ამაზე თვალის დახუჭვა, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. ქართული სკოლა, არ დარჩა მსოფლიო ისტორიაში ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელობის გარეშე. ეს მათი წარმატება იყო. ჩვენ ეს საკითხი, სწორედ, ასე გვესმის. (კალანდაძე, 2017).

* * *

უნდა ითქვას, რომ ახალმა სახელმძღვანელოებმა უმალ მიიპყრო თანამედროვეების ყურადღება. განსაკუთრებით საგულისხმოა პრაქტიკოსი პედაგოგების რეაქცია ფაქტობრივად, საქმე გვაქვს, ამ სახელმძღვანელოების შეფასების პირველ მცდელობასთან, რომელსაც ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია და მისი გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესო და აქტუალურად

მიგვანჩია. ეს ამის გაკეთების პირველი მცდელობაა. ეს არის საკითხის ისტორიოგრაფია. მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებისადმი თანამედროვეობის დამოკიდებულება დადებითად მიგვანჩია. უნდა ითქვას, რომ ისინი ამ საქმეს მეტად სერიოზულად მოეკიდნენ და კარგად აცნობიერებდნენ თუ რა პატრიოტულ ნამონყებასთან უნდა ჰქონოდათ საქმე. ეს არ იყო სახელმძღვანელოების ხოტბა-დიდება, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და გამომხაურების დადებით მხარეს წარმოადგენს. საუბარია როგორც შუქზე, ისე ჩრდილზე. რომელსაც ერთი მიზანი ამოძრავებს. თავისი წვლილი შეიტანოს სახელმძღვანელოს შემდგომი სრულყოფა, დახვეწის, საქმეში. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. მხედველობაში გვაქვს 1919 წელს ჟურნალ „განათლებაში“ გამოქვეყნებული ვრცელი გამომხაურება.

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ავტორის პოლემისტური ტონი, რაც საშუალებას აძლევს, სახელმძღვანელოს შეფასებისას, თავიდან აიცილოს ორივე უკიდურესობა. აპოლოგეტური დამოკიდებულება ან შეუფასებლობა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ გამომხაურების დადებით მხარეს წარმოადგენს. ის სახელმძღვანელოს მიმართ გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებებს: 1. მას მიაჩნია, რომ დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის სახელმძღვანელო წარმოადგენს თარგმანს. 2. ავტორი ფიქრობს, რომ ეკონომიკური ისტორიის საკითხების გაშუქებას სახელმძღვანელოში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა. ამის ნიმუშად მას სამრეწველო გადატრიალებისადმი გამოჩენილი უყურადღებობა მიაჩნია. რომლის გარეშეც მონაფეთათვის გაუგებარია ინგლისის მთელი შემდგომი ისტორია. 3. გარკვეული უკმარისობის გრძნობა რჩება მას ცალკეული თემების გაშუქების მხრივ. მას საკამათოდ მიაჩნია სახელმძღვანელოს ავტორების პოზიცია შუა საუკუნებიდან ახალ დროზე გადასვლის საკითხში. მისი აზრით, „ეს გარემოება სრულიად ამახინჯებს მნიშვნელოვანი გარდამავალი

ხანის შინარსს და გაუგებარს ხდის შემდგომ ისტორიულ მსახურებას“. 4. რეცენზენტი არ უარყოფს, რომ პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელო წარმოადგენდა სერიოზულ წინაგადაგმულ ნაბიჯს, დ. ილოვასკის სახელმძღვანელოების შემდეგ, მაგრამ თანდათან დროთა განმავლობაში პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელო მოძველდა, ყავლი გაუვიდა და უფრო ახალმა ნ. კარევის და რ. ვიპერის, სახელმძღვანელოებმა ჩაანაცვლა. აქედან გამომდინარე ის ფიქრობს, რომ გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა აქცენტის გაკეთება ამ ახალ სახელმძღვანელოებზე. 5. ის ფიქრობს, რომ სახელმძღვანელოს ენა და სტილი, მძიმეა, (განათლება, 1919. 2. 110-112).

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, შეიძლება ითქვას, რომ დასკვნა დადებითია. მას, ვფიქრობთ, კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ეს იყო იმ რთული ვითარებიდან ერთ-ერთი პრაგმატული, პრაქტიკული, გამოსავალი. ამაში სავსებით ვეთანხმებით მას. „მიუხედავად ყოველივე ამისა, თუ ჯერჯერობით მოუხერხებელია სხვანაირად, ჩვენს ზოგიერთ ორიგინალურ სახელმძღვანელოს მაინც ვამჯობინეთ. ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოს და დროებით მაინც შეიძლებოდა ჩვენს სკოლაში მისით სარგებლობა. რადგან სახელმძღვანელოში მოთავსებული მასალა მეცნიერული თვისებების მხრივ ზედმინევნით უმნიშვნელოა. თარგმანი სრულიად დამაკმაყოფილებელია“. (განათლება, 1919, 112). პერიოდიზაციის საკითხთან დაკავშირებით. მათი პოზიცია გამჭვირვალეა. მათ ამ ორ ეპოქას შორის მიჯნად ესახებათ XV საუკუნის დასასრული და XVI საუკუნის დასაწყისი. ერთ შემთხვევაში რეფორმაცია და რენესანსი, ხოლო მეორე შემთხვევაში, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები. ამაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ. გარდამავალი ხანის „დამახინჯებაზე“, აპელირება, ვფიქრობთ, შეიძლება ამუქებდა საქმის რეალურ ვითარებას და დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს. ცნობილი რუსი ისტორიკოსის პაველ ვინოგრადოვის ახალი ისტორიის (Виноградов, 1913) სასკოლო სახელმძღვანელოს მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება გამართლებული არ

უნდა ჩანდეს და საკამათო უნდა იყოს. ამ შემთხვევაში კამათი გემოვნების საკითხია. საუბარი იმაზე თითქოს „სახელმძღვანელოს სტილი, ენა, მიძიება“, გადაჭარბებული შეიძლება იყოს და მეტად ხისტად გვეჩვენება. ის არ უგულვებლყოფს რომ „თარგმანი სრულიად დამაკმაყოფილებელია“, აქ კამათი პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და უფრო გემოვნების საკითხია.

აქ გამოთქმული მოსაზრებებს დავამატებდით კიდევ ერთს და არსებითს, რომელიც, ეტყობა, მას წვრილმანად მიუჩნევია და ყურადღება არ მიუქცევია. საქმე ეხება სახელმძღვანელოს მეთოდურ მხარეს. აქ, უბრალოდ, იმის თქმას ვაპირებთ, რომ სახელმძღვანელოების უმრავლესობას არ გააჩნია კითხვები. ეს საშუალებას მისცემდა მასწავლებელს გაარკვიოს როგორ დაისწავლეს მოსწავლეებმა გაკვეთილი და აითვისეს ახალი მასალა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ყოფილა და მასში ისტორიის სწავლების მეთოდის გარიჟრაჟზე შეიქმნილი ვითარების გამოძახილი მოჩანს.

სხვათა შორის, ეს არ არის ერთადერთი დადებითი გამოხმაურება, რომელიც ამ სახელმძღვანელოებზე არის დაწერილი. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ისტორიის პედაგოგის ვ. ძიძიგურის დადებითი გამოხმაურება, რომელიც დაიბეჭდა 1920 წელს „სახალხო საქმეში“. სახელმძღვანელოს დადებით შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მასში მიუღებელს ვერც ვერაფერს ვხედავთ „ასეთი გაჭირვების დროს მონაფისათვის სახელმძღვანელოს მიწოდება და ისიც, უნაკლოდ შედგენილისა, ჭეშმარიტად დიდი სამსახურია სკოლისთვის და, უეჭველად, მასწავლებელი უნდა იყო, რომ შეგეძლოს განიცადოთ განსაკუთრებული მადლობა, რომელიც დაიმსახურა „კულტურის ისტორიის“ სახელმძღვანელოს ავტორმა ბ-ნ დიმიტრი უზნაძემ. პროფ. დიმიტრი უზნაძეს, რომ, ამ ნაშრომის გარდა სხვა არაფერი ღვაწლი, რომ არ მიუძღოდეს ერის წინაშე. ესეც საკმარისი იქნებოდა დ. უზნაძის „კულტურის ისტორია“, უდავოდ, პირველია, ყველა ქართულად დაწერილ სახელმძღვანელოებში, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს პედაგოგიკის

მოთხოვნილებებს. მასზე უფრო მშვენიერი, მსუბუქი ენით დან-ერილი სახელმძღვანელო, ჩვენ არ მოგვეპოვება“. (სახალხო საქმე, 742. 1920. წ. ბერულავა, 1967. 139). კიდევ ერთხელ დავძენთ. შესაძლოა, ასეთ ზეანეული ტონი ზედმეტია, გადაჭარბებული იყოს, მაგრამ სახელმძღვანელოს დადებითი შეფასება, უეჭველიდ, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და ამ გამოხმაურების დადებით მხარედ გვევლინება. მასში მიუღებელი არც არაფერია.

უნდა დაუბრუნდეთ პირველ გამოხმაურებას. რა შეიძლება ითქვას აქ გამოთქმულ მოსაზრებაზე? დავინყოთ პოზიტივით. ავტორის ოპტიმისტური ტონი სავსებით მისაღებია და სახელმძღვანელოს დადებითი შეფასება სამართლიანია. ის არ ისახავს მიზნად ამ სახელმძღვანელოს განქიქებას. ეს სწორი არ იქნება და მისი სრულყოფას, დახვენას, ითვალისწინებს. ეს გამოხმაურების პლუსია. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ზოგიერთი მოსაზრება დაზუტებას შეიძლება საჭიროებდეს. უწინარესად, ასეთად მიგვაჩნია სახელმძღვანელოს თარგმანისათვის მიკუთვნება. ეს, ალბათ, მაინც დიდ სიფრხილეს მოითხოვს და საკამათოდ შეიძლება იყოს. ჩვენ უფრო იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ ეს უნდა იყოს სახელმძღვანელოს გადმოქართულების, ქართულ რეალობასთან შესატყვისობაში მოყვანის მცდელობა. ეს ერთი მიდგომა შეიძლება იყოს. უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა მოუსმინოთ თვითონ დიმიტრი უზნაძეს. ეს ამ საკითხს, შეიძლება მეტ ნათელს მოფენს. „ჩვენი ახალი ისტორია ვინოგრაფიკის წიგნის მიხედვით („ახალი ისტორიის სახელმძღვანელო“) არის შედგენილი. მასალის დანაწილება და გაშუქებაც თითქმის სავსებით ამ წიგნიდან არის ამოღებული: თვით ტექსტიც ძალიან ხშირად იქიდანვეა ნათარგმანები, მაგრამ ჩვენ შრომას თარგმანი მაინც ვერ ვუნოდოთ, იმიტომ, რომ როგორც ტექსტში, ისე მასალაშიც იმდენი ცვლილება შევიტანეთ, რომ ჩვენმა ნაშრომმა ვინოგრაფიკის წიგნთან შედარებით განსხვავებული სახე მიიღო“. რატომ არ უნდა ვენდოთ დიმიტრი

უზნაძეს? რატომ უნდა შევიტანოთ ეჭვი მის გულწრფელობაში. ამის მიზეზს უბრალოდ ვერ ვხედავთ. სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას სახელმძღვანელოში ეკონომიკური ისტორიისადმი დამოკიდებულების თაობაზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში დუმილით უვლიან გვერდს სამრეწველო გადატრიალებას ინგლისში. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამ სფეროში მათ საქმიანობას საკმაოდ დადებითად ეკიდებოდა კომპეტენტური სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული სასკოლო კომიტეტი, რომელიც შეიქმნა 1920 წლის 15 თებერვალს და მას სათავეში ედგა დიდი მამულიშვილი და მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. ყურადღებას მივაპყრობთ კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის ასევე ნაკლებად შეიძლება იყოს ცნობილი. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გრიგოლ ნათაძის რეკომენდაციის თანახმად, დიმიტრი უზნაძის ძველი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს პრემიით დაჯილდოვების შესახებ. (საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935. აღწერა 1. საქმე 168. ფ.3. ნ. ბერულავა 1967. 41-42). ალბათ, ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს? სახელმძღვანელოებისადმი ასეთი დამოკიდებულების ერთ-ერთი მიზეზი პრაგმატული, პრაქტიკულ დამოკიდებულებაში უნდა ვეძებოთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ცივ წყალს ასხამს სკეპტიკოსებს, რომლებიც შემდგომში ძალიან მომრავლდნენ.

ეს ყველაფერი, ცხადია, საგულისხმოა და საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ერთი საინტერესო დასკვნა. როგორც ირკვევა, ქართული ისტორიოგრაფია მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შეფასების დროს სწორი გზით მიდიოდა. ამ დარგში მათი საქმიანობის შეფასების დროს ცდილობდა ობიექტური ყოფილიყო და მასზე დადებითი აზრის იყო. გულწრფელად საუბრობდა მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, რაც, უწინარესად, მათ სრულყოფა, დახვეწას, ითვალისწინებდა. ეს მონაკვეთი, პირობით, ამ სახელმძღვანელოებისადმი დამოკიდებულების პირველ ეტაპად შეიძლება აღვიქვათ.

ამ სახელმძღვანელოების შეფასების ევოლუციის საკითხში ახალ მკვეთრ სახეცვლილებას ადგილი აქვს 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ეს იმით გამოიხატება, რომ ოპტიმისტური ტონი, რომელიც მანამდე იყო, თანდათან და ნელ-ნელა ჩანაცვლა სკეპტიკურმა განწყობილებამ, ნიჰილისტურმა მიდგომამ. საბჭოთა წარმოდგენისათვის ძალზე ნიშანდობლივი გახლდა წინამორბედების წვლილისადმი ინდიფერენტული, გულგრილი, დამოკიდებულება. გვიმტკიცებდნენ თითქოს საქართველოს გასაბჭოებამდე ამ დარგში პოზიტიური არაფერი ხდებოდა და დარგის წინსვლა, განვითარება, მჭიდრო გენეტიკურ კავშირში იყო 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებასთან. წარსულის გაბიაბრუების ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმატებების უსამველოდ გაბუქვა. ვიღებდით იდეალურ სურათს. ამგვარი წარმოდგენა იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. დღეს საბჭოთა წარმოდგენა მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ჩამოიშალა, გაკოტრებულია. ეს სახელმძღვანელოები თანდათან, ნელნელა, მივიწყებას მიეცა. დადებითი დამოკიდებულება ამ სახელმძღვანელოებისადმი, რბილად რომ ვთქვათ, უფრო ინდიფერენტულმა, გულგრილმა, მიდგომამ ჩანაცვლა, რაც ერთი ვინროდოგმატურდ გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის დამყარების გამოძახილი გახლდათ. წინამორბედების წვლილისადმი თავშეკავებული დამოკიდებულება, საბჭოთა მიდგომის აქილევსის ქუსლად გვევლინება. სინამდვილეში ეს დარგი სულაც არ იყო უწარსულო. მას აქვს თავისი წარსული. უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა მსოფლიო ისტორიის, განსაკუთრებით ახალი დროის ისტორიის, პოპულარიზაციაზე. ეს ადვილი გასაგებიცაა. მთელ რიგ შეთხვევებში ეს მათთვის უახლესი ისტორია იყო, რაც განსაზღვრავდა მის აქტუალობას. მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში მათი წვლილის უგულებელყოფა, იგნორირება, დამაჯერებელი არ უნდა იყოს. მეტად ხისტად გვეჩვენება და ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას. მისი

წარსულის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. ეს პირობით ამ სახელმძღვანელოებისადმი დამოკიდებულების მეორე ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ სახელმძღვანელოების შეფასების ევოლუციის საკითხში ახალი საინტერესო ფურცელი გადაიშალა 90-იანი წლების დასაწყისში და საბჭოთა კავშირის დაშლის გამოძახილია. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ დამახასიათებელ თვისებად, იმ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების რეანიმაცია, რეაბილიტაცია, გვევლინება. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ეს მიუღებელი იქნებოდა. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ, იმას, რომ ამ სახელმძღვანელოების იგნორირება, უგულებელყოფა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში ან შეუფასებლობა, რომელიც ძველი ინერციით შეიძლება ჯერ ისევ შეიმჩნევა, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. მათი უგულებელყოფა, იგნორირება, აპოლოგეტური მიდგომით არ უნდა ჩავანაცვლოთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. ჩვენი შრომები ამ საშუალებო ხაზის მოძიების ერთ-ერთი მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება. ეს არის ის რეალობა, რომელიც გაგვაჩნია და, რომლის არც შელამაზება, ვარდისფერებში წარმოჩენა ან გამუქება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. სწორ გზას აცდენილები ვიქნებოდით. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენ შრომებთან ერთად ამ სახელმძღვანელოების დადებითი შეფასების მოკრძალებული მცდელობასთან გვაქვს საქმე მადონა მიქელაძის საინტერესო ნაშრომში „გერმანიის ახალი ისტორიის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში 1918-1999 წლებში“, (მიქელაძე, 2003). როგორც ჩანს ყინული თანდათან დაიძრა. ეს, ცხადია კარგია. ფაქტობრივად, ეს გახლავთ ამ სახელმძღვანელოების შეფასების მცდელობის ახალი მესამე ეტაპი, რომელიც პოსტსაბჭოთა

პერიოდთან ასოცირდება. არსებითად, საქმე გვაქვს საკითხის პერიოდიზაციასთან. წინამდებარე ნაშრომი ამის გაკეთების პირველი მცდელობას წარმოადგენს.

* * *

მაშ ასე, როგორც ირკვევა, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის სერიოზული მიდგომის პირველმა ნიშნებმა თავი იჩინა 1918-1921 წლები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და თავისი მოკრძალებული წვლილის დაფიქსირება მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო. მეტის გაკეთება უბრალოდ ვეღარ მოასწრეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. ამ მონაკვეთს დასრულებული სახე არ მიუღია. დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია, რაც კარგი ცხოვრებით არ ყოფილა განპირობებული. ნუ გამოვიჩინთ უმადურებას და მათ ძალისხმევას სათანადო პატივი მივაგოთ. ეს ურიგო არ იქნებოდა, ერთი უკიდურესობიდან მეორეში ნუ ამოვყოფთ თავს. ორივე უკიდურესობა, შეუფასებლობა ანდაც აპოლოგეტური მიდგომა, მიუღებელია. სასურველი იქნებოდა უფრო დაბალანსებული მიდგომა. წინამდებარე ნაშრომი ამის ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს. შუქი მეტია ჩრდილზე. განსხვავებულ მიდგომას სწორედ, ეს უდევს საფუძვლად. ნეგატივი ჩაანაცვლა პოზიტივმა. ჩვენი აზრით, ეს გაცილებით უფრო ადეკვატური იქნებოდა. როგორც გვგონია, ამ სახელმძღვანელოებს ღირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლი. ამაში ალოგიკური არაფერია, მასში ევროპულ პირველ რიგში, კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოიძახილს

ვხედავთ. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია უნაკლო ვერ იქნებოდა. ეს მათი, ვფიქრობთ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული. მიმდინარეობდა მუშაობა მის დახვეწაზე... რისი დამთავრებაც ვერ მოუხსნიათ. ისინი ცდილობენ დრო მოიგონ და უკეთესად მოემზადონ ამ საშური საქმისათვის. თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები დარწმუნებულები ვართ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიის ევროპულ გზით განვითარება არ შეფერხდებოდა, გაგრძელდებოდა და ახალ სიმაღლეებს მიაღწევდა. ეს არ გახლავთ მარტო ლიტონი სიტყვები. ეს რეალობაა. მისმა განვითარებამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა. ეს სწორი გზიდან გადახვევა ჩანს. რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ევროპული მიდგომა, პოზიტივისტური ისტორიოგრაფია ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის აპკში აღმოჩნდა გახვეული. ის ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ნაზავია. ის თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მოვიაზროთ. ქართული ისტორიოგრაფია ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მოჯადოებელ წრეში ტრიალებს და ცდილობს მისთვის თავის დაღწევას, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1935. აღწერა 1. საქმე 1635 ფ. 3.
2. ჭუმბურიძე, 2000, დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში, თბ.,
3. სონღულაშვილი, 2022, ნ. სონღულაშვილი, საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), თბ.,
4. ნამორაძე, 1959. აღ. ნამორაძე, პროფესორი გრიგოლ იასონის ძე ნათაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77 თბ.,
5. კალანდაძე, 2017, მ. კალანდაძე, სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოცემული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ანალები, 13. თბ.,
6. „განათლება“ 1919. 2.
7. Винаградов, 1913. П. Винаградов, Учебник всеобщий история, часть трети, новая история. СПб.
8. „სახალისო საქმე“ 742. 1920.
9. ბერულავა, 1967. ნ. ბერულავა, დიმიტრი უზნაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ.,
10. მიქელაძე, 2003, მ. მიქელაძე, გერმანიის ახალი ისტორიის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში 1918-1921 წლებში, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ.,

პარი მეორე

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის აკვანი დაირწა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1918-1921 წლებში საქართველოს დამოკრატულ რესპუბლიკაში

თავი პირველი

დაუსრულეხელი მონაკვეთი. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა

ეს იყო საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო და რთული მონაკვეთი, რომლის მთავარი თავისებურება, სწორედ, იმაში მდგომარეობდა, რომ ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ეს იმით გამოიხატება, რომ მიუხედავად იმ ექსტრემალური ვითარებისა, დროის მცირე მონაკვეთისა, ფაქტობრივად ცაიტნოტიისა, რომელიც, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ განპირობებული, უნდა ითქვას, რომ მან მაინც მოასწრო თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში და თავისი სუსტი, მკრთალი, კვალის დაფიქსირება მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო. მეტის გაკეთება, უბრალოდ, ვეღარ მოასწრეს, რისი გაკეთებაც მოასწრეს გაა-

კეთეს. ეს არ იყო მათი ბრალი. რას იზამთ საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ ხანმოკლე გამოდგა. ამის გამო, მისი შეუფასებლობა არ ივარგებდა, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ეს მწირი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს, მაგრამ სხვა უფრო ხელშესახები მასალა, უბრალოდ, არ გაგვაჩნია და მას უნდა დავჯერდეთ რაც გვაქვს. მისი შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში ამ მონაკვეთის მიერ შეტანილი მოკრძალებულ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნიდა. ამ დარგის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საქართველოში მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების პირველ მცდელობასთან. მან სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო თავის მცირე კვალის დატოვება. ეს იყო მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. ამიტომ ამ მონაკვეთის და ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნება აპოლოგეტური მიდგომით ჩავანაცვლოთ. ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობა იქნებოდა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეჩვენა საშუალებო ხაზი. ეს საშუალებას მოგვცემს გამოგვევითოთ როგორც შუქი ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად ვცადეთ გამოგვეჩვენოთ მისი გამომწვევი მიზეზები.

აქვე შევხებით კიდევ ერთ საინტერესო თემას, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და მისი წინ წამოწევა აქტუალური უნდა იყოს. ეს მათ ინფორმირებულებას შეეხება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაცია მსოფლიოს ისტორიის საკვანძო საკითხებში მათი ჩახედულების მხოლოდ ერთი მცირე, პატარა, ნაწილი იყო. ეს მათი ცოდნის ფრაგმენტია, რომლის ჩართვა სასკო-

ლო სახელმძღვანელოში მიზანშეწონილად სცნეს. ისინი ამ თემაზე გაცვილებით უფრო კარგად იქნებოდნენ ინფორმირებული, ვიდრე ეს სახელმძღვანელოს ამ პატარა მონაკვეთიდან შეიძლება ჩანდეს. რა თქმა უნდა, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ, ჩვენ ასე გვგონია.

საბჭოთა მიდგომა იყო მეტად ხისტი და წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით ძალზე სუსტად იყო არგუმენტირებულია, არადამაჯერებლად მიგვაჩნია. უფრო მეტიც ის არაეროვნული და არაპატრიოტულია. ამგვარი მიდგომა იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გავგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. წინამდებარე ნაშრომში ამის გაკეთების ერთ-ერთი მოკრძალებული მცდელობაა. მრავალი კარგი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ. ვერ მოასწრეს. ასეთად, პირველ ყოვლისა, ახალი ეროვნული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერა და მსოფლიოს ისტორიის შესწავლის და პოპულარიზაციის ფართოდ გაშლა მიგვაჩნია. ეს მათ სავსებით ხელეწიფებოდათ. ეს არ გახლავთ მხოლოდ ლიტონი სიტყვები. არ ვცდილობთ სასურველი შესაძლებლად წარმოვაჩინოთ. ეს რეალობაა.

საინტერესო სურათი იკვეთება, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკური ქარტეხილებთან და გამოძახილი აქვს ამ მონაკვეთის მნიშვნელობაზე. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით იყო განპირობებული, რომ ის საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა და დასრულებული სახე ვერ შეიძინა. დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. ჩვენი აზრით, პირველი პერიოდის მოსამზადებელ სამუშაოებთან უფრო უნდა გვეკონდეს საქმე, რომლის დასრულება ვერ მოუწვრიათ. ეს იყო დასაწყისი და არა დასასრული. მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა მოასწრეს. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე, მაგრამ, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური ქარტეხილების გამო, ის ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი, დაუსრულებელი დარჩა. ამ მონაკვეთის

მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. იკვეთება მსოფლიო ისტორიის აქტუალური თემებისადმი მეცნიერული მიდგომის წანამძღვრები, წინაპირობა, ნიშნები. ის ძალიან კარგად იკითხება და, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მასში შევეცადეთ დაგვენახა თუ როგორ შეიძლება ყოფილიყო სახელმძღვანელოებში გაშუქებულია მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხები. ეს მუხტი, თუ კარგად ჩაუკვირდებით, დავინახავთ, რომ თვით მათ მსჯელობაშია ჩადებული. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის საკითხების გაშუქების პირველ მცდელობასთან ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამიტომ მისი შეუფასებლობა, რაც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა წლებში, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ეს საკითხი წინ წამოგვეწინა. დაუბრუნეთ არსებობის უფლება. შევეცადეთ მოგვეძებნა მისი ადგილი ამ დარგის ისტორიაში. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. მიმდინარეობდა მუშაობა მის შემდგომ სრულყოფაზე, დახვეწაზე. მაგრამ უნდა ითქვას რომ ვერც მისი ბოლომდე მიყვანა მოეხერხა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ქართულ სინამდვილეში ევროპული მიდგომის დანერგვის პირველ მცდელობასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ აპოლოგეტური ტონი ზედმეტი უნდა იყოს.

აქვე ვიტყვით იმასაც, რომ სხვა უფრო ნორმალურ ვითარებაში ეს, ცხადია, ძალიან ცოტა იქნებოდა და შეიძლება განსჯის საგანი არც ყოფილიყო, მაგრამ ამ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია. მისი შეუფასებლობა, რაც ფართოდ ინერგებოდა, არც ისე შორეულ წარსულში, დღეს უკვე მოძველდა, ისტორიოგრაფიული რეტროს ელფერი დაკრავს. ჩვენ ამ საკითხს უფრო ოპ-

ტიმისტურად უყურებთ და შევეცადეთ გამოგვერკვია როგორ იყო გაშუქებული სახელმძღვანელოებში მსოფლიო ისტორიის აქტუალური საკითხები და რამდენად შეესატყვისებოდა ის იმ პერიოდის ისტორიულ მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს. ისინი მსოფლიო ისტორიაში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდნენ. ეს, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილია. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და იმ პერიოდის ქართულ სინამდვილეში წინგადადგმული ნაბიჯია „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“, ერთი სიტყვით, ეს პერიოდი დასრულებულ ხასიათს არ ატარებდა. რაც პოლიტიკური ქარტეხილებით გახლდათ განპირობებული. ეს გახლავთ რეალობა და მისი არც შელამაზებურად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება, გამართლებული არ უნდა ჩანდეს.

პირველ ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევიმუშაოთ სწორი კრიტერიუმი. ამას აქვს მნიშვნელობა. ეს საშუალებას მოგცემს სწორი წარმოდგენა შევიქმნათ ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე. სხვაგვარად ამის გაკეთება გაძნელებოდა. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. ამ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. მათ წინაშე ასეთი მაღალი ამოცანები არ იდგა. მათი მიზანი მეტად მოკრძალებულია. სადად, მარტივად, მოუთხროს მოსწავლეებს მსოფლიო ისტორიის საკვანძო თემებზე. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ მათ ურიგოდ როდი გაართვეს თავი, რაც მათ წარმატებად მიგვაჩნია. ეს მწირი ინფორმაცია ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლეებს, კარგად დააკვალიანებდა და დაეხმარებოდა მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხზე საერთო წარმოდგენის ჩამოყალიბების საქმეში. ხელს შეუწყობდა მათ დასწავლაში. ეს სახელმძღვანელოები, უდავოდ, წარმოადგენდნენ წინგადადგმულ ნაბიჯს იმ რეაქციულ-შავრაზმული სახელმძღვანელოების შემდეგ, რომლის მიხედვითაც ასწავლიდნენ მსოფლიო ისტორიას ქართულ სკოლებში ცარიზმის

დროს. დღევანდელი გადასახედიდან ამ სახელმძღვანელოების მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს. ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. დღე ეს სახელმძღვანელოები, ცხადია, მოძველებულია, ყავ-ლი გაუვიდა. ისტორიული მეცნიერების წარსულია, მაგრამ არის ერთი, ჩვენი აზრით, პატარა, მაგრამ საინტერესო ნახ-ნაგი, რომელსაც შეიძლება ითქვას, რომ თავისი მნიშვნელობა, აქტუალობა, დღესაც არ დაუკარგავს. საქმე ის გახლავთ, რომ ეს სახელმძღვანელოები წარმოადგენს ამ დარგის განვითარე-ბის, წარსულის, წყაროს. ჩვენ შევეცადეთ მისთვის, სწორედ, ამ კუთხით შეგვეხედა. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს და საშუალებას გვაძლევს ამ დარგის განვითარების სულ სხვა და გაცილებით უფრო რეალისტური სურათი დავდოთ, ვიდრე აქა-მდე იყო. განსხვავებული მიდგომის მთავარი წყაროდ, სწორედ, ეს სახელმძღვანელოები გვევლინება. (კალანდაძე, 2021.9-27, კალანდაძე, 2021⁶).

ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესა-ტყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს. ის ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. უპირატესად, აქცენტი კეთდე-ბა პოლიტიკური ისტორიის თხრობაზე, ხოლო ისტორიული მეცნიერების სხვა აპარტამენტები, კერძოდ კი, სოციალ-ეკონო-მიკური ისტორია, კულტურა, გაშუქებულია შედარებით მკრთა-ლად, სუსტად და ყველაზე უფრო უკეთეს შემთხვევაში, პერ-იფერიულ თემად გვევლინება. ისინი ცდილობენ ფეხი აუწყონ და არ ჩამორჩნენ იმ ნოვაციებს და სიახლეებს, რომელსაც ადგილი აქვს ისტორიულ მეცნიერებაში. შემოიღონ ის ქარ-თულ ისტორიოგრაფიაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მას-ში მიუღებელს ვერც ვერაფერს ვხედავთ. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენ-ებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პრო-გრესულ-ლიბერალური ღირებულებებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც,

ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოჩნდეთ. აპოლოგეტური ტონი ზედმეტია, უადგილო. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. მიმდინარეობდა მუშაობა მათ შემდგომ სრულყოფაზე, დახვეწაზე. ეს სავსებით ნორმალური პროცესია, მაგრამ საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. ეს საქმე, უკვე კარგად ცნობილ მიზეზთა გამო, დასრულებული არ ყოფილა. ეს მათი ბრალი არ იყო. არსებითად, ეს გახლავთ ქართულ რეალობაში ევროპული მიდგომების დანერგვის პირველ მცდელობა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, უმთავრესად, ორ გარემოებასთან შეიძლება ასოცირდებოდეს. მასში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილს ვხედავთ და ევროპელი, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ქართული ისტორიოგრაფია მსოფლიო ისტორიის აქტუალური საკითხების გაშუქების დროს სწორი, მეცნიერული, გზით მიდიოდა და უპირატესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე აკეთებდა აქცენტს. რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ეს არ გახლავთ მხოლოდ ლიტონი სიტყვები. სასურველის შესაძლებლად წარმოჩენის მცდელობა. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. აქ, უბრალოდ, ამის თქმას ვაპირებთ, რომ საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წანამძღვრებთან, კონტურებთან, სიმპტომებთან, პირველ ნიშნებთან. იკვეთება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა. ეს კარგად იკითხება და გამჭვირვალე უნდა იყოს. ამიტომ სკეპტიკური დამოკიდებულების საფუძველს ვერ ვხედავთ. საბაბი შეიძლება არსებობს, მაგრამ საბაბი მიზეზი როდია.

ის გარემოება, რომ ამ მონაკვეთმა ასახვა მოასწრო მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებში, ჩვენი აზრით, არანაირ ჩრდილს არ აყენებს და არ აკნინებს მის მნიშვნელობას. მისი ელიმინირება, ამოღება, ამ დარგის წარსულიდან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა პერიოდში, დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. ის გარკვეული კორექტივების შეტანას, დაზუსტებას საჭიროებს. სკოლის სახელმძღვანელობის მნიშვნელობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება გამართლებული არ უნდა ჩანდეს. საქმე ისაა, რომ მას გააჩნია შემეცნებითი მუხტი, რომელიც თვით თხრობაშია ჩადებული. ამის დაუნახაობა გამართლებული არ იქნებოდა და სკოლის სახელმძღვანელოს მნიშვნელობაზე რეალისტურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. თუ კარგად ჩაუკვირდებით დავინახავთ, როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდებულება მსოფლიო ისტორიის აქტუალური საკითხებისადმი. ეს არაა პატარა საქმე და ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობისადმი, რბილად რომ ვთქვათ, ინდიფერენტული, გულგრილი, დამოკიდებულების მიზეზს ვერ ვხედავთ. მეტის გაკეთება მათ, სავსებით ხელეწიფებოდათ, მაგრამ უბრალოდ, ვეღარ მოასწრეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა. მისი მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამის გამო მისი იგნორირება, უგულებელყოფა, ანდაც შეუფასებლობა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ასეთი ოპტიმისტური მიდგომა, გაცილებით უფრო ობიექტურად მიგვაჩნია, ვიდრე ნიჰილისტური, სკეპტიკური, დამოკიდებულება. ასეთი პესიმისტური ტონი ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიის წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს.

აქვე უნდა შევეხოთ ერთ აქტუალურ თემას, რომლის გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა იყოს და აღნიშნულ საკითხზე გაცილებით უფრო რეალისტური წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება. ამას პრინციპული დატვირთვა

გააჩნია. საქმე ეხება ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიის საქმიანობის რეალისტურ შეფასებას. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ზედმეტი ამბიციები საჭირო არაა და უადგილო იქნებოდა. ის ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის წვლილის ადეკვატური წარმოდგენის ჩამოყალიბებაში ვერ დაგვეხმარება. არასწორ გზაზე დაგვაყენებს. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის შეტანილი წვლილი უნდა შევადაროთ, არა დიდი ქვეყნების მიღწევებს ამ დარგში, ეს, ჩვენი აზრით, სწორი, არ იქნება და ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის საქმიანობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. არამედ ამ საკითხში ევროპის ნებისმიერი პატარა ქვეყნის შედეგებს. ვფიქრობთ, ეს გაცილებით უფრო სწორი უნდა იყოს. ჩვენი ღრმა რწმენით, მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში საქართველოს მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილი, თუ არ აღემატება, არაფრით არ ჩამოუვარდება, ევროპის ნებისმიერი პატარა სახელმწიფოს მიერ ნაჩვენებ შედეგებს. ეს გახლავთ რეალობა და მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. სწორ გზას აცდენილი ვიქნებოდით. საკუთარი შესაძლებლობები ზუსტად უნდა განვსაზღვროთ. არ უნდა გადავაჭარბოთ. უნდა ვიყოთ რეალისტები.

ამ სახელმძღვანელოზე მუშაობა ქართველ ისტორიკოსებს უხდებოდათ მეტად რთულ პირობებში, მიუხედავად ამ ექსტრემალური ვითარებისა, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ საშურ საქმეს ისინი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან. ეს ამ სფეროში მათი საქმიანობის კიდევ ერთი პლუსია. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე, რომელიც ადრე პოლიტიკური მოსაზრებების გამო, თამაშგარეშე მდგომარეობაში რჩებოდა და ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. დავინწყით

იქიდან, რომ ეს სახელმძღვანელოები როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენდა სერიოზულ წინ გადადგმულ ნაბიჯს იმ რეაქციულ-შავრაზმულ სახელმძღვანელოების შემდეგ რომლის მიხედვითაც ისწავლებოდა მსოფლიოს ისტორია საქართველოს სკოლებში ცარიზმის დროს. (Иловаискии, 1899) ეს ერთი. მეორე. ამ სახელმძღვანელოებში, უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა ევროპულ, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე. ეს არანაირ ჩრდილს არ აყენებს და არ აკნინებს ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას. ეს მათი მინუსი კი არა, პლუსია. არსებითად საქმე გვაქვს ქართულ რეალობაში ევროპული მიდგომის დანერგვის პირველ მცდელობასთან. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა. მიმდინარეობდა მუშაობა მის შემდგომ დახვეწაზე, სრულყოფაზე. ეს სავსებით ნორმალური პროცესია და მათი მიდგომის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროცესი დასრულებულად არ მიგვაჩნია. მიმდინარეობდა მუშაობა მის დახვეწაზე, გაუმჯობესებაზე, მაგრამ თვით ეს საქმეც კი, იმ ექსტრემალურ პოლიტიკურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, დაუსრულებული დარჩა. ჩვენი აზრით, საქმე უნდა გვექონდეს სახელმძღვანელოს დაწერის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესთან. ეს არანაირ ჩრდილს არ აყენებს, არ აკნინებს ამ სახელმძღვანელოების და ამ მონაკვეთის მნიშვნელობას. (კალანდაძე, 2024, კალანდაძე, 2017). ეს სწორი არ იქნებოდა. ამ პერიოდის თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. ის დაუსრულებელი პროცესებთან გაცილებით უფრო მეტად ასოცირდება, ვიდრე დასრულებულთან. საქართველოში მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს დაწერის ისტორია, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

სახელმძღვანელოების ავტორებს, თუ გნებავთ შემდგენელებს, ვფიქრობ, კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული

ის სიძნელეები, რომელიც ახალ სახელმძღვანელოს დაწერასთან იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ ისინი მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, ზრუნავდნენ, მის შემდგომ დახვეწაზე, გაუმჯობესებაზე. ეს მათი საქმიანობის კიდევ ერთი პლუსი იყო. თვითკრიტიკული ტონი ამ სახელმძღვანელოების კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. აი რა სწერდა დიმიტრი უზნაძე თავის სახელმძღვანელოზე „კერძოდ არც ჩემი ნაშრომია დადინჯებულია და დამშვიდებული მუშაობის ნაყოფი. იგი ნაჩქარევია და ამ მიზეზით ნაადრევი და უდროვოდ მომნიფებული აღმოჩნდა, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ამ შრომის (ე. ი. სახელმძღვანელოს – მ. კ.) პირველ გამოცემას, რომელიც მრავალრიცხოვანი იბეჭდება, მეორე მიჰყვება და ამ დროისათვის კი პრაქტიკისა და სხვა პედაგოგიკის წყალობით, ჩემი ნაშრომი უფრო მომნიფებულია და დასრულებული ნაწარმოების სახეს მიიღებს.

თვითონ გამოცემას, უეჭველია, მრავალი ნაკლი ექნება, მაგრამ დღევანდელ პირობებში და ისიც ჩვენთვის უკეთესი გამოცემის დამზადება შეუძლებელი იყო“. (უზნაძე, 1916) როგორც ხედავთ, დიმიტრი უზნაძე საკმაოდ ოპტიმისტურად ჩანს განწყობილი და იმედს არ კარგავს, მაგრამ მალე მოვლენები სულ სხვა სცენარის მიხედვით წარიმართა. მოვლენათა განვითარებამ სასურველის და შესაძლებლის დილემის წინაშე დააყენა. „ამ მოთხოვნების მიხედვით, მისი (სახელმძღვანელოს – მ.კ.) ღირსებაც უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ განსაკუთრებულმა ხანმა წაგვართვა საშუალება საკაბინეტო დამშვიდებული მუშაობისა და ამით აიხსნება, რომ ჩვენი სახელმძღვანელო არსებითად იგივე დარჩა... შეიცვალა მასალის აგების წესრიგი და ზოგან მოთხოვნის ხასიათიც, დამატება მხოლოდ მცირეოდენი მოვასწარით – თუ საჭირო შეიქმნა, მესამე გამოცემისათვის უფრო გულდასმით მოვემზადებით და შინაარსის მხრივაც წიგნს გავაფართოვებთ. ახლა კი ხელახლა იმას ვაწვდით საზოგადოებას რისი, დამზადებაც მოვასწარით“. (დ. უზნაძე, 1919). როგორც ირკვევა, დიმიტრი უზნაძეს თავის მართლების

რეჟიმში უხდება ყოფნამ რაც, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მასში, უწინარესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამოძახილს ვხედავთ. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ ეროვნულ სახელმძღვანელოების დაწერამ დაკარგა თავისი უწინდელი აქტუალობა. ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების უნიფიკაციას, სტალინიზაციას. გასულ საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებიდან ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. დასაშვები იყო მხოლოდ რუსული სახელმძღვანელოების თარგმნა. ადგილზე ინიციატივა არ ხალისდებოდა. (კალანდაძე, 2024).

როგორც ირკვევა, დიმიტრი უზნაძე დიდ ყურადღებას უთმობდა „რომის ისტორიას“ სასკოლო სახელმძღვანელოს გაუმჯობესებას. „ჩემი „რომის ისტორიის“ მეორე გამოცემა საკმაოდ გამოირჩევა პირველისაგან. (რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ გამოვიდა). არა მარტო გარეგნულად (პირველი გამოცემა ილუსტრაციებს სრულიად არ შეიცავდა). არამედ შინაარსის მხრივაც, ცვლილებები განსაკუთრებით შემდეგ ნაწილებს შეეხო. იტალიის მოსახლეობის სარწმუნოება, რომის ძველი წესწყობილება, რომის რესპუბლიკის პირველი ხანების საგარეო პოლიტიკა (რომელიც სიცხადისათვის) თავდაცვითი და შეტევითი ომების ხანად გაიყო. იქნა გამოცხადებული დემოკრატიული წესწყობილება (პირველი ნაწილის მცირე შენიშვნებიდან ის მთელ თავად გადაიქცა), რევოლუციური ხანის დასაწყისი. (შინაგანი პირობები, როგორც შედეგი მსოფლიო მონარქიის დამყარებისა) მარიუსის და სულას ხანა, (მეორე გამოცემაში მე შევეცადე ამ ხანის საშინაო ცხოვრება ცალკე დამეხასიათებინა და საგარეო ცალკე, მაგრამ ისე რომ რომის იმდროინდელი ცხოვრების ბუნება, როგორც სინთეზი ორივე ამ მიმდინარეობის ჩრდილში არ დარჩენილიყო). ტრიუმვირიატების ხანა. გარდამავალ ხანად იქნა გამოცხადებული“. (უზნაძე, 1920) რა შეიძლება ითქვას ამ ამონარიდზე? უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოებზე მუშაობა უხდებოდათ საკმაოდ რთულ პირობებში. ისინი დაკისრებულ მოვალეობას საკმაოდ სერიოზულად ეკიდებოდნენ. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის თუ

როგორ ცდილობს ის სახელმძღვანელოს გაუმჯობესებას. მას თვისებრივი, ხარისხობრივი, დატვირთვა გააჩნია და ეს მხედველობიდან არ უნდა გაგვეპაროს. მოდით ნუ ვიქნებით უმადურები და დაუფასოთ გარჯა. საკმარისია უმადურობა. კიდეც უფრო საჭიროდ გვეჩვენება მეორე ამონარიდი. „ჩემს სახელმძღვანელოში ზოგი ისეთი ცნობაცაა მოყვანილი, რომ შეიძლება საშუალო სკოლაში ყველა მათგანის შესწავლა საჭირო არ აღმოჩნდეს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენს პირობებში, როდესაც საკითხავი ნიგნები ჯერ კიდეც თითქმის სრულიად არ მოგვეპოვება. ეს გარემოება შეუძლებელია ნაკლად ჩაითვალოს. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს ადვილად შეუძლია ნიგნში შესაფერისი შესწორება შეიტანოს“. (უზნაძე, 1920). ამ მსჯელობის მთავარ დადებით მხრედ თვითკრიტიკული ტონი მიგვაჩნია. ეს მათი მიდგომის კიდეც ერთი პლუსია. ამგვარი ტონი ოპტიმისტურად განგვანყობს და გვაფიქრებინებს რომ, თუ არა რთული გარემოებები დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა სავსებით ხელენიფებოდათ.

შეიძლება ვილაპარაკოთ ამ სახელმძღვანელოების ორ დადებით მხარეზე, რომლის მიჩუმათება, მიჩქმალვა. ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს და მათ მნიშვნელობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი ჩამოგვიყალიბებს. დავინყოთ იქიდან, რომ პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს მათი ინფორმირებულობა, მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებში საკმაოდ ჩახედულები ჩანან. ეს ადვილი გასაგებია და ემპირიული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია. ეს ერთი ემპირული მხარე. მას გააჩნია მეორე მხარე, რომლის შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და მისი გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა ჩანდეს. თუ კარგად დაუკვირდებით დავინახავთ, რომ ის თხრობაშია ჩადებული. მას გააჩნია შემეცნებითი მუხტი. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების და გამოჩენილი ადამიანების მოღვაწეობის გადმოცემისას ისინი ცდილობენ კვალში გაყვნენ და არ ჩამორჩნენ იმ პერიოდს

დის ისტორიოგრაფიას და სავსებით იზიარებდნენ ამ პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას. ცდილობდნენ ეს სიახლე ქართულ ისტორიოგრაფიაში დანერგონ. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მასში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ. საქმე გვაქვს სასკოლო სახელმძღვანელოების მეცნიერულ მნიშვნელობის შეუფასებლობასთან. ეს კი სწორი არ უნდა იყოს. მას გააჩნია თავისი ღირსებები და ნაკლი. მისი შეუფასებლობა აპოლოგეტური შეფასებით არ შეიძლება ჩავანაცვლოთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჩვენ ვცადეთ საშუალოდ ხაზი მოგვეძებნა და ამ გზით წავსულიყავით. ამგვარი ოპტიმისტური ტონი, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო გამართლებული შეიძლება ჩანდეს, ვიდრე სკეპტიკური განწყობა. ნებისთუ უნებლიეთ, ის ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას და, ბუნებრივია, ამ საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. შესაძლოა, ასეთ პესიმისტურ განწყობილების საბაზი არსებობდეს, მაგრამ საბაზი მიზეზი არაა. ამის მიზეზს ვერ ვხედავთ.

როგორც ირკვევა, მსოფლიო ისტორიის აქტუალური საკითხების გაშუქების დროს, ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული, სწორ აქცენტებს სვამდა, სწორ არჩევანს აკეთებდა. ვფიქრობთ, ეს სახელმძღვანელოები სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს. ისინი ცდილობენ ფეხი აუწყოს და არ ჩამორჩენ იმ ნოვაციებს და სიახლეებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ მეცნიერებაში გასული, მეოცე საუკუნის, გარიჟრაჟზე და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ამის დანერგვას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი პლუსი უფროა, ვიდრე მინუსი. პრიორიტეტულია, ევროპული ღირებულებები, პროგრესულ-ლიბერალური ფასეულობები, საკითხებისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ეს არ გახლდათ მხოლოდ ლიტონი სიტყვები. დარწმუნებული ვართ, რომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება, რომ არა პოლიტიკური

კატაკლიზმები, გაგრძელდებოდა და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ. დაიწერებოდა მსოფლიო ისტორიის კვალიფიცირებული ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვაგვარად მოხდა. მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა. ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების დაწერა უწინდებურად აქტუალური აღარ იყო. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. წარსულისადმი მიდგომა გახდა ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ყველაფერი იმართებოდა ცენტრიდან.

მიზანშეწონილი იქნებოდა, შევეხოთ კიდევ ერთ აქტუალურ თემას, რომლის გვერდის ავლა, გამართლებული არ უნდა იყოს და ხელს შეგვიწყობს აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენის ჩამოყალიბებაში. დაგვეხმარება მათ გეგმებზე, ჩანაფიქრზე, ზუსტი წარმოდგენა შევიქმნათ. ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ ეს მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო, რომელზე მუშაობის დაწყება მოუსწრიათ. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მათ წარმატებად მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, ეს ბევრი არაა. საკმარისი არ უნდა იყოს. ეს მედლის ერთი მხარეა. მასზე ხშირად აპელირებენ სკეპტიკოსები. რაოდენობრივად ეს მართლა ბევრი არაა მაგრამ თვისებრივად, ხარისხობრივად, ეს მთლად ასე როდია. მას გააჩნია მეორე მხარე, რომელსაც არ უნდა წაუყრუოთ. ნორმალურ სიტუაციაში ეს მართლაც ცოტაა, მაგრამ იმ რთულ პოლიტიკურ ყოფაში ეს არ იყო პატარა საქმე და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილი არ იქნება. სიმართლე გითხრათ, პესიმისტური განწყობილების საფუძველს ვერ ვხედავთ. ეს ამ საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. არსებობდა დიდი ალბათობა, რომ ამაზე არ შეჩერდებოდნენ და მას ექნებოდა გაგრძელება. მათი ჩანაფიქრი სამ საფეხურად წარმოგვიდგენია. საფიქრელია, რომ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ

სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დასრულების შემდეგ ისინი დაიწყებდნენ მუშაობას მსოფლიო ისტორიის უმაღლესი სკოლის ეროვნულ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოზე. ეს მათი ჩანაფიქრის ლოგიკური გაგრძელება, მეორე საფეხური, იქნებოდა. ვიმედოვნებთ, რომ ის იმ კარგი ტრადიციის გაგრძელება იქნებოდა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. მათი ჩანაფიქრის მესამე საფეხურს, ცხადია, წარმოადგენდა მსოფლიო ისტორიის შესწავლის და პოპულარიზაციის ფართოდ გაშლა. (კალანდაძე, 2024). ეს არ არის მხოლოდ ლიტონი სიტყვები, როგორც ეს ერთი შეხედვით ვინმეს შეიძლება ეჩვენოს. არ ვცდილობთ სასურველი რეალობად წარმოვაჩინოთ. ეს მათ სავსებით ხელენიფებოდათ. ამის შესაძლებლობა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი სწორი გზით მიდიოდა. პირველი ნაბიჯები კარგად გადადგეს, სწორედ გათვალეს. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო. მათ თავისი საქმიანობა საძირკველიდან დაიწყეს. დარგის შენებას მტკიცე ბალავარი შეუქმნეს. მაგრამ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ მიზეზთა გამო, ეს საშური საქმე ბოლომდე მიყვანილი არ ყოფილა და მისი დასრულება ვეღარ მოასწრეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. ამ მონაკვეთის მთავარია თავისებურება, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. მან დასრულებული სახე ვერ შეიძინა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ, უმთავრესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, მათ მდიდარი მეცნიერული პოტენციალი ბოლომდე გამოყენებული არ ყოფილა.

როგორც ირკვევა, 1918-1921 წლებში საქართველოს, დემოკრატიულ რესპუბლიკაში მსოფლიო ისტორიის შესწავლა სწორი, მეცნიერული, გზით მიდიოდა. ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავთ. ის ევროპელი, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოცახილს წარმოადგენს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ქართულ რეალობაში ევროპული

პრინციპების დანერგვის მცდელობასთან. ამ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამისი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს საშური საქმე, უმთავრესად, პოლიტიკური ქართველების გამო, ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ასეთია ის რეალობა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე, უპირატესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალიანმევიით, ქიმა იქით აღმოჩნდა და ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. სულ სხვა აქცენტები დავსვით. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა შევეცადეთ პოლიტიკური განსჯის სფეროდან, აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“. ეს იყო განსხვავებული მიდგომა. მას საფუძვლად ედო ამ მონაკვეთის და ამ სახელმძღვანელოების რეანიმაცია, რეაბილიტაცია. მივიღეთ, საქართველოში ამ დარგის განვითარების სულ სხვა და შეიძლება გაცილებით უფრო რეალისტური საერთო სურათის და პერიოდიზაცია, ვიდრე ეს აქამდე იყო.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მთელი ეს პროცესი სულ სხვა მიმართულებით წარიმართა, რომელიც, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელი იქნებოდა მივიჩნიოთ. პირველ ყოვლისა, ეს იმით გამოიხატა, რომ ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის იდეამ დაკარგა თავისი უწინდელი აქტუალობა და უკან პლანზე გადაინაცვლა. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ამიერიდან ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. ადგილებზე ინიციატივა შეიზღუდა. მიზანშეწონილი იყო მხოლოდ რუსული სახელმძღვანელოების თარგმნა. წარსულისადმი მიდგომა იყო მეტად იდეოლიგიზებული და პოლიტიზირებული. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ევროპული მიდგომის მცდელობა ჩაანაცვლა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. ერთი ვინროდოგ-

მატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიამ. ეს გახლავთ რეალობა და მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება, მართებული არ იქნებოდა. წინამორბედების წვლილისადი ინდიფერენტული, გულგრილი, დამოკიდებულება, საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამახასითებელი შტრიხია. ამგვარი დამოკიდებულება საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხტავს. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ამან განაპირობა საბჭოთა წარმოდგენის გადასინჯვა, რევიზია.

ჩვენი პოზიცია გახლავთ ძალიან მარტივი და საკმაოდ გამჭვირვალე. ჩვენი შრომების მთავარ დებულებას წარმოადგენს მოსაზრება, რომლის თანახმად საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა თავის პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა პერიოდში, არამედ შედარებით ცოტა უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ წლებში გამოსული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს და განსხვავებული მიდგომის მთავარ წყაროდ გვევლინება. 1918-1921 წლებში საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, პირველ ყოვლისა, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო თავისი მოკრძალებული კვალის დატოვება. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამის უგულებელყოფა, იგნორირება, ანდაც შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამგვარი მიდგომა იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი გახდათ პოლიტიკური ნება. საქართველოს გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა უნდა ჩანდეს 1918 წელი. ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება 1918 წლის 8 თებერვალს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის გახსნა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამ დარგის აკვანი დაირწა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს ფაქტი მოსვენებას უკარგავდა, პირდაპირ ეკალივით ესობოდა თვალში, ბოლშევიკებს და ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ როგორმე წაეშალათ ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამაოდ დაშვრნენ. სანადელი ვერ შეასრულეს. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“. საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში ეტაპობრივ მოვლენად სწორედ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, მიგვაჩნია, რაც უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი ხნის განმავლობაში კადრში ვერ ხვდებოდა და ფართო საზოგადოების თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. სულ ეს იყო რისი გაკეთება ამ ექსტრემალურ ვითარებაში დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც უპირატესად პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ განპირობებული. მათ მოასწრეს. ეს დასაწყისი იყო და არა დასასრული, უპირატესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, დანყებული საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდათ. დაუსრულებელი დარჩა. ამის მიზეზები აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. მას დასრულებული სახე არ მიუღია. ამის გაკეთება ველარ მოასწრეს. მან მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა მოასწრო, რომელსაც, ბუნებრივია გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები ირკვევა, რომ დარგის განვითარება სწორ გზას ადგა. და თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, გაგრძელდებოდა. ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული გზით სვლა არ შეფერხდებოდა. ქართული ისტორიოგრაფიას ძალით მოახვიეს

თავს ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტული იდეოლოგია და ის იძულებული შეიქმნა გადაეხვია არჩეული კურსიდან, მისმა განვითარებამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელება, წინგადადგმული ნაბიჯი არ ყოფილა.

მოკლე რეზიუმეს სახით. ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, კადრში ვერ ხვდებოდა და ფართო საზოგადოების თვალსაზრისს, მიღმა რჩებოდა, რაც ამ დარგის განვლილი გზაზე, წარსულზე, სრულყოფილ ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნიდა, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მსოფლიოს ისტორიის შესწავლა პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს და თავისი კვალის დაფიქრება მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოხერხდა. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მოესწო. ამ მონაკვეთის და სახელმძღვანელოების არსებობა ფაქტია. მას სხვადასხვა ინტერპრეტაცია შეიძლება გაუკეთდეს, მაგრამ მისი სრული უგულებელყოფა, იგნორირება ანდაც შეუსაფებლობა, როგორც საბჭოთა წლებში ხდებოდა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა, აღგვედგინა რეალური სურათი, ეს ნაშრომი ამისი მცდელობაა.

ამ მწირი ინფორმაციის მნიშვნელობის გადაჭარბება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. სწორი არ იქნება, საქმე გვაქვს საქართველოში მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების მეცნიერული გაშუქების ნიშნებთან, წინაპირობასთან, რომელიც თავის პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს. მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ჩვენი აზრით ეს იყო საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო და რთული მონაკვეთი, რომელმაც უმთავრესად, პოლიტიკური ქარტიხილების გამო, დასრულებული სახე ვერ შეიძინა. ამის გამო მისი იგნორირება, უგულებელყოფა, ან შეუფასებლობა, ვფიქრობთ, სამართლიანი არ იქნებოდა. ჩვენ ეს საკითხი ასე გვესმის. ჩვენ გავააჩნია ამ

საკითხის საკუთარი ვერსია, მთავარი სწორედ ეს უნდა იყოს, მას გააჩნია არსებობს უფლება. ეს მეცნიერული პაექრობის საგანი უნდა გახდეს.

ლიტერატურა:

1. კალანდაძე, 2021. მ. კალანდაძე, ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბ.,
2. კალანდაძე 2021^ა. მ. კალანდაძე, მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები (1918-1921) როგორც ამ დარგის ისტორიის წყარო, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(25), თბ.,
3. Иловаиски. 1899. Д. Иловаиский, новая история.
4. კალანდაძე, 2017. მ. კალანდაძე, სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ანალები 1, 13.
5. კალანდაძე, 2024. მ. კალანდაძე, სახელმძღვანელოს საინტერესო ისტორია. მითები და რეალობა.
6. დ. უზნაძე, 2016, დ. უზნაძე პირველყოფილი კულტურა.
7. დ. უზნაძე, 2019, დ. უზნაძე, ძველი აღმოსავლეთის და პირველყოფილი კულტურა.
8. უზნაძე, 1920. დ. უზნაძე, რომის ისტორია.

თავი მეორე

„დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“ მითები რეალობაზე იმსხვრავს

ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ პრობლემისადმი განსხვავებულ მიდგომას. ის საბჭოთა წარმოდგენის საპირწონეა და ითვალისწინებს ამ პრობლემისადმი საბჭოთა მიდგომის გადასინჯვას, რევიზიას. მას ლაიტმოტივად გასდევს პოლემისტური ტონი. სიმძიმის ცენტრის გადატანა მოხდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობიდან, რომლის როლი საბჭოთა წლებში უსაშველოდ იყო გაბუქებული. ამ სფეროში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებულ წვლილზე, რომელმაც, იმ ექსტრემალურ ვითარებაში. დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც, უმთავრესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდებოდა, მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო თავისი სუსტი, მკრთალი, კვალის დატოვება. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ის, უპირატესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამოძახილია. ეს იყო ქართულ სინამდვილეში ევროპული მიდგმის დანერგვის, პირველი მოკრძალებული მცდელობა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ უპირატესად, პოლიტიკური ქართველობის გამო, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ

მოხერხდა და დასრულებული არ ყოფილა. ამ სფეროში მათი მდიდარი მეცნიერული პოტენციალის ბოლომდე რეალიზება ვერ მოხერხდა. ის მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გამოყენებული.

დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მან ჩაანაცვლა ის რეაქციულ-შავრაზმული სახელმძღვანელოები, რომლის მიხედვითაც, ასწავლიდნენ სკოლაში მსოფლიო ისტორიას ცარიზმის დროს. მეტის გაკეთება დროის მცირე მონაკვეთში, უბრალოდ, ვეღარ მოასწრეს. ეს არ იყო მათი ბრალი. ამის შეუფასებლობა მართებული არ იქნებოდა და დღეს უკვე მოძველებულია. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“. განსხვავებული მიდგომის მთავარ თეზად, პოსტულატად, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილ მოკრძალებული წვლილის, რეანიმაცია, რეაბილიტაცია, გვევლინება. ამან რადიკალურად შეცვალა საბჭოთა წარმოდგენა. დარგის განვითარების სულ სხვა სურათი მივიღეთ.

ჩვენი აზრით, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ოპტიმალურ ხანად შეიძლება მივიჩნიოთ არა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ხანაში, არამედ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, თავისი მოკრძალებული წვლილი მხოლოდ მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში დატოვა. ეს, ცხადია, არ იყო პატარა საქმე და მათი ძალისხმევის შეუფასებლობა უმადურება იქნებოდა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და არა დასასრული,

როგორ ეს შემდგომში გამოჩნდა. მხოლოდ პირველი ნაბიჯები იქნა დაფიქსირებული. დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. საქმე გვაქვს დაუსრულებელ მონაკვეთთან, რომელიც აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთის პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად. მისი მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. დარგის განვითარება სწორ გზაზე იდგა. ეს, ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილი იყო. არსებობდა იმისი დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული გზით განვითარება არ შეფერხდებოდა და გაგრძელდებოდა, მაგრამ მოვლენები სულ სხვა სცენარის მიხედვით განვითარდა ქართულ ისტორიოგრაფიას ძალით მოახვიეს თავზე ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. ის იძულებული იყო გადაეხვია არჩეული კურსისთვის. მისი ევროპული განვითარება შეფერხდა სულ სხვა გზით წარმართა ის ევროპული, პოზიტიცივისტური და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ნაზავი. განსხვავებული მიდგომა ლაიტმოტივად გასდევს ჩვენს შრომებს და საშუალებას გვაძლევს შევეხოთ ისეთ საკითხებს, რომელსაც ადრე სათანადო ყურადღება არა ექცეოდა, კადრს მიღმა რჩებოდა. ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ჩვენი შრომები ამის გაკეთების პირველ მცდელობას წარმოადგენს. ჩვენ ვცადეთ განსხვავებული მიდგომა გაგვევრცელებინა მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების და ცალკეული გამოჩენილი პიროვნებების მოღვაწეობის გაშუქებაზე საქართველოში. ეს სიახლე იყო. მას ქართული კონტექსტი გააჩნდა და ამ თემატიკის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. როგორც პროფესორ ბორის პორშნევის უყვარდა თქმა „ქალწულებრივ თემას“ წარმოადგენს.

ჩვენს თვალწინ ჩამოიშალა კიდევ ერთი საბჭოთა მითი. განსხვავებული მიდგომის მთავარი კომპონენტები ასე წარ-

მოგვიდგენია. ყველაფერი ეს დიდი ხნის განმავლობაში, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ქიმი მიღმა რჩებოდა და ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა.

1. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაკვეთი არ ასოცირდება, ამ დარგის რეგრესთან, სტაგნაციასთან, ჩავარდნასთან, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ საბჭოთა წლებში. პირიქით, ის ვითარდება, წინ მიდის, პროგრესირებს. ეს იყო რეალობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალს მიღმა რჩებოდა. ეს გასაგებია. ასეთი იყო პოლიტიკური ნება.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის საკითხებით დაინტერესების დაწყება 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებით, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა პერიოდში, დაგვიანებულად მიგვანჩნია. ის გარკვეული კორექტივების შეტანას, დაზუსტებას, საჭიროებს. ეს ამ დარგის განვლილ გზაზე, წარსულზე, გაცილებით უფრო სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ჩამოგვიყალიბებს. სინამდვილეში ის თავის პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს ცოტათი ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ამ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ეს მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იქნებოდა, რომელზე მუშაობის დაწყება, მათ მოასწრეს, მაგრამ საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდა განპირობებული, ამ მონაკვეთს დასრულებული სახე არ მიუღია. დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს. მისი შეწყვეტა, ჩვენთვის კარგად ცნობილი მიზეზების გამო,

პირველსავე ნაბიჯზე მოუხდათ. მეტი წინ აღარ წასულან. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. დარწმუნებულები ვართ, რომ თუ არა პოლიტიკური ქარტეხილები ისინი დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ. დაწერდნენ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებს. ხელს შეუწყობდნენ მსოფლიო ისტორიის შესწავლის და პოპულარიზაციის ფართოდ გაშლას. ამის გაკეთება მათ სავსებით ხელენიფებოდათ. ამის შესაძლებლობა და პოტენციალი, ნამდვილად არსებობდა. ეს რეალობაა. განსაკუთრებით მტკივნეულა მიგვაჩნია ის გარემოება, რომ უპირატესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მათი მდიდარი მეცნიერული პოტენციალის გამოყენება ვერ მოხერხდა. ის მხოლოდ ნაწილობრივ იქნა რეალიზებული. მათ თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში, რომელმაც თავისი სუსტი, მკრთალი, კვალის დაფიქსირება მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოახერხა. საქართველოში გასაბჭოებამდე მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, კულმინაციად, პიკად. ამ სფეროში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილი მიგვაჩნია. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. დარგის განვითარება სწორი გზით მიდიოდა და, უმთავრესად, ევროპულ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ქართულ რეალობაში ევროპული მიდგომის დაწერგვის პირველ მცდელობასთან. საქართველოში მსოფლიო ისტორიის დაინტერესებამ საინტერესო მეტამორფოზი განიცადა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მან თანდათან, ნელ-ნელა სიტყვაკაზმული ლიტერატურიდან, ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, სფეროდან ჟურნალ-გაზეთების

ფურცლებიდან, სასწავლო საცნობარო ლიტერატურაში ჰპოვა ასახვა. სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და თავისი მოკრძალებული კვალის დატოვება მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამაზე თვალის დახუჭვა, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. როგორც აღმოჩნდა ეს მხოლოდ დასაწყისი, პირველი ნაბიჯები, იყო და არა დასასრული, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა. მათ საქმიანობამ დასრულებული სახე ვერ შეიძინა. დაწყებული საქმე დაუმთავრებელი დარჩათ. ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა ეს პირველი ღონისძიებები, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის პირველი პერიოდის მოსამზადებელი სამუშაოდ იქნას მოაზრებული. მათ დიდი გეგმები უნდა ჰქონოდათ, მაგრამ, როგორც ეტყობა, მისი დასრულება, ბოლომდე მიყვანა, ვერ მოუხსნიათ. ეს მხოლოდ მათი ჩანაფიქრის ერთი ნაწილი იყო, რომელზე მუშაობის დაწყება მოასწრეს.

როგორც ირკვევა, ამ სფეროში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართული ისტორიოგრაფიას თავისი საქმიანობა ცარიელ ნიადაგზე ნულიდან კი არ დაუწყია, როგორც ამას ხაზს უსვამდა საბჭოთა ისტორიოგრაფია, არამედ გარკვეული ტრადიცია დახვდა, რომლის უგულვებელყოფასაც ამაოდ ცდილობდნენ. საბჭოთა მიდგომა ჩამოიშალა. გაკოტრდა, სრული ფიასკო განიცადა. ასეთია რეალობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, დიდი ხნის განმავლობაში, ქართული საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული საკითხის განხილვა პოლიტიკური განსჯის სფეროდან აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. ამ დარგის განვითარების განსხვავებული წარსული, ისტორია, გვეჩვენებინა.

2. ჩვენი მეცნიერული ინტერესების ცენტრში დგას ერთი დიდი და სერიოზული პრობლემა. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება 1918 წლიდან დღემდე. რა თქმა უნდა, პრიორიტეტული საკითხი არის მსოფლიო ისტორიის შესწავლა

საქართველოში. ამავე დროს შეძლებისდაგვარად შევეცადეთ უყურადღებოდ არ დაგვეტოვებინა საქართველოს ისტორიის თემატიკა. ჩვენ შემოგთავაზებთ ამ საკითხის განსხვავებულ ხედვას, ვიდრე ეს მიღებული გახლდათ საბჭოთა სინამდვილეში.

ა. მის მთავარ დედააზრად, კვინტესენციად, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, გვევლინება. ეს მონაკვეთი და ეს სახელმძღვანელოები, საბჭოთა წლებში ელიმინირებული, ამოღებული, იქნა ამ დარგის წარსულიდან გაქრა, გაუჩინარდა, თითქოს არც კი არსებობდა. მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია. ჩვენ ვეცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და საბჭოთა მიდგომის საპირწონედ ამ დარგის გაცილებით უფრო რეალისტური ისტორია შეგვეშუშავებინა. ამან განსაზღვრა ნაშრომის პოლემისტური ტონი. საქმე გვაქვს საბჭოთა წარმოდგენის გადასინჯვასთან, რევიზიასთან.

ეს მონაკვეთი საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო და რთულ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. უნდა ითქვას, რომ დარგის შენებამ, სწორი გზით მიდიოდა. თავიანთი საქმიანობა მათ საძირკველიდან დაიწყეს. პირველ ყოვლისა, ყურადღება მიაპყრეს სკოლის სახელმძღვანელობის დაწერას. ეს იყო სწორი ნაბიჯი. სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლება ნორმალური, კვალიფიცირებული, სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით იყო გამოწვეული, სასკოლო სახელმძღვანელოების ის ბუმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საკითხისადმი წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, დამოკიდებულება მათი მიდგომის ერთ-ერთი მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ამ სახელმძღვანელოების შეუფასებელობა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ სახელმძღვანელოებმა ქართული სკოლა გადაარჩინა მოსალოდნელ კოლაფსს, რომლის დიდი ალბათობა, წამდვილად, არსებობდა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს სახელმძღვანელოები წარმოად-

გენდა წინგადადგმულ ნაბიჯს იმ რეაქციულ-შავრაზმელური სახელმძღვანელოების შემდეგ, რომლის მიხედვითაც ისწავლებოდა მსოფლიო ისტორია ქართულ სკოლაში ცარიზმის დროს. მან, უდავოდ, დადებითი როლი შეასრულა იმ პერიოდში და ამის უგულვებლყოფა უმართებულოა. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა. ეს, ვფიქრობთ, მათ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული. მიმდინარეობდა მუშაობა მის სრულყოფა, დახვეწაზე. ეს იყო სავსებით ნორმალური პროცესი და მასში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ. ეს არანაირად არ აკნინებს, არავითარ ჩრდილს არ აყენებს, ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას. ეს გამართლებული არ იქნებოდა: სწორ გზას ავცდებოდით. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ სწორედ, ეს გზა აირჩია. ბოლოს და ბოლოს ის ჩიხში აღმოჩნდა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ამ პერიოდის და ამ სახელმძღვანელოების უგულვებლყოფა, იგნორირება, შეუფასებლობა, აპოლოგეტური მიდგომით არ უნდა ჩავანაცვლოთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. როგორც არაერთგზის გვითქვამს, ჭეშმარიტება სადღაც შუაში ძევს. ჩვენი შრომები ამ საშუალებდო ხაზის მოძიების ერთ-ერთი მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება. ჩვენ შევეცადეთ მოგვეძებნა ეს ოქროს შუაგული, რომელიც საშუალებას მოგცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ, როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად ვცადეთ გამოგვერკვია მისი გამომწვევი მიზეზები. ჩვენ გაგვარჩნია საკითხის საკუთარი ვერსია. რა თქმა უნდა, ის არ წარმოადგენს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას.

ამრიგად, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში, რომელსაც თავისი სუსტი, მკრთალი კვალის დატოვება მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში მოახერხა. ეს ფაქტია მას შეიძლება სხვადასხვა ინტერპრეტაცია გაუკეთდეს, მაგრამ მისი სრული უგულვებლყოფა

ფა, იგნორირება, თუნდაც შეუფასებლობა, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მართებული არ იქნებოდა.

ბ. ერთი რთული თემიდან გადავდივართ მეორე არა ნაკლებ რთულ, თუ უფრო მეტად არა, თემაზე. საქმე ეხება საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეფასებას. საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი და მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება ძალზე ძნელი იქნება და სწორხაზოვნად მიგვაჩნია.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა საბჭოთა ისტორიოგრაფიას, ცხადია, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება, შეუფასებლობით, არ უნდა ჩავანაცვლოთ. ეს ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს, მაგრამ ამ ოქროს შუაგულის მოძიება სულაც არ იქნება ადვილი საქმე, რადგან მსაჯულები საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეფასებისას სუბიექტურები არიან. ზოგს საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გადაძალავს, ზოგს კი პირიქით, საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი ნოსტალგია გაუჩნდება. საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი ჩვენი დამოკიდებულება უარყოფითი არაა, როგორც ეს ერთი შეხედვით, ვინმემ შეიძლება იფიქროს, ზედაპირზე ძევს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა ის კრიტიკულად მივიჩნიოთ. საბჭოთა ისტორიოგრაფია იყო ერთი ისტორიული სკოლა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობის გადაჭარბება, რაც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ცხადია, არ ღირს, ზედმეტი. ამის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა. სხვა მიმართულება

მიიღო. რომელიც, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, წინგადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, ძნელი იქნება მივიჩნიოთ. ასეთი გახლდათ რეალობა და მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. საქმე გვაქვს სწორი გზიდან გადახვევასთან. ქართულ ისტორიოგრაფიას ძალით მოახვიეს თავს ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, რომელიც ძალიან შორს იყო თვით ავთენტური მარქსიზმისაგან. საბჭოთა ისტორიოგრაფიის შუქჩრდილები ასე გვესახება.

დავინყოთ იმით, რომ ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი, უდავოა და ამის უგულებელყოფას არავითარი გამართლება არ გააჩნია. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაშია, არსად არ გამქრალა. ეს, ცხადია, ძალიან კარგი. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი პლუსია, მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება, ამის გამოძახილი იყო. ჩრდილი მეტი იყო შუქზე. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყევართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. ბოლოს და ბოლოს მან ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი შეიძინა (კალანდაძე, 2019, 3-22, კალანდაძე, 2021, 27-45, კალანდაძე, 2023, 41-77, კალანდაძე, 2024, 58-85, კალანდაძე, 2015). საბჭოთა ისტორიოგრაფიამ შეინარჩუნა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე. პოზიტივისტური ისტორიოგრაფია მარქსისტულ-ლენინურ აპკში აღმოჩნდა გახვეული. საბჭოთა ისტორიოგრაფია წარმოადგენს ერთ ვინროდოგმატურად გაგებული. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივიზმის ნაზავს. (კალანდაძე, 2023, 60, კალანდაძე, 2024, 80).

გ. ამ დიდი პრობლემის კიდევ ერთ სერიოზულ კომპონენტს წარმოადგენს ახალი თემა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს სრულად ხელუხლებელი თემაა. საკითხი გახლავთ რთული და მრავალნახნაგოვანი და მისი ერთმნიშვნელოვნად შეფასება, ცხადია, ადვილი საქმე არ იქნება. ქართულმა ისტორიოგრაფიამ დამოუკიდებლობა აღიდგინა. მას შეეძლო თავისუფალი არჩევანის გაკეთება. გათავისუფლდა იდეოლოგიური კონტროლისაგან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და წინგადადგმული ნაბიჯია. მაგრამ ერთი უკიდურესობიდან მეორეში აღმოვჩნდით. „იდეოლოგიური კონტროლისაგან“ გათავისუფლების შემდეგ, უკონტროლობაში ამოვყავით თავი. მკაცრი ცენზურა უცენზურობით ჩავანაცვლეთ. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ქაოსის გასაღები, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. რას ვიზამთ, „რასაც დათეს, მასვე მოიმიკი“.

ამავე დროს მხედველობიდან არ უნდა გაგვეპაროს ის გარემოება, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიას ძალზე არასახარბიელო მემკვიდრეობა ხვდა წილად. ეს გახლავთ ერთის მხრივ ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, მეორეს მხრივ პოზიტისტიკური ისტორიოგრაფია, მისთვის ნიშანდობლივი ვინროემპირიზმით, შიშველი ფაქტოლოგიით, ისტორია თხრობით, აღწერით. (Ланглюа...1899) ვერ ვიტყვით თითქოს ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდება. სინამდვილეში ეს არაა ასე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული-ისტორიოგრაფიის პლუსია, მაგრამ გაკეთებული ცოტაა, გასაკეთებელი კი გაცილებით უფრო ბევრია. ეს არის რეალობა და მას თვალი არ უნდა დაუხუჭოთ. ჩვენი აზრით, მთავარი აქცენტი, უპირატესად, კეთდება რაოდენობრივ ცვლილებებზე და არა თვისებრივ, ხარისხებრივ, სიახლეებზე. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხებრივში, გადაზრდის პროცესი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა, დროში საკმაოდ

გაიწვლა და ძნელი სათქმელია როდის დამთავრდება. ჩვენი აზრით, ქართული ისტორიოგრაფია ვითარდება სიფართოვეში და არა სიღრმეში. მის მთავარ პრობლემად, სწორედ, სიღრმე-სიფართოვეში განვითარება გვესახება. აქვე დავძენთ იმასაც, რომ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ბარიერის დაძლევა არ იქნება ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ვინმეს, ერთი შეხედვით შეიძლება ეჩვენოს. უნდა დავეთანხმოთ ცნობილ რუს მედიევისტს პროფ. არონ გურევიჩს, რომ „ვშიშობთ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის რუტინა ჯერ კიდევ ძლიერია“. (Гуревич, 2004. 120) დღესაც ბევრი ქართველი ისტორიკოსი დარწმუნებულია, რომ ისტორია შემგვროვებლური მეცნიერებაა. (კალანდაძე, 2023. 78-173. კალანდაძე, 2024. 85-115, კალანდაძე 2024). დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი რთული მდგომარეობის საქმეში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ფაქტორის მნიშვნელობის შეუფასებლობა უმართებულო იქნებოდა. ეს სწორი გზით არ წაგვიყვანს და ამ თემადე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნიდა

ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები, ცხადია, შემთხვევით არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ეს, ცხადია, კარგი ცხოვრებით არ იყო განპირობებული. მთავარი განსხვავება XX საუკუნის ქართულ და ევროპული ისტორიოგრაფიას შორის, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. (კალანდაძე, 2019. 13).

3. განსხვავებული მიდგომის ერთ-ერთ სერიოზულ კომპონენტად საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საერთო სურათის და პერიოდიზაციის საკითხში გარკვეული კორექტივების შეტანა, დაზუსტება, გვევლინება. ჩვენ ამ დარგის ისტორია, წარსული, სულ სხვაგვარად გვესახება. უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, საქართველოში ამ პრობლემატიკით დაინტერესების საერთო სურათი და პერიოდიზაცია გამრუდებული იქნა. ეს იმით გამოიხატა,

რომ ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკრძალებული წვლილი, ფაქტობრივად, სრულიად იგნორირებული იყო. მივიწყებული იქნა. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. წინამორბედების წვლილის გაბიაბრუების ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა რეალობის განდიდება. ისეთი სურათი იკვეთება თითქოსდა ამ დარგს წარსული, ისტორია, არ გააჩნდა. წინამორბედების წვლილისადმი რბილად, რომ ვთქვათ, ინდიფერენტული, გულგრილი, დამოკიდებულება საბჭოთა წარმოდგენის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე ცალმხრივი და ტენდენციური. არანაირი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა. ძალზე ხისტად მიგვაჩნია. ძირშივე მცდარია და რაც ყველაზე მთავარია, არაეროვნული და არაპატრიოტულია. ჩვენ ვცადეთ გამოგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. სულ სხვა აქცენტები დავსვით, სულ სხვა ღირებულებები წამოვწიეთ წინ. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა ერთ-ერთ წარმატებად მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამის მიჩქმალვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. განსხვავებული მიდგომა ამ დარგის წარსულზე, ისტორიაზე, სულ სხვა და გაცილებით უფრო რეალისტურ წარმოდგენას გვიყალიბებს, ვიდრე ეს საბჭოთა წლებში იყო. ის ამ დარგის განვითარებაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს.

4. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ თავდაპირველად, ქართული ისტორიოგრაფია სწორი მეცნიერულ გზით მიდიოდა, სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული, სწორ აქცენტებს სვამდა. სწორ არჩევანს აკეთებდა. პრიორიტეტული საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა იყო. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი პლუსია და ამის გვერდის ავლა, როგორც ეს ხდებოდა ამ ცოტა ხნის წინ, მართებული არ იქნებოდა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს 1918-1921 წლებში განხორციელებუ-

ლი პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიაში ქართულ ენაზე სასწავლო საცნობარო ლიტერატურის შექმნაზე. ამ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. საქმე გვაქვს ქართულ სინამდვილეში მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს დაწერის პირველ მცდელობასთან. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. სიახლეს წარმოადგენდა. პრიორიტეტულია ევროპული მიდგომა. აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ შეხედულებებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერული მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ამიტომ ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა საბჭოთა მიდგომას, აპოლოგეტური ტონით ჩანაცვლება, უადგილო იქნებოდა. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ, უმთავრესად, უპირატესობა ენიჭება პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან დაწერილ სახელმძღვანელოებს. აღსანიშნავია, რომ ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი იმ რეაქციულ-შავრაზმელური სახელმძღვანელოების შემდეგ, რომლის მიხედვითაც ისწავლებოდა მსოფლიოს ისტორია საქართველოს სკოლებში ცარიზმის დროს.

ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. ეს ევროპული დონეა და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. აქ საკამათოს ვერაფერს ვხედავთ. პრიორიტეტი ენიჭებოდა პოლიტიკური ისტორიის თხრობას, ხოლო ისტორიული მეცნიერების სხვა აპარტამენტები, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, სოციალურ-ეკონომიკური ისტორია და კულტურა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქიშხი იქით აღმოჩნდა. გაშუქებული იყო შედარებით უფრო მკრთალად, სუსტად და ყველაზე უფრო უკეთეს შემთხვევაში პერ-

იფერიულ თემას წარმოადგენდა. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს არ ჩამორჩეს და ფეხი აუწყოს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელიც ხდებოდა ისტორიულ მეცნიერებაში გასული XX საუკუნის გარიჟრაჟზე. დანერგოს ის ქართული ისტორიოგრაფიაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არაა. ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილია.

ეს სახელმძღვანელოები დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა, მაგრამ არის ერთი პატარა, ჩვენი აზრით, საინტერესო ნახნაგი, რომელსაც თავისი მნიშვნელობა უნდა ითქვას, რომ დღესაც არ დაუკარგავს. ამიტომ ამ საკითხის წინ წამოწევა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ჩვენი შრომები ამ კუთხით საკითხის გაშუქების პირველ მცდელობად, გვევლინება. (კალანდაძე, 2021, 9-27. კალანდაძე, 2021⁶) აქ უბრალოდ, იმის თქმას ვაპირებთ, რომ ეს სახელმძღვანელოები ამ დარგის წარსულის, ისტორიის, წყაროს წარმოადგენს. ეს საინტერესო ნიუანსია. განსხვავებული მიდგომის მთავარ წყაროდ, სწორედ, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები წარმოადგენს. ეს საინტერესოა. ჩვენ ვცადეთ ამ სახელმძღვანელოებისათვის, სწორედ, ამ კუთხით შეგვეხედა. ეს საშუალებას გვაძლევს ამ თემის ისტორიის, წარსულის, სულ სხვანაირი და გაცილებით უფრო რეალისტური, სურათი შევიმუშავოთ, ვიდრე აქამდე იყო.

5. განსხვავებული ხედვის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების დადებითი შეფასება. ეს მიდგომა შეინიშნება არა მარტო ჩვენ შრომებში, არამედ მადონა მიქელაძის საინტერესო გამოკვლევაში. „გერმანიის ახალი ისტორიის სწავლება ქართულ სა-

შუალო სკოლაში 1918-1921 წლებში“. (მიქელაძე, 2003:8). როგორც ჩანს, ყინული თანდათან დაიძრა და ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და სიახლეს წარმოადგენს. ამიტომ ამ სახელმძღვანელოებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომელიც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა წლებში, პესიმისტურად მიგვაჩნია და ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე ადეკვატური წარმოდგენის შექმნაში ვერ გვეხმარება. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ მონაკვეთმა ამ დარგის წარსულში მეტად სუსტი, მკრთალი, კვალი დატოვა და მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოახერხა თავისი მოკრძალებული კვალის დაფიქსირება. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მათ დაცალდათ. რას ვიზამთ. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა ეს არ იყო პატარა საქმე. შეიქმნა საქართველოში მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების დაწერის პრეცედენტი. მოდით ამას ნუ დაუკარგავთ მათ. ჩვენი აზრით, ამ სახელმძღვანელოებს ღირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე ნაკლი. ეს განსაზღვრავს მის მნიშვნელობას.

როგორც ვხედავთ, ამ მონაკვეთს დასრულებული სახე არ მიუღია. დაწყებული საქმე ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტინოტში, რომელიც, უპირატესად, მჭიდრო კავშირში იყო პოლიტიკურ კატაკლიზმებთან, ამ დარგის ისტორიაში მეტად მოკრძალებული კვალი დატოვა და გამოძახილი ჰქონდა, მხოლოდ, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს გახლავთ რეალობა და მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება მართებული არ უნდა იყოს. ეს, ჩვენი აზრით, არანაირ ჩრდილს არ აყენებს და არ აკნინებს ამ მონაკვეთს და ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას. ასეთ სკეპტიკურ განწყობილებაში სასკოლო სახელმძღვანელოების მნიშვნელობის შეუფასებლობის

გამოდახილს ვხედავთ. თუ კარგად ჩაუკვირდებით დავინახავთ, რომ თხრობაში ჩადებულია შემეცნებითი მუხტი. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ თუ როგორ შეიძლება ყოფილიყო სახელმძღვანელოებში გაშუქებული მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხები. ამიტომ ამ სასკოლო სახელმძღვანელოებისადმი ოპტიმისტური მიდგომა გაცილებით უფრო პერსპექტიულად გვესახება, ვიდრე სკეპტიკური დამოკიდებულება. ეს მონაკვეთი საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო პერიოდად უნდა იქნას მოაზრებული. ისინი მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესში იმყოფებიან. შეიძლება ითქვას, რომ მათ სწორი გზა უნდა ჰქონოდა არჩეული. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ უპირატესად, აქცენტი კეთდებოდა ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე. საქმე გვაქვს ქართული ისტორიოგრაფიის ევროპიზაციის პროცესთან. ის გრძელდებოდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ამ საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა, რომლის სუსტი, მკრთალი, კვალი, მხოლოდ ამ წლებში, გამოსულ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში იქნება დაფიქსირებული. რისი გაკეთებაც მოასწრეს, გააკეთეს. რაც ვერ მოასწრეს, ვეღარ გააკეთეს. ასეთი გახლდათ რეალობა. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა სწორი, მეცნიერული გზით მიდიოდა და, ბუნებრივია. გააჩნდა თავისი პლუსები და მინუსები. იკვეთება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის ნანამძღვრები, კონტურები, პირველი ნიშნები. იკითხება მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების მეცნიერული გაშუქების წინაპირობა. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. სამწუხაროდ, მან თავისი მოკრძალებული კვალის დატოვება მხოლოდ, მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო. მეტის გაკეთება,

დროის იმ მცირე მონაკვეთში, უბრალოდ, ვედარ მოასწრეს. ეს მათი ბრალი არ იყო, და პოლიტიკური ქარტეხილების გამოძახილია. არსებობდა იმის დიდი ალბათობა რომ თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, ისინი დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს ასე არ მოხდა და მოვლენების სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ ეს არ იყო თავდაპირველი გზის გაგრძელება, წინგადაგმული ნაბიჯი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეროვნული სახელმძღვანელოების დაწერა მეტი აღარ იყო აქტუალური. ძირითადად სტალინის ძალისხმევით დიდი ხნით უკანა პლანზე გადაინაცვლა და მივიწყებას მიეცა.

ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. ხდება სიმძიმის ცენტრის გადატანა XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობიდან, რომელიც საბჭოთა წლებში, უსაშველოდ გაზვიადებული, ჰიპერბოლიზირებული, იყო ამ დარგში XX საუკუნის დასაწყისში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, თუ არ აღემატებოდა, არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ამ დარგში ევროპის ნებისმიერი პატარა ქვეყნის შედეგებს. ამ დარგს გააჩნდა თავისი ისტორია და სულაც არ იყო ასეთი უნარსულო, როგორც ეს ერთი შეხედვით, საბჭოთა გადასახედიდან მოჩანდა.

6. გადაჭარბებული არ იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ XX საუკუნის დასაწყისში ქართული ისტორიოგრაფია სავსებით შეესატყვისებოდა ევროპულ სტანდარტებს და აკმაყოფილებდა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის, მოთხოვნებს. დიდი ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ეს საქართველოს ისტორიაში. მას არც მსოფლიო ისტორია არ ჩამორჩა. თუმცა უნდა ითქვას, რომ უპირატესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, ის შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება. ეს იმით გამოიხატება, რომ მან თავისი სუსტი, მკრთალი, კვალის, დაფიქსირება

მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო. თავიანთ საქმიანობას სა-ძირკველიდან შეუდგნენ. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო. პირველი ნაბიჯები სწორი გადაგეს. კარგად გათვალეს. მაგრამ ჩვენთვის კარგად ცნობილ მიზეზთა გამო, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ველარ მოასწრეს. ეს არ იყო მათი ბრალი. ისინი შეეცადნენ დაწყებული საქმე მყარად დაეყენებინათ ფეხზე. მტკიცე ბალავარი შეექმნათ. ეს მათი წარმატება იყო და მოდით ამაზე თვალს ნუ დავხუჭავთ, უმადური ნუ ვიქნებით. პირველად ქართულ სინამდვილეში იწერება მსოფლიო ისტორიის ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს. აქ სკეპტიკური განწყობილება უადგილოა. ამუქებს რეალურ ვითარებას. მთავარი აქცენტი კეთდება ევროპული პირველ რიგში კი, რუსული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე. ამაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ. ჩვენი აზრით, ეს არავითარ ჩრდილს არ აყენებს ამ დარგში, მათი საქმიანობის მნიშვნელობას. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. ეს არ იყო ურიგო საქმე. გადაიდგა პირველი ნაბიჯები. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე ეს წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. პრიორიტეტული იყო თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური შეხედულებები. რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

ამ მონაკვეთის მთავარი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა სწორი გზით მიდიოდა, ევროპული ღირებულებებზე იყო ორიენტირებული. თუ არა პოლიტიკური ქარტეხილები, დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ და დაასრულებდნენ. ეს მათ სრულიად ხელეწიფებოდათ, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მოვლენები სულ სხვა სცენარის მიხედვით წარიმართა. ქართული ისტორიოგრა-

ფია იძულებული გახდა გადაეხვია ევროპული კურსიდან და მისმა განვითარებამ სულ სხვა მიმართილება შეიძინა. მას ძალით მოახვიეს თავს ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. განსხვავება, პრინციპულ, კონცეპტუალურ, ხასიათს ატარებდა და ამაზე თვალის დახუჭვა ძალიან ძნელი იქნებოდა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემებს განსაზღვრავდა არა წმინდა აკადემიური ფაქტორები, არამედ პოლიტიკური ქარტეხილები. მთავარი განსხვავება ევროპულ და XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიას შორის, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. ის კარგი ცხოვრებით არ ყოფილა განპირობებული. ამიტომ ამ საქმეში განტევების ვაცად ქართული ისტორიოგრაფიის გამოყვანა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამ თემაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. სწორი გზით არ ნაგვიყვანს. მთავარი დამნაშავე ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოა, რომელიც ძალით ერევა მეცნიერის საქმიანობაში და ცდილობს თავს მოახვიოს სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია.

ახალ მკვეთრს ფერისცვალებას ადგილი აქვს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რომელსაც სულაც არ გააჩნდა ისეთი პოზიტიური დატვირთვა, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ საბჭოთა პერიოდში. ამ თემას შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოაჩენდნენ. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ამ თემატიკის შესწავლამ სულ სხვა ხასიათი მიიღო. ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების უნიფიკაციას, სტალინიზაციას. წარსულისადმი მიდგომა გახდა ძალზე იდეოლოგიზირებული, პოლიტიზირებული. ევროპული მიდგომა შეფერხდა. კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიის სახით საქმე გვაქვს პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ნაზავთან. თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური მიდგომა ჩაანაცვლა მონის-

ტურმა პრინციპმა. ერთი ვინრდოგმატურად გაგებულმა მარქსისტულ-ლენინურმა იდეოლოგიამ. ამას თან მოყვა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. ამ გზას ჩიხში მივეყვართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის მიზეზები, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. ბოლოს და ბოლოს მან ლეტალური ანუ სასიკვდილო, ხასიათი შეიძინა.

ცხადია, არავინ უარყოფს ემპირიზმის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესს. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. საბჭოთა პერიოდში ბევრი კარგი გამოკვლევა იწერება, მაგრამ ის ვერ აცდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენას. თუ ამ შრომებს მარქსისტულ გარს ჩამოვაცლით მასში, აუცილებლად რჩება ღირებული და, სწორედ, ეს მასალა უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. პირველ ყოვლისა, ეს არის აქ გამოვლენილი მდიდარი ფაქტობრივი მასალა, უხვი და მრავალფეროვანი პირველწყაროები. მათ მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მათი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. მარქსისტული სტერეოტიპების და შტამების გამო, მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური იქნებოდა. ჩვენ ბრალს ვდებთ არა რომელიმე ცალკეულ ისტორიკოსს, ეს სწორი არ იქნებოდა, არამედ სახელმწიფოს, რომელიც ერევა მეცნიერის საქმიანობაში და ცდილობს ძალით მოახვიოს თავს სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია. სწორედ, ეს არის მიუღებელი. ამიტომ მოსაზრება თითქოსდა საბჭოთა წლებში სახელმწიფო არ ერეოდა მეცნიერებაში რეალობას არ შეესატყვისებოდა.

დღეს, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია, ცდილობს დაუბრუნდეს და განავითაროს თავდაპირველი ღირებულებები. ეს არ იქნება ადვილი საქმე. წარმატებებთან ერთად იქნებოდა პრობლემები. ეიფორიული განწყობილების მიზეზს ვერ ვხედავთ. მაგრამ არც პანიკის საფუძველი არსე-

ბობს. გამოუვალი მდგომარეობა არაა. გამოსავალი არის. ის მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. სასურველია, ეს გაკეთდეს საქმით და არა სიტყვით. როგორც ეს დღესაა. ვერ ვიტყვით თითქოს ქართული ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. სინამდვილეში ეს ასე არაა, მაგრამ გაკეთებული ცოტაა, გასაკეთებელი ბევრია. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის რუტინის დაძლევა სულაც არ იქნება ისეთი ადვილი საქმე, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, ზედაპირზე ძვეს. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ პრობლემად სიღრმე სიფართოვეში განვითარება წარმოგვიდგენია.

7. ჩვენ თვალწინ ჩამოიშალა კიდევ ერთი საბჭოთა მითი, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობასთან მჭიდრო გენეტიკური კავშირია. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების კონკრეტულად, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში, საქართველოს გასაბჭოების ისტორიული მნიშვნელობის უსაშველოდ გაბუქვა, რომელიც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, გადაჭარბებული უნდა იყოს და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ის, ბუნებრივია, ამ დარგის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა ეს მონაკვეთის სწორი გზიდან გადახვევად იქნას აღქმული. ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული გზით განვითარებამ შეფერხება განიცადა. ჩვენ ეს საკითხი ასე გვესმის. საბჭოთა ისტორიოგრაფია იყო ერთი ისტორიული სკოლა, რომელსაც, ბუნებრივია, გაჩნია თავისი პლუსები და მინუსები. მას არ შეიძლება ჰქონდეს ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანციის პრეტენზია. კიდევ ერთხელ შევახსენებთ მკითხველს. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ეს იყო ჩიხური გზა. უმთავრესად, ი. სტალინის ძალისხმევით, საბჭოთა ისტორიოგრა-

ფიამ, სწორედ, ეს გზა აირჩია. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისი ამის გამოძახილია. ვფიქრობთ, ყველაფერი ლოგიკურადაა. წინამორბედების წვლილისადმი ინდიფერენტული, გულგრილი, დამოკიდებულება ამ თემაზე საბჭოთა წარმოდგენის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. ფაქტების საწინააღმდეგოდ გვიმტკიცებდნენ რომ თითქოს ამ დარგში პოზიტიური არაფერი გაკეთებულა და ამ დარგის აღმავლობა იწყებოდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. მხოლოდ ამის მერე დაადაგა ის სწორ გზას. გამოდის, რომ მანამდე ის სწორი გზით არ მიდიოდა. სინამდვილეში სულ სხვაგვარად იყო, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალს მიღმა რჩებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს დარგი პირველ სწორ ნაბიჯს დგამს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა პერიოდში. არამედ შედარებით ცოტა უფრო ადრე. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, 1918-1921 წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს იყო საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. დარგის შენება სწორი გზით მიდიოდა. ყველაფერი საძირკველიდან დაიწყო. ისინი შეეცადნენ მტკიცე ბალავარი შეექმნათ. მან რთული და საინტერესო გზა გაიარა და რამდენიმე ეტაპი განვლო. ის წარიმართა მარტივიდან რთულისაკენ. თავდაპირველად მას გამოძახილი ჰქონდა სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, შემდეგ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და კარგად თავსდებოდა ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, ჩარჩოებში. მათ გვერდში ამოუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. აქცენტი კეთდება თარგმნილ ლიტერატურაზე ეს სწორი ნაბიჯი. ეს მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო და პრიმიტიული, მარტივი ფორმით ხორციელდებოდა (დონაძე. 1978, დონაძე. 1978. დონაძე. 1986. ვ. დონაძე, 1987. Н. Наморадзе. 1984. Л. Фирцхелава, 1990. В.

Твалавадзе. 1980. ა. ურთმელიძე, 1996). 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მან სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და თავისი მოკრძალებული კვალის დატოვება მხოლოდ მსოფლიო პირველი ეროვნული ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლოს სახელმძღვანელოებში მოახერხა დარგის განვითარება სწორი გზით მიმდინარეობდა.

8. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა, ვფიქრობთ, სულაც, არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან, სწორხაზოვან, ხასიათს როგორც ამას საბჭოთა წლებში გვიხატავდნენ. მან საინტერესო ევოლუცია, ფერისცვალება, განიცადა, რომელიც სწორხაზოვნად კი არა, უფრო ზიგზაგისებურად, სპირალისებურად, წარმოგვიდგენია. ის სამი ფაზისაგან შედგება და მხოლოდ წინსვლასთან, პროგრესთან, როდი ასოცირდება. ასეთ საინტერესო სურათს ვიღებთ. იყო წარმატებები და იყო ჩავარდნები, რომელზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის განვლილ გზაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის განვლილი გზის აპოლოგეტიური შეფასება, რაც ლაიტმოტივად გასდევს საბჭოთა ისტორიოგრაფიას, ცხადია, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, გარკვეული კორექტივების შეტანას, დაზუსტებას საჭიროებს. ის, უმთავრესად, საბჭოთა ისტორიოგრაფიას შეეხება და ამ დარგში წინამორბედების წვლილი იგნორირებული იყო. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში შეტანილი მოკრძალებული წვლილი, დიდი ხნის განმავლობაში, თამაშგარე მდგომარეობაში რჩებოდა, კადრში ვერ ხედავდა და ქართული საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა აღმოჩნდა. საბჭოთა წარმოდგენა იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. დღეს ის ჩამოიშალა. ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ოპტიმალურ ხანად შეიძლება იქნას მოაზრე-

ბული. მიუხედავად, იმ ექსტრემალური ვითარებისა, დროის მცირე მონაკვეთისა, ფაქტობრივად ცაიტნოტიცა, რომელიც, უპირატესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდებოდა, მან მაინც მოასწრო თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანა, რომელმაც თავისი სუსტი, მკრთალი, კვალის დაფიქსირება მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო. იკვეთება საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომის წინაპირობა. პირველი ნაბიჯები სწორად გადადგეს. კარგად გაითვალეს. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადაგმული ნაბიჯია. საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების პირველ მცდელობასთან. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო. მეტი დამაჯერებლობისათვის მკითხველს კიდევ ერთხელ შევასხსენებთ. საქმე გვაქვს ქართულ ისტორიოგრაფიაში ევროპული მიდგომების დანერგვის პირველ მცდელობასთან. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ დარგში მათი მდიდარი მეცნიერული პოტენციალი ბოლომდე გამოყენებული არ ყოფილა. ის მხოლოდ ნაწილობრივ იქნა რეალიზებული. დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს. ისინი იზიარებდნენ იმ პერიოდის ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ შეხედულებებს და პოზიტივისტების მსგავსად, მსოფლიო ისტორიის აქტუალური მოვლენების შეფასებას პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან ცდილობდნენ, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ, როგორც უკვე ითქვა, ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა აპოლოგეტური ტონით არ უნდა ჩავანაცვლოთ. ეს გამართლებული არ იქნებოდა. ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი ჩამოგვიყალიბებდა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშ-

მარიტება სადღაც შუაში უნდა ვეძებოთ.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში ახალი ფურცელი გადაიშლება 1921 წელს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. მისი მნიშვნელობის გაზვიადება, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამახასიათებელი შტრიხია, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, გადაჭარბებული უნდა იყოს. ამ თემატიკით დაინტერესებამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა, ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული შეიქმნა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული განვითარება შეფერხდა. ეს იმით გამოიხატა, რომ ევროპული მიდგომა ერთი ვინროდოგმატურად გაგებულმა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის აპკში აღმოჩნდა გახვეული. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. საკითხისადმი ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური მიდგომა აღიქმებოდა უკანასკნელ ქეშმარიტებად. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო. იდევენებოდა. უმაღლესი ცრუმეცნიერულად ცხადდებოდა. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი, უდავოდ, აშკარაა და მის უარყოფას არანაირი გამართლება არ გააჩნია. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა არსად არ გამქრალა, კვლავ ძალაში რჩება, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. აქცენტი კეთდებოდა მონისტურ მიდგომაზე, ფორმაციულ პრინციპებზე, კლასობრივ ხედვაზე, კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის გაფეტიშებაზე, ბრძოლის პლებეური მეთოდების გაიდიალებაზე. ამან განაპირობა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიულ, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. ჩრდილი დომინირებდა შუქზე. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის მიზეზი, სწორედ, აქ უნდა ვეძებოთ. ბოლოს და ბოლოს მან ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი შეიძინა. ეს ამ ევოლუციის მეორე ფაზა იყო.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის მესამე ფაზად, დასკვნით აკორდად, გვევლინება პოსტსაბჭოთა პე-

რიოდის ქართული ისტორიოგრაფია. ის ცდილობს სწორ გზას დაუბრუნდეს. სწორი არჩევანი გააკეთოს. სწორი აქცენტები დასვას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი პლუსია. სწორი გზიდან გადახვევა, ცხადია, გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე სწორ გზაზე დაბრუნება. ეს არ იქნება უმტკივნეულო პროცესი. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება არ იქნება ადვილი საქმე და წარმატებებთან ერთად იქნება პრობლემები. ეიფორიული განწყობილების საფუძველს ვერ ვხედავთ, მაგრამ არც პანიკის მიზეზი არსებობს. ამ სირთულეების დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავლი არის. აქცენტი უნდა გაკეთდეს არა რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ, ხარისხებრივ, ცვლილებებზე. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში გადაზრდის პროცესი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. დროში ძალიან გაიწელა და ძნელი სათქმელია როდის დასრულდება. მთავარია ისტორიული გამოკვლევების ხარისხზე ზრუნვა. მისი მკვეთრად გაუმჯობესება. ამას ალტერნატივა არ გააჩნია.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ერთი ვინროდოგმატიურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ზღურბლზე შეჩერდა და მეტი წინ არ წასულა. ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის, დონე შენარჩუნებული იქნა. დღეს ქართული ისტორიოგრაფიაში ძალიან ბევრი კარგი გამოკვლევა იწერება, მაგრამ ის არ ცილდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ისტორიული მეცნიერების წარსულია, გუშინდელი დღეა და არა ხვალინდელი. ქართული ისტორიოგრაფია წინ უნდა წავიდეს, განვითარდეს. ვერ ვიტყვი თითქოს ის არ ცდილობს წინსვლას. სინამდვილეში ეს ასე არაა, მაგრამ, როგორც გვგონია, უმთავრესად ვითარდება სიფართოვეში და არა სიღრმეში. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი პრობლემა, სწორედ, სიღრმე-სიფართოვეში, განვითარებაში უნდა მდგომარეობდეს.

რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს ინდივიდუალურ დონეზე პროგრესს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მხარეს წარმოადგენს. ასე გვესახება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შუქ-ჩრდილები და მისი გამომწვევი მიზეზები. (კალანდაძე, 2019. 22-34, კალანდაძე, 2023, 78-173. კალანდაძე, 2024. 45-85. კალანდაძე, 2024^ა).

დღეს ქართული ისტორიოგრაფიაში არსებული რთული ვითარება, ჩვენი აზრით, ის, სწორედ, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და მას გააჩნია თავისი მიზეზი. ჩვენი აზრით, ეს მნიშვნელოვანწილად იმით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული, რომ ქართველი ისტორიკოსები დიდიხნის განმავლობაში, ინდეფერენტულ, გულგრილ, დამოკიდებულებას იჩენდნენ და დღესაც იჩენენ, თეორიული საკითხებისადმი. ისტორიის მეთოდოლოგია, გნოსეოლოგია, ისტორიის ეპიტემოლოგიის საკითხები, წარსულის შემეცნება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ თემატიკაზე ძალიან ცოტა იწერება. ის ქიმი მდლმა აღმოჩნდა და ქართველი ისტორიკოსების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა, რაც პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის და საერთოდ ქართული ისტორიოგრაფიის აქტილევსის ქუსლად მიგვაჩნია. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ ამ მოჯადოებულ წრეს? საჭიროა არა პალიატიური, ზედაპირული, ცვლილებები, როგორც ეს დღეს ხდება. არამედ ძირფესვიანი, კარდინალური გარდაქმნები. ეს არ მოხდა ისტორიის მეთოდოლოგიური და გნოსეოლოგიური ორიენტაციების განახლების, გადასინჯვის გარეშე. ამას ალტერნატივა არ გააჩნია. (კალანდაძე, 2023.164). აქ, რა თქმა უნდა, წამოიჭრება მეორე საკითხი. რამდენად არის მზად ასეთი ცვლილებებისათვის თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია? ჩვენი აზრით, ასეთი ნახტომისათვის თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია მზად არ არის. ამას სათანადო მომზადება ჭირდება. ასეთი ნახტომის წინაპირობას, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავთ.

ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭირო იქნებოდა ისტორიკოსთა კადრების მომზადების თვისებრივად, ხარისხებრივად, გარდაქმნა. ამისათვის კი, უწინარესად, საჭირო იქნება ისტორიის სწავლების სერიოზული გარდაქმნა. ის სკოლიდან უნდა დავინწყოთ და უნივერსიტეტში უნდა გაგრძელდეს. დღეს ისტორიის ცოდნის დონე დაბალია. ისტორიის ცოდნის დონე უნდა ამაღლდეს. პირველ ყოვლისა სასურველია დაინეროს სკოლის ნორმალური სახელმძღვანელოები. დღეისდღეობით ამის მსგავსი არაფერი ხდება და, უმთავრესად, მოლოდინის რეჟიმში გვინევს ყოფნა (კალანდაძე, 2019. 22-34, კალანდაძე, 2023, 122-123. კალანდაძე, 2024. 85-115. კალანდაძე, 2024^ა).

დღეს საკმარისი არა იყო კარგი ფაქტოლოგი, ემპირიკოსი, ისტორიკოსი. ეს ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა, წარსულია. დღეს მოთხოვნილებაა სულ სხვა დონის ისტორიკოსზე. თუ როგორი ტიპის ისტორიკოსზე მოთხოვნილება დღეს ამაზე სავსებით სამართლიანად მიგვანიშნებს XX საუკუნის ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუგო ტრევიორ-როპერი „პროფესიონალი ისტორიკოსები, რომლებიც დაობენ XVIII საუკუნის ევროპის, რომელიც პატარა სამეფო კარის კრიზისის ირგვლივ ან იმის თაობაზე თუ როგორია ქარგვის სტილი ქალთა მონასტერში, ვერ პასუხობენ საერთო საკითხებს. ადამიანები არ უჯერებენ მათ და ეძებენ ისეთ ისტორიკოსს, რომელსაც ძალუძს ამაღლდეს წვრილმანთა ზემოთ და იპოვოს საერთო მნიშვნელობა მასალის საოცრად დიდ გროვაში“. (კილურაძე, 1970.18). სწორება, სწორედ, ასეთი ისტორიკოსების აღზრდაზე უნდა გაკეთდეს. ცხადია, ეს არ მოხდება დღეს ან ხვალ. ეს იქნება საკმაოდ რთული, ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი. ჯერჯერობით კი მართლა ერთ ადგილს ვტკეპნით. ლაპარაკი მეტია. საქმე კი არ იცდის. მოლოდინის რეჟიმში გვიხდება ყოფნა.

9. განსხვავებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ საინტერესო დასკვნა, რომელიც დაგვეხმარება გავაბათილოთ კიდევ ერთი საბჭოთა წარმოდგენა. ყურადღებას

გავამახვილებთ ორ გარემოებაზე: ა. საქართველოში მსოფლიო ისტორიის საკითხებით დაინტერესება შეუქცევად ხასიათს იძენს არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა პერიოდში, არამედ შედარებით ცოტა უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ამ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს არ იყო პატარა საქმე და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯს წარმოადგენდა და ამის დაუნახაობა, ცხადია, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ეს ამ ვაკუუმის შევსების პირველი მცდელობა იყო, რომელიც ამ დარგში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა. აქ სკეპტიკური განწყობილების საფუძველს ვერ ვხედავთ.

ბ. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში თვისებრივი, ხარისხობრივი, ცვლილებები მოხდა არა 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში ეგონათ, არამედ გაცილებით ცოტა უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში, ამ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ასეთია განსხვავებული მიდგომის კიდევ ერთი საინტერესო წახნაგი, რომლის მთავარ წყაროდ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული სასკოლო სახელმძღვანელოები გვევლინება. ეს ამ სახელმძღვანელოების კიდევ ერთი დადებითი მხარეა, რომელსაც თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს (კალანდაძე, 2021. 9-27. კალანდაძე, 2021^ა). ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ოპტიმალურ ხანად შეიძლება იქნას მოაზრებული. რაც ევროპული, პირველი რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილია. არსებობდა დიდი ალბათო-

ბა, რომ ამ დარგის ევროპული განვითარება არ შეფერხდებოდა, გაგრძელდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. მოვლენები სულ სხვა სცენარით წარიმართა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელება, წინგადადგმული ნაბიჯი, არ უნდა ყოფილიყო. იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც, უპირატესად, პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ განპირობებული მას დასრულებული სახე არ მიუღია და ამ დარგის წარსულში ძალზე მოკრძალებული წვლილი შეიტანა. თავისი სუსტი, მკრთალი, კვალის დაფიქსირება მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრეს. სულ ეს იყო, რისი გაკეთებაც მოასწრეს. ამის მიზეზი აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ის ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. ამის გამო მისი შეუფასებლობა, რაც დომინირებდა საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და შევეცადეთ დაგვებრუნებინა მისთვის თავისი კუთვნილი ადგილი ამ დარგის წარსულში, ისტორიაში.

10. ჩვენს თვალწინ ჩამოიშალა კიდევ ერთი საბჭოთა მითი, რომელიც საქართველოში მსოფლიოს ისტორიის სწავლებას უკავშირდებოდა. ირკვევა, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის ნორმალური სწავლების პირველი პრეცედენტი იქმნება, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ სკოლაში, არამედ ცოტა უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ქართულ სკოლაში მსოფლიო ისტორიის ქართულ ენაზე სწავლების პირველ შემთხვევასთან. მას პატრიოტული მუხტი გააჩნია. იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე ეს ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ეს ერთი. მეორე ცარიზმის დროს არსებული რეაქციულ-შავრაზმული პოზიციებიდან დაწერილი რუსული სახელმძღვანელოების შემდეგ 1918-1921

ნლებში გამოსულ სახელმძღვანელოებში, უეჭველად, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. უპირატესად, აქცენტი კეთდებოდა პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. განსხვავება პრინციპულ ხასიათს ატარებდა და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. კონცეპტუალური დატვირთვა გააჩნია. ეს იყო სერიოზული თვისებრივი, ხარისხობრივი, ნახტომი და ბოლოს, რაც, ალბათ, ყველაზე მთავარია, ამ სახელმძღვანელოებმა ქართული სკოლა გადაარჩინა მოსალოდნელი კოლაფსისაგან, რისი დიდი ალბათობა ნამდვილად არსებობდა. ისე რომ ამ სახელმძღვანელოებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების საფუძველს ვერ ვხედავთ.

სერიოზულ ფერისცვალებას აქვს ადგილი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ეს იმით გამოიხატება, რომ ამიერიდან ეროვნული სახელმძღვანელობის დაწერამ დაკარგა თავისი უწინდელი აქტუალობა. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ახლა ყველაფერი მოსკოვიდან იმართებოდა. დასაშვები იყო მხოლოდ რუსული სახელმძღვანელოების თარგმნა. ასეთი იყო საბჭოთა რეალობა. მისი მთავარი ტონის მიმცემი, ცხადია, სტალინი გახლდათ. სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლებას საფუძველად დაედო ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქისტულ-ლენინური იდეოლოგია. ის აღიქმებოდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. ამიტომ დღეს ძალზე უხერხულია ლაპარაკი იმაზე, რომ თითქოს საბჭოთა ხელისუფლება არ ერეოდა მეცნიერებაში. ამ გზას ჩიხში მივყავართ. როგორ უკვე ითქვა, ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ისტორიის სწავლება იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. (მამუკელაშვილი, 1993). ძნელი სათქმელია თითქოს ეს პირველი ქართული ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შემდეგ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ეს კიდევ ერთი საბჭოთა მითია, რომელიც დღეს უკვე ჩამოიშალა, გაკოტრდა. იკითხება უკვე კარგად ნაცნობი სურათი, რომელიც

საფუძვლად დაედო განსხვავებულ მიდგომას. საქართველოში მსოფლიოს ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია, სწორი გზით მიდიოდა, სამეცნიერო პოპულარული ხასიათი შეიძინა და იმ ექსტრემალურ ვითარებაში, მხოლოდ მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანა. სულ ეს იყო, რისი გაკეთებაც მოახერხა. ეს ადვილი გასაგებია. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა.

11. არის კიდევ რამდენიმე სიახლე, რომელიც უპირატესად, დეტალებს, წვრილმანებს, შეეხება, მაგრამ მისი უყურადღებოდ დატოვება მიზანშეწონილი არ იქნებოდა და საგულისხმო უნდა ჩანდეს. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. წინამდებარე ნაშრომი ამ რაკურსით საკითხის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. ის განსხვავებული მიდგომის, საერთო წარმოდგენის, ლოგიკური გაგრძელებაა და ამჯერად ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე. წვრილმანზე, რომელიც საკითხსადმი საბჭოთა მიდგომის ლოგიკური გაგრძელებაა. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე, რომელიც დეტალებს, წვრილმანს, შეეხება, მაგრამ მისი გვერდის ავლა გამართლებული არ იქნებოდა და ამ ნიუნსებზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს.

პირველ ყოვლისა, საქმე ეხება ერთ აქტუალურ თემას, რომელიც მართალია ნიუანსობრივია, მაგრამ უმნიშვნელო როდია და მისი გვერდის ავლა გამართებული არ უნდა ჩანდეს. საქმე ეხება მარად უკვდავ საკითხს. მსოფლიო ისტორიის ქართული ტერმინოლოგიის დადგენას. ამას აქვს მნიშვნელობა. ეს საშუალებას გვაძლევს მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გავაბათილოთ კიდევ ერთი საბჭოთა მითი, რომელმაც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისმევეთ, ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში.

როგორც ჩანს, ამ დარგში ქართული ტერმინოლოგიის შე-

ქმნის პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა არა 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა წლებში, არამედ შედარებით უფრო ადრე. კონკრეტულად კი, 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამის პირველ მცდელობად ამ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები შეიძლება იქნას მოაზრებული. ეს იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე წინ გადადგმული ნაბიჯს წარმოადგენდა და ამაზე თვალის დახუჭვა მართებული არ იქნებოდა. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, გამორიცხულად არ მიგვაჩნია. შეინიშნება რუსული ტერმინოლოგიის გავლენა. ეს რუსული სახელმძღვანელოების გამოძახილია. სასურველი იქნებოდა ამას ჯეროვანი ყურადღება დათმობოდა. ამისი გასწორება ძნელი არ იქნებოდა.

12. განსხვავებული მიდგომის კიდევ ერთი კომპონენტი უკავშირდება სახელმძღვანელოების მეთოდურ მხარეს. კითხვარებს. იკვეთება საინტერესო სურათი. ზოგიერთ სახელმძღვანელოს ის აქვს დართული, ზოგიერთს კი არა. გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ შემდგომში ისინი აპირებდნენ ამის გაკეთებას. ეს სავსებით ლოგიკური იყო, მაგრამ, ეტყობა, ამის გაკეთება, უბრალოდ, ვერ მოასწრეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. ჩვენი აზრით. საქმე შეიძლება გვქონდეს ამ საკითხის დასმასთან. ეს უფრო გამართლებული იქნებოდა. რა თქმა უნდა, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი სუბიექტური აზრია.

ირკვევა, რომ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯის გადადგმის მცდელობას ადგილი ჰქონდა არა 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, არამედ ცოტათი უფრო ადრე 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში გამოსულ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში.

აქვე დავძენთ, რომ ზოგიერთ სახელმძღვანელოში მოთავსე-

ბულია კითხვარები. ეს ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ის ძალიან ბევრია. გადატვირთულია კითხვებით. მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით. გამოორიცხული არ უნდა იქნას. ეს თემა ჩვენ ასე გვესახება.

* * *

ამრიგად, განსხვავებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს საინტერესო დასკვნა გავაკეთოთ. როგორც ხედავთ, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, საქმეში. მან სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და თავისი სუსტი, მკრთალი, კვალი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში დატოვა. ის სავსებით შეესატყვისებოდა ევროპულ სტანდარტებს, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონეს. აქცენტი კეთდებოდა პოლიტიკური ისტორიის გაშუქებაზე, თხრობაზე, აღწერაზე. ისტორია შემგროვებლური მეცნიერებაა. ის სავსებით პასუხობდა XX საუკუნის პირველი წლების ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მან მხოლოდ თავისი პირველი ნაბიჯების გადადგმა მოასწრო და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში. მისი სუსტი, მკრთალი, კვალი, მხოლოდ, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში იკითხება. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს, მეტის გაკეთება, უბრალოდ, ვეღარ მოასწრეს. დაწყებული საქმე დაუსრულებელი დარჩათ. ეს არცაა გასაკვირი. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ეს სახელმძღვანელოები ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის მიღწევათა მინიატურად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ეს საკითხი ასე გვესახება. ჩვენ

გაგვანია საკითხის საკუთარი ვერსია, რომელსაც აქვს არსებობის უფლება და მეცნიერული განსჯის საგანი გახდება.

ჩვენს შრომებს ლაიტმოტივად გასდევს სამი მოსაზრება, დებულება: 1. ისეთი განათლების სისტემა და მეცნიერება გვაქვს, როგორც არის სახელმწიფო. არშემდგარ სახელმწიფოს არ ჭირდება ხარისხიანი განათლება და მეცნიერება. მას არ ძალუძს ამ რთული ვითარების დალაგება. ამ სფეროში არსებული ქაოსის გასაღებია სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. 2. განათლების სისტემა თუ მკვდარი არაა, კვდება. 3. მეცნიერება თუ მკვდარი არაა, კვდება. (კალანდაძე, 2023. 297). შეიძლება ვინმემ თქვას, რომ რალაცას ვაჭარბებთ, მაგრამ არაფერს არ ვაზვიადებთ, არაფერს არც ვამუქებთ. გასამუქებელი არც არაფერია. რეალობა ძალზე რთულია და თუ დროზე არ მივხედვით მერე ძალიან გვიანი იქნება და „დავრჩებით შვილთაგან ჩვენი გინებით მოსაგონარი“. სირაქლემას პოზას ნუ დავიკავებთ. ეს სიკეთეს არ მოგვიტანს, მნიშვნელოვანწილად, დღეს, სწორედ, ამის ნაყოფს ვიმკით. საქართველოს სიფილისტიკის და პარანოიკის მიერ შექმნილი სახელმწიფოს ნანგრევების ქვეშ ლაფავს სულს. (კალანდაძე. 2019. 143მ კალანდაძე, 2023, 194).

არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ აღმოვჩნდებით არასახარბიელო პერსპექტივის წინაშე. ქართველები ვიქნებით ეროვნული უმცირესობა, განათლების დაბალი ხარისხით. საქართველო მზად არ აღმოჩნდა დამოუკიდებლობისათვის და დემოკრატიისათვის. საქართველო არის ის სახელმწიფო, რომელსაც დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. ეს ჩვენი სუბიექტური აზრია და თავს არავის ვახვევთ (კალანდაძე, 2023. 301-302).

ჩვენი პოზიცია საკმაოდ მარტივია და გამჭვალე უნდა იყოს. მას განსხვავებული მიდგომა უძევს საფუძვლად. ის საბჭოთა წარმოდგენის საპირწონეა და მიზნად ისახავს მის მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გაბათილებას, გადასინჯვას, უნდა ითქვას, რომ მას წმინდა აკადემიური მნიშვნელობასთან ერთად, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას

დაეხმარება თავი დააღწიოს საბჭოთა წარმოდგენას. გათავისუფლდეს საბჭოთა სტერეოტიპებისაგან. ამგვარი მიდგომა უკვე მოძველებულია. ყავლი გაუვიდა. ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა. დავინწყით იქიდან, რომ საბჭოთა მიდგომის სერიოზული ნაკლი, ჩვენი აზრით, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ფაქტობრივად, თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა და ფართო საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა დარჩა ის საინტერესო ევოლუცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში მსოფლიოს ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის სფეროში.

საბჭოთა წარმოდგენა იყო ძალზე ცალმხრივი და ტენდენციური ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილ მოკრძალებულ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ამ დარგის განვითარების საერთო სურათი და პერიოდიზაცია სერიოზული კორექტივების შეტანას მოითხოვს და დაზუსტებას საჭიროებს. საქმე უნდა გვექონდეს სულ სხვა რეალობასთან, რომელიც აქამდე კადრს მიღმა რჩებოდა საზოგადოების თვალთახედვის არეალში მისი ადგილი ვერ მოიძებნა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. არავითარ ჩავარდნას, რეგრესს, სტანგანციას, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ საბჭოთა წლებში, ამ პერიოდში ადგილი არ ჰქონია. დარგის განვითარება არ შეფერხებულა, გრძელდება წინ მიდის, პროგრესირებს. ის ვითარდება მარტივიდან რთული-საკენ. ის ფრიად ნიშნადობლივი გახლდათ სანყისი ეტაპისათვის. საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია, სწორ გზაზე იდგა. ეს არცაა გასაკვირი და ევროპული პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილია, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ქართული ისტორიოგრაფიის ევროპიზაციასთან. ეს პროცესი გრძელდება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საქართველოს გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მხარეს წარმოადგენს. თავდაპირველად, მას გამოძახილი ჰქონდა სიტყ-

ვაკაზმულ ლიტერატურაში, შემდეგში გაგრძელება პოვა ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, დარგში და პერიოდული პრესის ფურცლებზე პოვა ასახვა. ცოტა ხნის შემდეგ მას გვერდში ამოუდგა წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ასე გაგრძელდა 1918 წლამდე. ქართული ისტორიოგრაფია შეძლებისდაგვარად ცდილობს შეავსოს ის ვაკუუმი, რომელიც ქართულ რეალობაში გაგვაჩნია მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. არ უნდა დავივიწყოთ თარგმნილი ლიტერატურა. მან ამ საქმეში თავისი მცირე წვლილი შეიტანა და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ამ სფეროში მათ მიერ შეტანილ პატარა წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ისინი შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ შეავსონ ის ვაკუუმი, რომელიც ამ სფეროში ქართულ რეალობაში გაგვაჩნდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ მათ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. ეს მათი წარმატება იყო და ამის შეუფასებლობა სამართლიანი არ იქნებოდა. ნუ ვიქნებით უმედურები. ასე გაგრძელდა 1918 წლამდე.

საქართველოს გასაბჭოებამდე მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან ნიშანსვეტად უნდა ჩანდეს 1918 წელი. ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება. ამ საქმეში ეტაპობრივ მოვლენად, როგორც მრავალგზის აღგვიმწავს, როგორც აქ, ისე სხვაგან, 1918 წლის 8 თებერვალს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, რაც საქართველოს დამოკიდებულების აღდგენას უვერტურად გაისმა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მიგვაჩია. ის, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, კადრს მიღმა რჩებოდა და ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ხვდებოდა. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ის განსხვავებული მიდგომის ერთ-ერთ კომპონენტად გვევლინება. ეს უკვე სხვა რეალობა იყო. საბჭოთა წარმოდგენა ჩამოიშალა, გაკოტრდა, სრული ფიასკო განიცადა, „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“.

როგორც ირკვევა, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში. ეს არ გახლავთ მხოლოდ ლიტონი სიტყვები. ამ წლებში გამოსული მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ამ საქმემ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უმთავრესად, თავისი კვალი დაფიქსირება მხოლოდ მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო. სუ;ლ ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს. ცხადია, ეს არ იყო შემთხვევითი და ამის მიზეზები აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია, ეს კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. ამ მონაკვეთმა დასრულებული სახე ვერ შეიძინა. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები, დასაწყისი იყო და არა დასასრული. როგორც ეს მოგვიანებით გაირკვა. ბევრი კარგი ნამონწყების ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა. ეს მონაკვეთი მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ჩვენი აზრით, ეს არ აკნინებს მის მნიშვნელობას. მისი შეუფასებლობა სწორი არ უნდა იყოს. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ უმთავრესად პოლიტიკური ქართვეილების გამო ამ მონაკვეთს დასრულებული სახე არ მიუღია. ეს იყო საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, ერთ-ერთი საინტერესო და რთული მონაკვეთი, რომლის გვერდის ავლა ამ დარგის განვლილ გზაზე, განვითარებაზე, წარსულზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ დღეს საბჭოთა წარმოდგენა მოძველებულია სერიოზული კორექტივების შეტანას საჭიროებს და დაზუსტებას მოითხოვს. წინამდებარე ნაშრომი ამის გაკეთების კიდევ, ერთ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს, მითები რეალობაზე იმსხვევა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიას ძალით მოახვიეს თავს ერთი ვინრო დოგმატურად

გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. არჩევანი არ არსებობდა. ის იძულებული იყო გადაეხვია არჩეული კურსისათვის. მისი განვითარება სულს სხვა გზით წარიმართა. ჩვენი ღრმა რწმენით, არსებობდა იმისი დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური ქართველები, ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული გზით განვითარება არ შეჩერდებოდა და გაგრძელდებოდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის ევროპულმა ორიენტირებმა მკვეთრი ტრანსფორმაცია განიცადა. სახე იცვალა. სხვა მიმართულება მიიღო. ეს იმით გამოიხატა, რომ ახლა ის ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის აპკში აღმოჩნდა გახვეული. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია წარმოადგენდა ევროპული პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ნაზავს. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს გახლავთ ევროპული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღე, წარსული და არა მისი მომავალი, ხვალინდელი დღე. XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლა, განვითარება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ზღურბლზე გაჩერდა და მეტი წინ აღარ წასულა. ეს იყო ის რეალობა რომლის წინაშე აღმოვჩნდით და რომელსაც, დიდი ხნის განმავლობაში შელამაზებულად, ვარდისფერებში, გვიხატავენ, რაც არსებული სიტუაციის რეალისტურ სურათს ვერ გვიქმნიდა. ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, სწორი გზიდან გადაუხვია. საქართველოში ამ პრობლემის დამაუშავებამ ამ საერთო ჩვენ ცვადავთ, გაგვესწორებინა საქართველოში ამ პრობლემის დამაუშავება, საერთო შეუსაბამობა და აღგვედგინა საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის, რეალისტური სურათი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, კადრს მიღმა რჩებოდა, და ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ჩვენი შრომებიც ამ პრობლემის განხილ-

ვის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების ერთ-ერთი მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს.

დღეს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს, იმ არასახარბიელო მემკვიდრებას, რომელიც მას ხვდა წილად. ერთის მხრივ ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან, ხოლო მეორეს მხრივ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისაგან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ეს არ იქნება უმტკივნეული პროცესი და მას დიდი ძალისხმევა და დროს დაჭირდება. ეიფორიული განწყობილების მიზეზი არ არსებობს, მაგრამ პანიკის საფუძველი არაა. გამოსავალი არის. ამ პრობლემების დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. აქცენტი უნდა გაკეთდეს არა მეცნიერული გამოკვლევების რაოდენობაზე, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ ხარისხზე. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია უნდა განვითარდეს არა სიფართოვეში, არამედ სიღრმეში, აუცილებელია შეიქმნას კონკურენტუნარიანი გარე-ნო. ამას ალტერნატივა არ გააჩნია, სხვაგვარად ამ რთულ ვითარებაში თავს ვერ დავაღწევთ.

ლიტერატურა:

1. კალანდაძე. 2019. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ.,
2. კალანდაძე. 2021. მ. კალანდაძე, ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბ.,
3. კალანდაძე. 2023. მ. კალანდაძე, XX-XXI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული ორიენტირების ევოლუცია. თბ.,
4. კალანდაძე. 2024. მ. კალანდაძე, სახელმძღვანელოს საინტერესო ისტორია, მითები და ლეგენდები. თბ.,
5. კალანდაძე. 2015. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი, მსოფლიო ინსტიტუტი ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VII საფაკულტეტო კონფერენცია, თბ.,
6. Ланглюа... 1899. Ш. Ланглюа, Ш. Сеньобос, Введение в изучение истории. СПб.,
7. Гуревич, 2004. А. Гуревич, История историка, М.,
8. კალანდაძე, 2024^ა. მ. კალანდაძე, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის არასახარბიელო მემკვიდრეობა, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 20. თბ.,
9. კალანდაძე, 2021^ა. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები (1918-1921) როგორც ამ დარგის ისტორიის წყარო, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1. (25), თბ.,
10. მიქელაძე, 2003. მ. მიქელაძე, გერმანიის ახალი ისტორიის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში 1918-1999 წლებში, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ.,
11. დონაძე, 1962. ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები, თბ.,

12. დონაძე, 1970. ვ. დონაძე, ქართველი სამოციანელები და ახალი დროის მსოფლიო ისტორიის აქტუალური პრობლემები, თბ.,
13. დონაძე, 1978. ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა. (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), თბ.,
14. დონაძე, 1986. ვ. დონაძე, ილია ჭავჭავაძე და მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდის აქტუალური პრობლემები, თბ.,
15. დონაძე, 1987. ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის სოციოლოგიური და ისტორიული შეხედულებანი, თბ.,
16. Наморадзе, 1984. Н. Наморадзе, Грузинская передовая общественность о зарубежной Европе (по материалном газеты «Дроеба» (1866-1885 гг.), Автореферат дисертации на соискание ученой стерени кандидата исторических наук, Тб.,)
17. Пирцхелава, 1990. Л. Пирцхелава, Газета «Иверия» о проблемах новой истории Европы (1888-1902гг.), Автореферат дисертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб.,
18. ურთმელიძე, 1996. ა. ურთმელიძე, ახალი ისტორიის საკითხები და გაზეთი „კვალი“, კრებული მიძღვნილია ვარლამ დონაძის ხსოვნისადმი, თბ.,
19. Твалавадзе, 1980. В. Твалавадзе, Вопросы новой истории Германии и Грузинская Публицистика. (последни трет XIX века, Тб.,
20. კილურაძე, 1970. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ.,
21. მამუკელაშვილი, 1993. ნ. მამუკელაშვილი, ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში, ალექსანდრე ნამორაძის სახელობის კრებული, თბ.,

დასკვნა

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია საქართველოს ისტორიასთან. მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ეს სწორი არ იქნება და, ბუნებრივი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. მას ხშირად განსაზღვრავდა არა ის ნოვაციები და სიახლეები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ მეცნიერებაში, არამედ პოლიტიკური კატაკლიზმები, რომელიც საქართველოს ისტორიული ძნელბედობის გამოძახილს წარმოადგენდა. მისი განვითარება აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ეს კარგი ცხოვრებით არ ყოფილა გამოწვეული. მისი მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

თავდაპირველად ქართული ისტორიოგრაფია წინ უსწრებდა ევროპულს. ეს არ იყო შემთხვევითი და მასში ბიზანტიის გავლენა მოჩანს. არსებითად შეიცვალა ვითარება მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად. მონღოლთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ გაჩნდა განვითარების კარგი შანსი, მაგრამ 1453 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლის დაცემამ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ის მოწყდა ევროპას. ევროპულ განვითარების გზა, ნაწილობრივ, არაპირდაპირ, აღდგენილი იქნა 1801 წელს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ასე იყო 1918 წლამდე, როდესაც გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა. საქართველოს

ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ ძალზედ ხანმოკლე აღმოჩნდა. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია. მისი დაპყრობა. საქართველოში დამყარდა საბჭოთა რეჟიმი. ამან თავისი გავლენა მოახდინა ისტორიულ მეცნიერებაზე. მისი განვითარება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ამან გამოიწვია ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირი დაიშალა. საბჭოთა ისტორიოგრაფია წარსულს ჩაბარდა. თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. ის გათავისუფლდა „იდეოლოგიური კონტროლისაგან“. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, მაგრამ ერთი უკიდურესობიდან მეორეში ამოვყავით თავი. „იდეოლოგიური კონტროლისაგან“ გათავისუფლების შემდეგ უკონტროლობამ დაისადგურა. დღეს ქართული ისტორიოგრაფიაში არსებული ქაოსის გასაღები, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ერთ-ერთი საინტერესო პერიოდია მონაკვეთი 1918 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან, დღემდე. ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ის ასოცირდება 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოებასთან. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიასთან, დაპყრობასთან. 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლასთან. ყველაფერი ეს როგორც სარკეში ისე აისახა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაზე. განსაზღვრა მისი თავისებურებები.

ასე მიუახლოვდით ერთ აქტუალურ თემას, რომლის გვერდის ავლა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. საქმე ეხება პოლიტიკური კატაკლიზმებისადმი დამოკიდებულებას. საკითხი არის პრინციპული და მის გამორკვევას აქვს მნიშვნელობა. საკითხ-

ისადმი სწორხაზოვანი დამოკიდებულება, ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი, მეტად პრიმიტიული, მიამიტური, იქნებოდა და მასზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. უნდა ვიხელმძღვანელოთ კონკრეტული სიტუაციით. ერთ შემთხვევაში ის შეიძლება იყოს დადებითი. ასეთად მიგვაჩნია 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლა. ეს ერთ შემთხვევაში. მეორე შემთხვევაში შეიძლება ის იყოს უარყოფითი. ასეთად მიგვაჩნია საქართველოს გასაბჭოება. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა. მოხდა შეფერხება.

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამ დარგის აკვანი დაირწა, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა პერიოდში, არამედ ცოტათი უფრო ადრე. ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში. საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში, ეტაპობრივ მოვლენად, დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 8 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის უვერტიურად გაისმა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობით გამოცხადება, მიგვაჩნია. საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, რომელიც, პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ განპირობებული, უმთავრესად, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო თავისი მოკრძალებული კვალის დატოვება. ასეთია რეალობა და მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში უნდა ვეძიოთ. ამის

გაკეთება არ იქნება ადვილი საქმე. ჩვენ ვცადეთ მოგვეძებნა ეს ოქროს შუალედი. ამან საშუალება მოგცა გვეჩვენებინა მისი შუქრდილები და გამოგვეჩვენა მისი გამომწვევი მიზეზები. ეს იქნებოდა საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. ჩვენი აზრით, ამ სახელმძღვანელოებს დადებითი გაცილებით უფრო მეტი აქვს, ვიდრე უარყოფითი. ამიტომ მათი კნინებითი ფორმით მოხსენიება, გამართლებული არ იქნებოდა და საბჭოთა მიდგომის ნისკვილზე ასხამს წყალს. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდებოდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. აქცენტი კეთდებოდა პოლიტიკური ისტორიის თხრობაზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ისტორიულ მეცნიერების სხვა აპარტამენტები, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, სოციალ-ეკონომიკური ისტორია და კულტურა, გაშუქებულია შედარებით უფრო სუსტად, მკრთალად, და ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ეპიზოდურ ხასიათს ატარებს, პერიფერიულ თემად გვევლინება. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს არ ჩამორჩეს და ფეხი აუწყოს იმ ნოვაციებს და სიახლეებს, რომელიც ხდებოდა გასული საუკუნის გარიჟრაჟზე ისტორიულ მეცნიერებაში და ეს სიახლეები დანერგოს ქართულ ისტორიოგრაფიაში. აქცენტი კეთდება თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიულ მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერული მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, უპირატესად, ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. პირველ ყოვლისა, მასში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილს ვხედავთ და მეორე ის ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ქართული ისტორიოგრაფია მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების დრო სწორი გზით მიდიოდა და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მსგავსად, აქცენტს პროგრესულ-ლიბერალურ მიდგომებზე აკეთებდა. ეს იყო წარსულის ერთ-ერთი სწორი ვერსია, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა ამოვყოთ თავი. ეს სწორი არ იქნება. ამ სახელმძღვანელოებისადმი თავშეკავებული, სკეპტიკური, დამოკიდებულება არ შეიძლება ჩავანაცვლოთ აპოლოგეტური მიდგომით. დასაწყისი ნამდვილად ურიგო არ იყო. პირველი ნაბიჯები სწორი გადადგეს. კარგად გათვალეს. ამ სფეროში თავის საქმიანობას, საძირკველიდან შეუდგენენ. უწინარესად, ყურადღება სკოლას მიაპყრეს. ეს სწორი ნაბიჯი იყო. სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლება შეუძლებელი იქნებოდა მსოფლიო ისტორიის კვალიფიციტებული სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე. ამით იყო გამოწვეული მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების ის ბუმი, რომელსაც ამ წლებში ჰქონდა ადგილი. თავიანთ საქმიანობაში ისინი, უმთავრესად, აქცენტს აკეთებდნენ ევროპული, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოცდილებაზე. ამ გადასახედიდან ვფიქრობთ, სწორი ნაბიჯი ჩანდა. ეს არანაირ ჩრდილ არ აყენებს და არ აკნინებს ამ სფეროში მათ საქმიანობას. პირიქით, ეს მის პლუსად მიგვაჩნია. ისინი ცდილობენ თავიანთ საქმიანობას მტკიცე ბალავარი შეუქმნან. დარგის შენება სწორი გზით მიდიოდა. ეს მათი წარმატება იყო და მასზე თვალის დახუჭვა, უმართებულო იქნებოდა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც, უმთავრესად, პოლიტიკურ ქარტეხილებთან ასოცირდებოდა, მათ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, უბრალოდ ველარ მოასწრეს. დაუსრულებელი დარჩათ. შუა გზაზე მოუხდათ მისი მიტოვება. ეს არცაა გასაკვირი. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა.

ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. მას დასრულებული სახე არ მიუღია. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თუ არა ჩვენთვის კარგად ცნობილი მიზეზები, ისინი ამ საქმეს წარმატებით გააგრძელებდნენ და დაასრულებდნენ. ეს მათ სავსებით ხელეწიფებოდათ. არ ვცდილობთ სასურველის შესაძლებლად წარმოჩენას. ეს რეალობაა, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, კადრში ვერ ხვდებოდა და ფართო საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა რჩებოდა. საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. მის მთავარ სულის ჩამდგმელად, რა თქმა უნდა, პროლეტარიატის დიდი ბელადი, სტალინი გვევლინება. საბჭოთა მიდგომა არის უაღრესად ცალმხრივი და ტენდენციური. ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია, მეტად ხისტად მიგვაჩნია. ძირშივე მცდარია და რაც მთავარია არაეროვნული და არაპატრიოტულია. დღეს ის უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა. ჩამოიშალა, გაკოტრებულია. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. სულ სხვა აქცენტები დავსვით. სულ სხვა ღირებულებები დავსახეთ უფრო პრიორიტეტულად. ასე წარმოიშვა განსხვავებული მიდგომა, რომელიც საბჭოთა წარმოდგენის საპირწონედ და მიზნად ისახავს მის არგუმენტირებულად, მეცნიერულად, გაბათილებას. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს, მისი გადასინჯვის, რევიზიის, მცდელობასთან. მითები რეალობაზე იმსხვრევა.

ვფიქრობთ, 1918 წლიდან დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიის განვითარების საინტერესო სურათი იკვეთება, რომელიც სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა წლებში ეგონათ. მან საინტერესო ევოლუცია, ფერისცვალება, განიცადა რომელიც, უპირატესად, საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, ფართო საზოგადოების თვალთა ხედვის მიღმა რჩებოდა და კადრში ვერ ხვდებოდა. როგორც ირკვევა, ამ სფეროში თავისი საქმიანობა ქართულ ისტორიოგრაფიას საქართველოს გასაბოჭების შემდეგ ნული-

დან, ცარიელ ნიადაგზე კი არ დაუწყია, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა წლებში, არამედ კარგად მომზადებული ნიადაგი დახვდათ, რომლის უარყოფასაც, ამაოდ ცდილობდნენ და საბოლოოდ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“.

განსხვავებული მიდგომის მთავარ ამოსავალ წერტილს, პოსტულატს, თეზას, წარმოადგენს სამი დებულება, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაზე 1918 წლიდან დღემდე სრულიად განსხვავებულ და შესაძლოა, გაცილებით უფრო რეალისტურ წარმოდგენას გვიყალიბებს, ვიდრე აქამდე იყო. ეს სულ სხვა მიდგომაა. მის მთავარ კვინტესენციად, დედაზრად, სამი განსხვავებული მოსაზრება გვევლინება. მას სამი ფაზა გააჩნია, რომელიც ამ მონაკვეთის პერიოდიზაციასთან ასოცირდება. მის გამოცხილს წარმოადგენს: 1. საქართველოში მსოფლიო ისტორიით დაინტერესება, შესწავლა, პოპულარიზაცია 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 2. მსოფლიო ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1991 წლებში, 3. მსოფლიო ისტორიის შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. მოცემულია მათი განსხვავებული დახასიათება. ეს საინტერესოა, განსხვავებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს საქართველოში ამ დარგის წარსულია, ისტორია, გაცილებით უფრო რეალისტურად წარმოვაჩინოთ, ვიდრე ეს აქამდე იყო.

1. საბჭოთა მიდგომის გადასინჯვას საფუძვლად უძევს ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია. საბჭოთა წლებში ეს მონაკვეთი ელიმინირებული, ამოღებული, იქნა ამ დარგის წარსულიდან, გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც არსებობდა. მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადათ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. სულ სხვა აცენტები დავს-

ვით. ამ საკითხის განხილვა შევეცადეთ პოლიტიკური განსჯის სფეროდან, აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. ეს უკვე სულ სხვა მიდგომა იყო. ამ მონაკვეთს დაუბრუნეთ არსებობის უფლება. ვცადეთ მოგვეძებნა მისი ადგილი ამ დარგის ისტორიაში. ის ერთ-ერთი საინტერესო პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელსაც იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც, მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ კატაკლიზმებთან, დასრულებული სახე არ მიუღია. დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, უბრალოდ, ვეღარ მოასწრეს. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ეს იყო რეალობა და მისი არც უგულვებლყოფა, იგნორირება ან შეუფასებლობა, რაც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა წლებში და არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა ამოვყოთ თავი. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება სადღაც შუაში ძევს. ჩვენი შრომები ამ ოქროს შუალედის მოძიების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს.

განსხვავებულ მიდგომის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს ამ წლებში საქართველოში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების გახსენება. საბჭოთა წლებში ეს სახელმძღვანელოები სრულიად მივიწყებული იყო. მათ დაუბრუნეთ არსებობის უფლება და პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტა. საკმარისი არ უნდა იყოს, მაგრამ სხვა უფრო ხელშესახები მასალა არ გაგვაჩნია და მას უნდა დავჯერდეთ რაც გვაქვს. ეს არ იყო პატარა საქმე და მისი შეუფასებლობა, რაც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ის ამ დარგში მათ მიერ შეტანილ მოკრძალებულ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ის რომ ეს მხოლოდ სკოლის სახელმძღვანელოებია არანაირ ჩრდილს არ აყენებს და არ აკნინებს ამ სფეროებში მათ საქმიანობას. ამ მონაკვეთის და ამ სახელმძღ-

ღვანელოების მნიშვნელობას. მათი შეუფასებლობა სწორი არ იქნებოდა. ეტყობა, ეს მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ნაწილი იყო, რომელზე მუშაობის დაწყება მათ მოუსწრიათ, მაგრამ ვერ გაუსრულებიათ. მრავალი კარგი ჩანაფიქრის განხორციელება, უბრალოდ, ვერ მოასწრეს. განუხორციელებელი დარჩათ. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება და მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის ფართოდ გაშლა. ამის შესაძლებლობა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ის მხოლოდ ნაწილობრივ იქნა რეალიზებული. ეს ადვილი გასაგებია. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. მას დასრულებული სახე არ მიუღია. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს მონაკვეთი გარკვეულ სიახლეს წარმოადგენდა და წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამის უგულებელყოფა ძნელი იქნებოდა. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებდა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის, მოთხოვნებს და მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების განხილვას პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან ცდილობდა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავის ძლიერი და სუსტი მხარეები. ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი იმ რეაქციულ-შავრაზმული სასკოლო სახელმძღვანელოების შემდეგ, რომლის მიხედვითაც ისწავლებოდა მსოფლიო ისტორია სკოლაში ცარიზმის დროს. ხაზს გაუსვამთ კიდევ ორ გარემოებას, რომელიც დადებითად უნდა მივიჩნიოთ. ამიერიდან მსოფლიო ისტორია ქართულ სკოლაში ისწავლება მშობლიურ ენაზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და უნდა ითქვას, რომ ამ სახელმძღვანელოებმა ქართული სკოლა გადაარჩინა მოსალოდნელი კოლაფს, რომლის დიდი ალბათობა, ნამდვილად არსებობდა. ეს გამართლებული ნაბიჯი იყო. ამიტომ ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და მასში ჩადებული პოზიტიური მუხტის უარყოფა,

როგორც ჩვენ გვგონია, სწორი არ უნდა იყოს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს, საქართველოში მსოფლიო ისტორიის აქტუალური საკითხების გაშუქების პირველ მცდელობასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ამიტომ აქ აპოლოგეტური ტონი საჭირო არაა, ზედმეტი იქნებოდა. ჩვენი დამოკიდებულება ამ მონაკვეთის და ამ სახელმძღვანელოებისადმი დადებითია. მას ბუნებრივია, გააჩნია თავისი, ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩვენ ეს საკითხი, სწორედ, ასე გვესმის. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს, XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიასთან, ჩვენი აზრით, მის დასაწყისად, პირობით აღებული უნდა იქნას 1918 წლის 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ხოლო დასასრულად კი 90-იანი წლების დასაწყისი, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი. აქედან იწყება პოსტსაბჭოთა პერიოდის ანუ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია. ამით შეიძლება დავინყოთ XXI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია.

ამგვარად, საქმე გვაქვს საკმაოდ საინტერესო ვითარებასთან, რომელიც წლების მანძილზე, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, კადრში ვერ ხვდებოდა და ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალს მიღმა რჩებოდა. ეს არ იყო შემთხვევითი. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. კიდევ ერთხელ დავაფიქსირებთ ჩვენ პოზიციას. ამ სახელმძღვანელოებისადმი დამოკიდებულება დადებითია. ის წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს იმ რეაქციურ-შავრაზმული პოზიციებიდან დანერილი სახელმძღვანელოების შემდეგ, რომლის მიხედვითაც ისწავლებოდა მსოფლიო ისტორია საქართველოში ცარიზმის დროს. კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ ისინი ამ საკითხზე საკმაოდ ინფორმირებულები უნდა ჩანდნენ. ეს ადვილი გასაგებია და ემპირიული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია. ეს მასალა საინტერესოა და მსოფლიო ისტორიის საკითხებში მათი ჩახედულების ერთი პატარა ფრაგმენტი შეიძლება იყოს, რომლის ჩართვა სახელმძღ-

ღვანელოში მიზანშეწონილად ცნეს. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ რომ ისინი ამ თემებზე იმაზე გაცილებით უფრო კარგად იქნებოდნენ ინფორმირებული, ვიდრე ეს სასკოლო სახელმძღვანელოების ამ მონაკვეთიდან შეიძლება ჩანდეს. რა თქმა უნდა, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. უბრალოდ ჩვენ ასე გვგონია. ეს ერთი ახლა მეორე. მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების შეფასების დროს ისინი კვალში მიყვებიან და სავსებით იზიარებდნენ იმ პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და ამ პრობლემების შეფასებას პროგრესულ-ლიბერალური პოზიციიდან ცდილობდნენ. რასაც საფუძვლად ედო მათი შეხედულებების თანხვედრა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მასში ევროპული, პირველ რიგში კი რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილი უნდა დავინახოთ. ეს მედლის ერთი მხარეა. ახლა მოდით მეორეც ვნახოთ. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. ის ჯობია იმ სახელმძღვანელოებს, რომლის მიხედვითაც ისწავლებოდა მსოფლიო ისტორია ქართულ სკოლაში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ამ სახელმძღვანელოებზე კინობით ტონით საუბრის საფუძველს ვერ ვხედავთ. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნებოდა. ასეთი მიდგომა გაცილებით რეალისტური უნდა ჩანდეს, ვიდრე საბჭოთა წარმოდგენა იყო. ის ჩამოიშალა, გაკოტრდა, ისტორიის კუთვნილებად იქცა. ისტორიული მეცნიერების წარსულია. მითებს რეალობა ამსხვარევს. ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილესთან როდი ასოცირება. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“. ჩვენი აზრით, ამ სახელმძღვანელოებს ღირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლია.

აქ წამოიჭრება ერთი საკითხი, რომლის გვარდის ავლა გამართლებული არ იქნებოდა და ამ თემაზე სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენის ჩამოყალიბებაში ვერ დაგვეხმარება. ლოგიკური იქნებოდა ვიფიქროთ, რომ თუ ეს სახელმძღვანელოები ასეთი სუსტი იყო, მაშინ ის თუ პირდაპირ არა, არაპირდაპირ, ნებისთ თუ უნებლიეთ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს

იმ რუსული სახელმძღვანელოების კომპეტენციას, რომლის მიხედვითაც ისინი ხელმძღვანელობდნენ. ეს დამაჯერებელი არ იქნებოდა და უხერხულად მიგვაჩნია. აღსანიშნავია, რომ, ამ რუსული სახელმძღვანელოების კომპეტენცია, არასოდეს არავის არ დაუყენებია ეჭვის ქვეშ. ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს? ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა. მთავარია გაჩნდეს ამის დანახვის სურვილი, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ნუთუ ივანე ჯავახიშვილი, რომელიც სათავეში ედგა ამ კომისიას, ვერ ხედავდა, რომ ეს სახელმძღვანელოები სუსტი იყო, არ ვარგოდა? ძნელი საფიქრელია, რომ ეს ასე იყო.

2. განსხვავებული მიდგომის მეორე შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი სხვაგვარი დამოკიდებულება. ის ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის სახეცვლილების მეორე ფაზად გვევლინება. მივიღეთ ამ დარგის ევოლუციის სულ სხვა საერთო სურათი და პერიოდიზაცია. ის საბჭოთა წარმოდგენის საპირწონეა და პრინციპულად უპირისპირდება მას. ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას, რომელიც, ალბათ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. 1. როგორ შეიძლება შეფასდეს საბჭოთა ისტორიოგრაფია? ამას პრინციპული დატვირთვა გააჩნია და დიდი მნიშვნელობა აქვს. თემა არის საინტერესო და აქტუალური, 2. რამდენად იყო საბჭოთა პერიოდი მისი წინამორბედის შემდეგ წინგადადგმული ნაბიჯი? პრინციპული საკითხია და მისი გამორკვევა, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა. უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით ეს საკითხი დღემდე არ დასმულა და ჩვენი ნაშრომი ამის გაკეთების პირველ მცდელობას წარმოადგენს. ამ რაკურსით საკითხის განხილვა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

ჩვენ შრომებს ლაიტმოტივად გასდევს მოსაზრება, რომელიც განსხვავებული მიდგომის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ეს ქართულ საზოგადოებას დაეხმარება ამ საკითხზე გაცილებით უფრო რეალისტური წარმოდგენის ჩამოყალიბებაში, ვიდრე მანამდე ჰქონდა. მას შემეცნებითი მუხტი გააჩნია.

ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისაგან. მას საფუძვლად ედო ამ საქმეში საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობის უსაშველოდ გაბუქვა. ჩვენ ვცადეთ გავგესწორებინა ეს შეუსაბამობა და კორექტივები შეგვეტანა, დაგვეზუსტებინა, საბჭოთა წარმოდგენა. ეს უკვე სულ სხვა მიდგომა იყო. მას პრინციპული, კონცეპტუალური, დატვირთვა გააჩნია. მკითხველს კიდევ ერთხელ შევასხენებთ ჩვენს პოზიციას. საბჭოთა ხედვა, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადაგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა წლებში. ჩვენ მასში სერიოზული კორექტივების შეტანას შევეცადეთ. ამან საბჭოთა წარმოდგენა პირდაპირ თავდაყირა დააყენა. თავისუფალი აზროვნება, მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური შეხედულებები, რომელზეც კეთდებოდა აქცენტი საქართველოს გასაბჭოებამდე, ჩაანაცვლა სულ სხვა პრინციპებმა. საკითხისადმი მონისტურმა მიდგომამ. ფორმაციულმა პრინციპმა მოვლენების კლასობრივმა ხედვამ. კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობა გაფეტიშება, ბრძოლის პლებეული მეთოდების იდეალიზაციამ. ამგვარი წარმოდგენა სავსებით შეესატყვისება ერთი ისტორიული სკოლის მოთხოვნების, ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული იყო. ასეთი გახლდათ პოლიტიური ნება, რომლის მთავარი სულის ჩამდგმელი, რა თქმა უნდა, პროლეტარიატის დიდი ბელადი, სტალინი იყო. ფაქტობრივად, ადგილი აქვს ევროპული მიდგომის, ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით ჩანაცვლების მცდელობასთან. საბჭოთა მიდგომა არ წარმოადგენდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას. განსხვავებული აზრისადმი გულგრილი დამოკიდებულება საბჭოთა ისტორიოგრაფიის აქილევსის ქუსლად გვევლინება. ასე გვესახება ჩვენ ეს საკითხი.

ახლა გადავიდეთ მეორე თემაზე. ის ეხება საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი დამოკიდებულებას. საკითხი არის არანაკლებ

რთული და სენსიტიური, სათუთი. საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება, რომელიც დომინანტი გახლდათ საბჭოთა წლებში დღეს უკვე მოძველდა, ყავლი გაუვიდა და ისტორიული მეცნიერების განვლილი ეტაპია. ერთი უკიდურესობა მეორეთი არ უნდა ჩავანაცვლოთ. ეს არ იქნება დამაჯერებელი. საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეუფასებლობა ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას. ორივე უკიდურესობა მიუღებელი უნდა ჩანდეს. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში უნდა ვეძიოთ. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ, როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად ვცადოთ გამოვარკვიოთ მისი გამომწვევი მიზეზები. საბჭოთა ისტორიოგრაფიის პლუს-მინუსები ასე წარმოგვიდგენია.

პირველ ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავაზუსტოთ ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი. ის უარყოფითი არ გახლავთ, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, პირდაპირ ზედაპირზე ძვეს, აისბერგის ზედა, ხილულ ნაწილს, წარმოადგენს. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა ის კრიტიკულად მივიჩნიოთ. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი, აშკარაა, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა და ამის უგულვებელყოფა, გვერდის ავლა, გამართლებული არ უნდა ჩანდეს, სწორი არ იქნებოდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა ისტორიოგრაფიის პლუსია. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაში რჩება, არსად არ წასულა, არ გამქრალა და საბჭოთა ისტორიოგრაფიის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს, მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვიწრო დოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების უნიფიკაციას, სტალინიზაციას. საკითხისადმი მარქსისტულ-ლენინური მიდგომა გამოცხადებული იქნა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. ამან გამოიწვია საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. ჩრდილი დომინირებდა შუქზე. ბოლოს და ბოლოს საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისმა ლეტალური, სასიკვდილო, ხასიათი შეიძინა. ამ შემთხვევაში ჩვენ ბრალს ვდებთ არა რომელიმე ცალკეული ისტორიკოსს. ეს სწორი არ უნდა იყოს, არამედ სისტემას, ტოტალიტარულ-ბოლშევიკურ სახელმწიფოს, რომელიც აქტიურად ერევა მეცნიერებაში და ძალით ცდილობს თავს მოახვიოს მას სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია. მიუღებლად, სწორედ, ეს მიგვაჩნია. ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას თითქოს საბჭოთა სახელმწიფო არ ერეოდა მეცნიერების საქმიანობაში. პირიქით იყო. ეს სინამდვილეს არ შეეფერება.

მარქსისტული შტამპების და სტერეოტიპების გამო, მათი მკაცრად განსჯა გამართლებული არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს ყველაზე უფრო სწორი იქნებოდა. თუ ამ შრომებს მარქსისტული გარესამოსს ჩამოვაშორებთ მასში ღირებული, უეჭველად, რჩება. ეს გახლავთ აქ თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია. უხვი ფაქტობრივი მასალა, გამოვლენილი ახალი წყაროები, რომელსაც, მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. „წყალს ბავშვი არ უნდა გადავაცოლოთ“. ისინი ირჩევდნენ სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მას, ბუნებრივია, მარქსისტული პოზიციებიდან ამუშავებდნენ. ამ გზით მაშინ ძალიან ბევრი მიდიოდა. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რაც მსოფლიო ისტორიის საკითხებზე მშობლიურ ენაზე გაგვაჩნია. ეს იმ რთული სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა.

3. ამ წლების ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი

მკვეთრი მეტამორფოზი, ფერისცვალება, კვლავ პოლიტიკურ კატაკლიზმებთანაა დაკავშირებული და ამ მონაკვეთის ახალ მესამე ფაზად გვევლინება. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. ეს არის პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ანუ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია. ამ რაკურსით საკითხის გაშუქება, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს და აქტუალურად მიგვიჩნია. მით უმეტეს, რომ ეს საკითხი ჯერ არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგანი და წინამდებარე ნაშრომი ამის გაკეთების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. ეს განსხვავებული მიდგომის მესამე კომპონენტია.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია არის რთული და მრავალნახნაგოვანი და მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება ადვილი არ იქნება და მეტად სწორხაზოვნად მიგვაჩნია. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცდებით გავერკვეთ ამ ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის ავკარგიანობაში და ხაზი გაუსვათ მის გამომწვევ მიზეზებს. თავიდან ავიცილოთ ორივე უკიდურესობა. მისი აპოლოგეტიური შეფასება ან შეუფასებლობა. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. ჩვენ ვცადეთ გამოგვეჩვენა ეს საშუალებო გზა, რომელიც საშუალებას მოგცემს გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად ვცადოთ გამოვარკვეოთ მისი გამომწვევი მიზეზები.

ჩვენი დამოკიდებულება ამ თემისადმი უარყოფითი არაა, როგორც ეს ერთი შეხედვით, ვინმეს შეიძლება ეჩვენოს, ზედაპირზე ძევს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა ის კრიტიკულად მივიჩნიოთ. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სანყის პოზიციას დაუბრუნდეს. ააღორძინოს თავდაპირველი ღირებულებები თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური პრინციპები. ეს,

ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ამის გაკეთება, ადვილი საქმე არ იქნება, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს და დიდი დრო და ძალისხმევა დაჭირდება. წინსვლასთან ერთად იქნება პრობლემები. ეიფორიული განწყობილების მიზეზს ვერ ვხედავთ. ამავე დროს არც პანიკის საფუძველი არსებობს. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი არის. აქცენტი უნდა გაკეთდეს მეცნიერული გამოკვლევები ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებაზე. ამას ალტერნატივა არ გააჩნია. (ანთაძე, 2006).

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს იმ არასახარბიელო მემკვიდრეობას, რომელიც მას დაუტოვა ერთის მხრივ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ, ხოლო მეორეს მხრივ კი პოზიტივისტურმა ისტორიოგრაფიამ. პირველი ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ის ცდილობს გათავისუფლდეს ძალად თავს მოხვეული მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპებისაგან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. გათავისუფლდა „იდეოლოგიური კონტროლისაგან“, მაგრამ ერთი უკიდურესობა მეორეში არ უნდა ამოვყოთ თავი „იდეოლოგიური კონტროლი“ ჩაანაცვლა უკონტროლებამ. ცენზურა უცენზურობით შეიცვალა. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული ვითარების მიზეზი, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. უნდა ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფია ცდილობს გათავისუფლდეს მარქსისტული სტერეოტიპების შტამპებისაგან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ძველი ინერციით აქა-იქ მაინც გვხვდება მარქსისტული სტერეოტიპები და შტამპები. ასეთად მიგვაჩნია: „ბურჟუაზიული რევოლუცია“, „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია“, „ბურჟუაზიული დემოკრატია“, „ბურჟუაზიული კულტურა“. ეს არის საკითხისადმი ვინროკლასობრივი მიდგომაა, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის.

კიდევ უფრო ძნელი იქნება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ბარიერის დაძლევა, რომლის შეუფასებლობა

დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული ვითარების დაძლევის საქმეში, მიზანშეწონილი არ იქნება. ისტორია არაა შემგროვებლური მეცნიერება, როგორც ეს პოზიტივისტებს ეგონათ. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი კარგი გამოკვლევა იწერება, მაგრამ ის არ ცილდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებს. თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეინარჩუნა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის, მაღალი დონე, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს არის ევროპული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღე და არა ხვალისდელი. კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული განვითარება ერთი ვინროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ზღურბლზე შეჩერდა და მას ვერ გაცდა. ამის მიზეზები აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნდა. ევროპული ისტორიოგრაფიის განვითარებას განსაზღვრავდა ის სიახლეები და ნოვაციები, რომელიც ხდებოდა ისტორიულ მეცნიერებაში, ხოლო საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ერთი ვინროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული და ამ მიმართულებით ვითარდებოდა.

ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს ამ რთულ ვითარებას. ცხადია, ცდილობს წინ წავიდეს, განვითარდეს, მაგრამ, როგორც ჩვენ გვგონია, ამ შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება და პრიორიტეტულია რაოდენობრივი და არა თვისებრივი, ხარისხობრივი, ცვლილებები, რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივი, ხარისხობრივი, გადაზრდის პროცესი მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს, დროში ძალიან გაიწელა და ძნელი სათქმელი როდის დამთავრდება. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია, ჩვენი აზრით, ვითარდება სიფართოვეში და ნაკლებად სიღრმეში. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ პრობლემად,

სწორედ, სიღრმე სიფართოვეში, განვითარება წარმოგვიდგენია. მთელი ძალისხმევა, ვფიქრობთ, სწორედ, ამ მიმართულებით უნდა იქნას წარმართული. ინდივიდუალურ დონეზე პროგრესს, რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს. ეს სწორი არ იქნება. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის გაჯანღებისათვის საჭირო იქნება არა პალიატიური, ზედაპირული, ცვლილებები, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ სერიოზული, სიღრმისეული, გარდაქმნები. აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება კიდევ ერთი აქტუალური თემა. რამდენად არის მზად პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ასეთი სიღრმისეული გარდაქმნებისათვის? საკითხის ამგვარად დასმა საინტერესო და აქტუალურად მიგვაჩნია. ჩვენ გაგვაჩნია საკითხის საკუთარი ვერსია, რომელიც, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას და მეცნიერული პაექრობის საგანი იქნება. ჩვენი აზრით, დღეს ქართული ისტორიოგრაფია ასეთი სიღრმისეული გარდაქმნებისათვის მზად არ უნდა იყოს. ამას სათანადო მომზადება ჭირდება. სხვაგვარად ეს არ მოხდება. ამის წანამძღვრები არ ჩანს და მოლოდინის რეჟიმში გვიხდება ყოფნა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ქართველი ისტორიკოსები, წინათაც და ახლაც, ძალზე გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ, ისტორიის თეორიული საკითხების მიმართ. ისტორიის მეთოდოლოგია, გნოსეოლოგია, ეპისტემოლოგია, ისტორიის შემეცნება. ეს საკითხები დღესაც კი თამაშგარე მდგომარეობაში რჩება. ქიშ მიღმა აღმოჩნდა, ქართველი ისტორიკოსების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდება. ამას დაჭირდება ისტორიკოსის მიერ მეთოდოლოგიური დაგნოსეოლოგიური პრინციპების გადასინჯვა, განახლება. ქართველი ისტორიკოსები და მათ შორის შეიძლება მოვიაზროთ დიდი ივანე ჯავახიშვილ, წარსულის აღქმის საკითხში ჰეგელიანური მიდგომის მომხრედ გვევლინება. იზიარებენ პანლოგიზმის იდეას. პოზიტივისტების მსგავსად მხარს უჭერდნენ წარსულის უპრობლემო აღქმას. ქართველი ისტორიკოსების, მათ შორის შეიძლება დიდი ივანე ჯავახიშვილის, თვალში წარსულისადმი ჰეგელიანურმა მიდგომამ შეიძლება დაჩრდილა

მეორე უფრო პერსპექტიული თვალსაზრისი, ნეოკანტინელების მიდგომა.

აქ წამოიჭრება კიდევ ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც განათლების სისტემაში არსებულ რთულ ვითარებასთან ასოცირდება. ამ ძირეულ გარდაქმნებს ესაჭიროება ახალი ყაიდის ისტორიკოსი. ძველი ყაიდის ისტორიკოსი ამას ვერ გააკეთებს. ვინ უნდა აღზარდოს ის? რა თქმა უნდა, სკოლამ და უნივერსიტეტმა. ამას დაჭირდება განათლების სისტემის რადიკალური გარდაქმნა. სხვაგვარად არაფერი არ გამოვა. განათლების სისტემის გაჯანსაღებას ალტერნატივა არ გააჩნია. რა თქმა უნდა, მხედველობაში არ გვაქვს ვაი რეფორმები, როგორც ეს დღეს ხდება. ამას წერტილი უნდა დაესვას. „ნგრევა შენების სახელით გრძელდება“. ძველი კონტექსტი ახალი ეტიკეტებით. ამას კარგად უნდა ვაცნობიერებდეთ. გასაკვირი ის კი არა იყოს, რომ ასეთი განათლების სისტემა და მეცნიერება გვაქვს, არამედ გასაკვირი ის იქნებოდა, რომ ასეთი განათლების სისტემა და მეცნიერება არ გვექონდეს. სწორედ, ისეთი განათლების სისტემა და მეცნიერება გვაქვს, როგორც შეესატყვისება არშემდგარ სახელმწიფოს. ამიტომ პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს ჭირდება მიხედვა. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას ალტერნატივა არ გააჩნია. თანდათან ყველაფერი დალაგდება, მათ შორის, ცხადია, განათლების სისტემაში და მეცნიერებაში. შევძლებთ ამას და ძალიან კარგია. ვერ შევძლებთ და არც არაფერი შეიცვლება და არსებობს ამისი დიდი ალბათობა, რომ პროცესები შეუქცევად ხასიათს შეიძენს. აღმოვჩნდებით ეროვნულ უმცირესობაში და განათლების დაბალი ხარისხით. ყველაფერი უნდა გაკეთდეს რათა ეს არასახარბიელო პერსპექტივა თავიდან იქნას აცილებული. ჩვენ სულაც არ ვართ პესიმისტები. როგორც ეს ვინმეს შეიძლება ეგონოს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. პირდაპირ ზედაპირზე ძვეს. აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. საქმე სულაც არაა ასე მარტივად. თუ იქნება პოლიტიკური ნება ყველაფერს ეშვებება და ნელნელა ყველაფერი დალაგ-

დება და თუ არ იქნება პოლიტიკური ნება, არც არაფერი არ მოხდება და იქნება ასე. შეიქმნება მხოლოდ კეთილდღეობის ილუზია, როგორც ეს დღესაა.

ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა, საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში. ეს არ გახლავთ მხოლოდ ლიტონი სიტყვები. ეს რეალობაა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, უმთავრესა, საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, კადრში ვერ ხვდებოდა და ფართო საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა რჩებოდა. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ამ წლებში გამოცემული მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელები. ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა, ასე წარმოიშვა განსხვავებული მიდგომა, რომელიც საბჭოთა წარმოდგენის საპირწონეა და ამ დარგის წარსულზე, ისტორიაზე, გაცილებით უფრო რეალისტურ წარმოდგენას გვიყალიბებს, ვიდრე ეს მანამდე იყო. მას საფუძვლად უდევს ამ მონაკვეთის და ამ წლებში გამოსული მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების რეანიმაცია, რეაბილტაცია. ამ წლებში მან სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და სიტყვაკაზმული ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკის სფეროდან, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან, თარგმანებიდან, სასწავლო-საცნობარო ლიტერატურაში გადაინაცვალა და მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ჰქონდა გამოძახილი. იმდრინდელი ქართული რეალობის ფონზე ეს ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. სულ ეს იყო რისი გაკეთება იმ ექსტრემალურ პირობებში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც, უმთავრესად, განპირობებული, იყო პოლიტიკური ქარტახილებით

მოასწრეს. მეტის გაკეთება, უბრალოდ, ვეღარ მოასწრებს. ამ მონაკვეთს დასრულებული სახე არ მიუღია. ამ მომაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. მას თან ახლავს გარკვეული რომანტიკული შარმი, რომელიც აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკურ კატაკლიზმები, ეს გზა გაგრძელდებოდა და დასრულებულ სახეს შეიძენდა. ქართულ ისტორიოგრაფიის ევროპული გზით განვითარებაში შეფერხება არ მოხდებოდა, გაგრძელდებოდა, მაგრამ მოვლენები სულ სხვა სცენარის მიხედვით წარიმართება. ქართულ ისტორიოგრაფიას ძალით მოახვევს თავს ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია და ის იძულებული იყო გადაეხვია არჩეული გზიდან. მისმა განვითარებამ სულ სხვა მიმართულება მიიღო, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელება წინგადადგმული ნაბიჯი არ ყოფილა. როგორც ამას წლების მანძილზე გვიმტკიცებდნენ.

სახელმწიფოსათვის განათლების, სისტემის მნიშვნელობის შეუფასებლობა კატასტროფის ტოლფასია. **ყურადღებას მივაპყრობთ ერთ საინტერესო წარწერას, რომელიც სამხრეთ აფრიკის სტენბოსის უნივერსიტეტის შესასვლელში გაკეთებულ აბრაზე. აი რა წერია მასზე: „ნებისმიერი ერის გასანადგურებლად არ არის საჭირო ატომური ბომბი ან შორეული რადიუსის რაკეტების გამოყენება. ამისათვის საჭიროა განათლების ხარისხის შემცირება და თვალის დახუჭვა იმაზე, რომ სტუდენტი გამოცდაზე იტყუება. ასეთი ექიმის ხელში პაციენტი იღუპება. ასეთი ინჟინერის ხელში შენობები ინგრევა. ასეთი ეკონომისტის და ბუღალტერის ხელში იკარგება ფული. ასეთი მოსამართლის, იურისტის ხელში იკარგება სამართალი. განათლების კრახი, ერის კრახია“.** ვფიქრობთ, აქ ყველაფერი ნათქვამია. კომენტარი ზედმეტია. თუ დროზე არ მივხედავთ საქმეს. კატასტროფას თავიდან ვერ ავიცილებთ და აღმოვჩნდებით კოლაფსში. (კალანდაძე, 2023. 302-303. მ. კალანდაძე. 2024.112). SOS

ლიტერატურა:

1. ანთაძე. 2006, კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კრიზისიდან გამოსავალი მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის ამაღლებით, მნიგნობრობით. თბ.,
2. კალანდაძე, 2023. მ. კალანდაძე, XX-XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული ორიენტაციის ევოლუცია.
3. კალანდაძე, 2024, მ. კალანდაძე, სახელმძღვანელოს საინტერესო ისტორია. მითები და რეალობა. თბ.,

სარჩევი

შესავალი.....	3
კარი პირველი	16
კიდევ ერთი საბჭოთა მითი ჩამოიშალა.....	16
თავი პირველი	16
მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები.....	16
თავი მეორე	29
საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საინტერესო მეტამორფოზი.....	29
თავი მესამე	60
საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის მთავარი თავისებურება.....	60
კარი მეორე	79
საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის აკვანი დაირწა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.....	79
თავი პირველი	79
დასრულებული მონაკვეთი. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა.....	79
თავი მეორე	100
„დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“ მითები რეალობაზე იმსხვერვა.....	100
დასკვნა	143

